



## ბილავაზო!

ნო. იორე რქიმიშვილი


სიტყვა ახალ წელთან ღაეავშიებით

ბ3. 4

„New Age“ - „ახალი ეხა“,  
ანუ „ახალი“ მოძრაობა  
სულის ნაწილებისაკენ

(გაგებება)

ბ3. 16



იცის ნიჩილები  
წერილებში ჩატარებული  
მინდვრის ყვავილები

ბ3. 21

ნმიღა სინოდის სხდომა

ბ3. 3

ნო. იცი მათაცი (ჭაველავი)  
შობა მაცხოვებისა

ბ3. 5


### ინტერვიუ

ნიკოლები მისამართი

სისტემა:

„ჩატარებით ას კეთილება,  
სახწმუნოებით სხედება“

ბ3. 7



ინტერვიუ  
ჭაველავი ნიკოლები  
საუკუნო საგზაუი

(გაგებება)

ბ3. 27

### ინტერვიუ

პატარ ბერებულები:

„მათათა მთაზე, ყაძასა  
და სავანეს, ჩოგოჩი მისმა  
უწმიერესობამ ბერია ყველა-  
ნი ეხთავ, თანაბაზი მონაწ-  
ილეობით ავაშენებთ“

ბ3. 30



საშობაო აღილო

ბ3. 36

ცალ ასათიანი

„მე შენს ხმაუქში სიყოფელეს  
ვხედავ...“

ბ3. 38

შემოქმედება

მისამართი თაღეოზი

ეხეალ სალიანი

ბ3. 41-43

მათ სითბო ღა სიყვაჩელი

სჭირებათ

ბ3. 44

ჩების უძლვება

ახალგაზისა ფეხმეტა სახლი

ბ3. 54

მეოსინა  
ჯანსალი ყვება

ბ3. 46





## თქვენო უნდიდესობავ!

საქართველოს საპატიო-არქოსტან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინ-ცელეჭუალური განვითარების ცენტრი გილოცავთ

შობის ღღესასწაულს, აღსაყდრების 33-ე წლისთავსა და დაბადების ღღეს, გისურვებთ ღღებრძელობასა და მხეობას.

ჩვენო პატიოარქო, თქვენი ცხოვნება, თქვენი ქადაგებები, თქვენი გამამხნევებული სიც-ყა თითოული ჩვენგანისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რამეთუ იგი ყოველთვის ღვთისა და აღამიანის სიყვარულს გვასწავლის, გვტრდის და გვაძლევს იმედს და ცხოვნების ძალას, რათა უფრო მეღგრად გავუძესავდეთ უამრავ განსაცდელს.

ჩვენთვის დიდი სიხარულია თქვენს შტრუნ-ველ კალთის ქვეშ ყოფნა. ვისურვებდით, დიდხანს ან მოგვილებოდეს თქვენი მამობრივი სიყვარული და ტრუნვა.

მრავალეამიერ, თქვენო უნდიდესობავ!



## ნოტა სიცოდის სეზონი

1. ნოტა სიცოდის სხდომაში განიხილა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკუთხი და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება: ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველობა, ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით და დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით გადაეცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქეს და ამიერიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული იქნება: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის; ხოლო მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი) გათავისუფლდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან, განეული მსახურებისათვის მას გამოეცხადა მადლობა და დაინიშნა ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტად.

2. ნოტა სიცოდმა განიხილა ლარიბ სოფლებში მოღვაწე სასულიერო პირთა საკითხი და განაჩინა, რომ მათ გაეწიოთ გარკვეული ფინანსური დახმარება.

3. ის პირები, რომლებიც განათლების მისაღებად რეგიონებიდან თბილისის სასულიერო სასწავლებლებში იგზავნებიან, აუცილებლად უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ ეპარქებს.

4. კიდევ ერთხელ გაესვა საზი იმ ფაქტს, რომ საქართველოს საპატრიარქოში შემავალ ყველა ეკლესიაში წირვა-ლოცვა უნდა ჩატარდეს ქართული მრავალხმიანი გალობით. ამ განჩინების დამრღვევთა მიმართ კი გამოყენებული იქნება კანონიკური ზომები.

5. დადგინდა: შეიქმნას ნოტა შესარაცხ პირთა შესახებ შემოსული მასალის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) და მთავარეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი).

6. განაჩინეს: დედოფლისწყაროს ეპარქიას დაუბრუნდეს ისტორიული სახელწოდება და ამიერიდან ამ მხარის მღვდელმთავარს ეწოდოს ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მმართველი. ხოლო ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი) დაინიშნა გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქიის მმართველად.

21. 12. 2010

## ნოტის იურიდიკური სამსახური

# სიცოვანი ახალ ცელთა ღამის გადასაცემი

ეშმაკურმა გამხიარულებამ, სიცილ-ხარხარმა, პილწილტყვაობამ, ცეკვა-თამაშმა და სასაცილო მასხობამ, რომელიც მთელი ლამე გრძელდებოდა, დაატყვევა ჩვენ ქალაქ... ყველაზე მეტ წყენას მაყენებენ თამაშობები, რომელიც სასტუმროებში იმართება, აღსავსენ თავშეუკავებლობითა და დიდი ულირსებით; — ულირსებით, რამეთუ მით თავშექცეული ყურადღებას აქცევენ დღეს, მკითხაობენ და ფიქრობენ, რომ თუ ამ თვის პირველ დღეს მხიარულებასა და სიამოვნებაში გაატარებენ, მაშინ მთელი წელინადი მათთვის ასევე ჩაივლის. თავშეუკავებლობით კი იმიტომაა აღსავსე, რომ ქალ-კაცი გათენებისას პირთამდე ავსებენ ჭიქებს ღვინით და უზომოდ თვრებიან (ნეტარი ავგუსტინე მოგვითხრობს, რომ ამ დღეს დათრობა მათთვისაც აუცილებელი იყო, ვინც ღვინოს საერთოდ არ სვამდა).

თუკი შენ გსურს, ამ თვის პირველი დღიდანაც სარგებლობა მიიღო, მაშინ ასე მოიქმედი: როდესაც წლის პოლოს მიაწევ, მაღლობა შესწირე უფალს, რომ მიგანია წელიწადების ამგვარ წრებრუნვას, გულის შემუსვრილებით, გამოთვალე წლები შენი სიცოცხლისა, საკუთარ თავს უთხარი: დღეები მიფრინავენ, წლები ილევა... რა სიკეთე გვაქვს გაკეთებული?.. ესრეთ სიბრძნისმეტყველებდე თვეთა დასაწყისში, ამას მოიგონებდე წელიწადთა წრებრუნვაში... დღეებს ყურადღებას აქცევდე, ქრისტიანულ სიბრძნეს არ შეეფერება, წარმართული ცდომილებისათვის არის დამახასიათებელი... მართლაც, ქრისტიანისათვის გასაკვირველი და მიუტევებულია, განსაკუთრებულ კეთილდღეობას ელოდოს მთელი წლისაგან იმისდა მიხედვით, თუ როგორ შეხვდება ახალ წელს, ავიწყდება რა, რომ ქეშმარიტი ბედნიერება და კეთილდღეობა დროთა ბრუნვაზე კი არაა დამოკიდებული, არამედ ღვთის ნებაზე და ჩვენი საქმიანობის ხასიათზე; მიუტევებელია ახალ წელს ხმაურიანი ღრეულით შეხვდეთ საღამოდან გვიან ღამემდე, რაც პირწმინდად წარმართული ჩვეულებაა და სამარცხვინოა ღვთისმოსავი ქრისტიანისთვის... ამგვარი რამ არა მარტო ღვთისმოსაობის არქონაზე მიუთითებს, არამედ ქრისტიანობასა და ეკლესიასაც ეწინააღმდეგება.

## შობა ჩვენს ცხოვრებაში

### ეპრესი მითროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი)

— ყველაზე მეტად დამამახსოვრდა საფარის მონასტერში გატარებული პირველი შობა. ძალიან დიდი თოვლი იყო, ჩამოვედით სატვირთო მანქანით, უახლოესი დასახლებული პუნქტი 10 კილომეტრშია, — გაგვაფრთხილეს. ჩვენი ქართული ხასიათი ხომ იცით, დაგვავიწყდა სეფისკვერებისთვის საფუარისა და ბორჯომის ყიდვა. ჩემთან ერთად იყო მამა სერაფიმე კიკონიშვილი და მამა მიქაელი. ვზივართ სამნი, რა ვქნათ, შობა თენდება, სეფისკვერები არ გვაქვს... სეფისკვერის გარეშე წირვას ვერ ჩაგატარებდით... გავიდა ცოტა ხან და... მოვიდნენ ვაჟა ძია და მისი მეუღლე. მოგვიტანეს საფუარიც და ერთი ყუთი ბორჯომიც, თანაც გვითხრეს — ვიცოდით, რომ არ გექნებოდათო... ეს იყო პირველი დაბრკოლება და 15 წუთში ყველაფერი მოგვარდა. მერე სასწრაფოდ გამოვაცხეთ სეფისკვერები... წირვა ახლოვდებოდა და ჩვენ 5 კაცის მეტი არავინ ვიყავით... გამოვდივართ წირვის ჩასატარებლად და ვერდავთ — ჩამწკრივებული 20 კაცი მოემართება წირვაზე. მათ შორის იყო სტეფანეც (ამჟამად მეუფე სტეფანე)... ძალიან დიდი სიხარული იყო და დამამახსოვრდა, რომ ვერც კი წარმომედგინა.

## ნინო გოლიძეს მართალი (ჭავჭავაძე)

# შოთა მართალისა

დაუმძიმდა კაცთა ნათესავსა ძველი რჯული, ძველი ალთქმა, შეერყა საძირკველი კაცთა ცხოვრებასა, რომელსაც ქვაკუთხედად ედვა ძველის ალთქმის მოძღვრება: თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ. სხვა მადლის მწყურვალმა სულმა კაცისამ იგრძნო, რომ ამ მოძღვრების საფარქვეშ ვეღარ იდგომილება დიდხანს, — და ძველი ქვეყანა ირყევა, ირღვევა, მიდის და იუჟება. იგრძნო, რომ იგი ღმერთი მსჯავრისა და შურისგებისა, ღმერთი წყორძისა და რისხვისა ამასთანავე კაცთმოყვარე, მადლის მომფენი, ყოვლად მოწყალე და ყოველთა შემწყნარებელი ღმერთიც უნდა იყოს.

ამ ქვეყნის რყევასა და რღვევაში ჯერ კარგად ვერგამორკვეული სასოება ადამიანისა, ჰედაგეს-რა ძველს დედა-ბოძს სულის საფარისას წარსაქცევად გამზადებულს, ჰკვენეს და ჰლალადებს ზეგარდამო შთაგონებულთ კაცთა ბაგითა. რყევისა და რღვევისაგან თავის ბუდიდამ ამომფრთხალი გული ადამიანის უთვისტომოდ, უბინაოდ ჰრჩება. გული შემინებული, ელდაცემული ემიებს ახალ სადგურს, ახალს ბინას, რომ ამოვიდეს ახალი ვარსკვლავი, ახალი ალიონი, რომელმაც უნდა გზა აჩვენოს და გააგებინოს ძველის ქვეყნის რყევისაგან ატეხილს მტვერ-ბუქსა და ბინდ-ბუნდში. ერთხელ წაირღვნა ქვეყანა, ეხლა-კი უნდა დახსნილ იქმნას და აი, ამ მხსნელს ელის ხსნის მწყურვალე სული.

„შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი!“ — ჰლალადებს ზეგარდამო შთაგონებული წინასწარმეტყველი: — „არა სადა უმრნემეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამდღვარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი, ისრაელი!“

ადამიანი რაღაც ლოდინშია, გარღვეულ უფსაკულის წინაშე მდგომარე, სასოს არ იკვეთს, რომ მოვა მაცხოვარი და თავის ყოვლად-მხსნელს ხელსა მომანვდისო, სასოებით აღსავსენი, სულით განდიდებული და აღფრთოვანებული წინასწარმეტყველი წინათ-ჰკრძნობენ ამა მოსვლასა და ვითა მახარობელი ნუგეშს სცემენ გულწასულს ადამიანს, მოვაო, ოღონდ შენ განმზადე გზანი მისინი.

„აპა ესერა, მე წარვაკლინო ანგელოსი

ჩემი წინაშე პირსა შემსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენი წინაშე შენსა“ — ჰლალადებს სრულის რწმენის ღალადითა წინასწარმეტყველი: — „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ჰყვენით ალაგონ მისინ“.

და აპა, ამა გზათა განმზადებად და წრფელ-ჰყვად ალაგოთა მისთა, მოევლინა ქვეყანას იოანე წინამორბედი, მღალადებელი უდაბნოსა შინა. გულშერყეულს და ნუგეშის მწყურვალს ქვეყანას ჰკონია, რომ აი ეს არის იგი, ვინც ასე ძლიერ სწყურიან ჩემს ობლად შთენილ სულმა და ვისაც ასეთის სასოებით მოველოდებითო. არაო, — ეუბნება წინამორბედი იოანე:

„ესერა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განხსნად ხამლთა მისთასა. მე ნათელ-გცეთ თქვენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეთ თქვენ სულითა წმიდითა“.

იშვა ქრისტე, იშვა იგი, რომელმან ნათელ-სცა ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა იგი დედისაგან, რომელ კურთხეულ არს დედათა შორის. იშვა იგი, რომელიც, როგორც იოანე მახარობელი ამბობს, — დაემკვიდრა ჩემ შორის და ვიზოლეთ დიდება მისი, დიდება ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სახსე მადლითა და ჭეშმარიტებითა... რამეთუ რჯული მოსესაგან მოეცა, ხოლო მადლი და ჭეშმარიტება იესოს მიერ იქმნა... რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვის სოფლად, რათა დასაჯოს სოფელი, არამედ რათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ. იშვა იგი, რომლის გამო სთქვა იოანე წინამორბედმავე:

„აპა ტარიგი ღვთისა, რომელმან ალიხვნეს ცოდვანი სოფლისანი! ესე არს, რომლისათვის იგი ვსთქუ: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელიც პირველ ჩემსა იყო, რამეთუ უპირატეს ჩემსა არს“.

„ნუ გეშინ!“ — ახარებს ქვეყანას ანგელოზი: — „ნუ გეშინ, რამეთუ აპა იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი... და ესე იყო თქვენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი, შეხვეული და მწოლარე ბაგასა“.

რა დიდებული სახეა, რა დიდებული სატია!.. ღმერთი, მოვლინებ-

ული ცხონებად და ხსნად ქვეყნისა, ღმერთი ახლის აღთქმისა, რომელმან უნდა აღიხვნას ცოდვან სოფლისან. ქე ღვთისა და კაცისა, რომელმან უნდა ნუგეშ-სცეს ქვეყანას, — „მოვედინ, მაშვრალი და ტვირთმძიმერი, და მე განგისვენოთ თქვენ“, ღმერთი, რომელმანც უნდა ნათელ-სცეს ბენელს ქვეყანას სულითა წმიდითა, იშვა ვითა ღარიბი ღარიბ საფარ ქვეშ და არის შეხვეული და მწოლარე ბაგასა... მარტო ერთი ვარსკვლავიდაა აღმომხდარი აღმოსავლეთით და იგი დაპნათის ზედ ადგილსა მას შობისასა ნიშნად მისად თუ, რა სხივოსან მადლი მოეფინა ქვეყანას დედისაგან, რომელიც ამიტომ კურთხეულ არს დედათა შორის: ყრმა-ღმერთი შეხვეული და მწოლარე ბაგასა, არისლა სადმე სხვა ხატი, რომ დიდებამ ასე ადიდოს სიღარიბე და სიღარიბემ ასე ადიდოს დიდება: ყველაზედ უნინარეს ამ ხატითა უთქვა შობისავე უმაღ იგი თავდაბლობა კაცთმოყვარე ქრისტე-ღმერთისა, რომელმაც მერე გააოცა ცუდმედი-დობით გარყვნილი ძველი ქვეყანა.

იშვა იგი, ვინც გაჭირვებულს და ძირით თხემამდე შერყეულს ქვეყანას მოაცალა ულ-მობელის საძირკველი: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ და ამის მაგიერ შთაუდგა: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და ამაზედ ხელახლად დაადგინა დასარღვევად გამზადებული ქვეყანა, ვითარცა კლდეზედ, რომელსაც ვერც უამი და ვერც დრო ვერ შეჰმუსრავს და ვერ შეარყევს. ამ კლდეს ზედ დაანთხა მან თავისი ღვთაებრივი სისხლი და ზედ მოვ-

ლინებული, კაცმავე ჯვარს აცვა და ჯვარც-მული მაინც ჯვართმცმლთათვის ჰელაღადებ-და ღვთისა მიმართ: „ღმერთო, შეუნდევ, რამეთუ არა უწყიან რას იქმნან“; აი რა სულგრძელი, რა კაცთმოყვარე, რა ყოვლად-მოწყალე ღმერთი იშვა დღეს და ამას სამართლიანად ჰერობს და დღესასწაულობს მთელი ქრისტიანობა.

მას აქეთ, აღსდგა ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალი ცხოვრებისათვის. მას აქეთ შეაფარა კაცმა თავი თვისი ღმერთსა სიყვარულისას, მშვიდობისას, მოწყალებისას და შენდობისას. განახლდა კაცი და დღეს განახლებულს კაცს ძალუს სასოებით სთქვას: შენ ხელახლად შემქმენ მე, ქრისტე-ღმერთო, და დამ-დევ ჩემზედა ხელი შენი... შენ სცან დაჯდო-მაი ჩემი და აღდგომაი ჩემი. ალაგნი ჩემნი და ნაწილი ჩემნი შენ გამოიკვლიერ და ყოველი გზანი ჩემნი წინასწარ იხილენ... საკირველ იქმნა ცნობა შენი ჩემგან, გან-ძლიერდა და ვერ შეუძლო მას, შენ ხარ ხსნა ჩემი, შენ მოძღვრება — მაცხოვარ ჩემდა, და ველარსად განვერინო სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ველარსად ვივლტოდე: „აღ-თუ-ვპხდე ცად, შენ მუნ ხარ. შთა-თუ-ვპხდე ჯოჯოხეთად, ახლოსვე ხარ: აღ-თუ-ვიპყრნე ფრთხი ჩემი განთიად და დავემკვიდრო მე დასასრულსა ზღვისასა, — და რამეთუ მუნცა ხელი შენი მიძლოდეს მე და მარჯვენებან შემნა შემი-წყნაროს მე“.

1886 წ. 24 დეკემბერი

## შობა ჩვენს ცხოვრებაში

### პაპატა პურშულაძე:

— მქონდა ასეთი ბედნერება — 2006 წელს რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-ის მიწვევით, შობის დღესასწაულს მოსკოვის საკათედრო ტაძარში შევხვდი. წირვის დროს, საგალობლების შესრულება მთხოვა და ვიგალობე.

შემდეგი წლის შობაც უბედნერები იყო, ბეთლემში ვიყავით მაცხოვრის შობის ტაძარში მთელი ფონდი ფეხის მხარდამჭერებთან ერთად შევხვდით შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. საოცარი დღე იყო... თელავივის საოპერო თეატრში 10 იანვარს საქველმოქმედო გალა-კონცერტს ვატარებდით და რამდენიმე დღით ადრე წმინდა მიწაზე შევხვდით შობას.



## ეკატერინელი მისამართი

# „ჩამ უძრებო არ კვირებში, სახანდანო ეპისკოპოს სახურებში“



საქართველოს ეკლესიის აფეთქებულის გაუქმების შემდეგ, ნეკრესის უძველესი ეპარქია კახეთში შექმნილ კახეთ-ალავერდის ეპარქიაში გაერთიანდა და მისი აღდგენა მსოლოდ 1995 წელს გახდა შესაძლებელი. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს წმიდა სინოდის განჩინებით ნეკრესის ეპარქიას — ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია ეწოდა. ეპარქიას 1997 წლის ნოემბრიდან მართავს მიტროპოლიტი სერგი (წეკურიშვილი).

ამ ხნის განმავლობაში ძირდებოდა ეპარქიაში, უძველეს ტაძრებში აღდგა წირვა-ლოცვა. ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიწყო ტაძარში სიარული. განახლდა და შენდება ეკლესია-მონასტრები. ეპარქიაში აღდგა სულიერი ცხოვრება. ეს კი მეუფე სერგის, აქ მოღვაწე მამებისა და დედების დაუღალავი შრომითა და ლოცვით ხდება.

უურნალის სტუმარია ნეპრესალი მისამართი სარგები (წეკურიშვილი).

— როგორ გაიხსენებდით თქვენს ბავშვობას?

როგორც ყველა ქართველ ბავშვს, მეც უბრალო ბავშობა მქონდა. ოჯახში ყველაზე პატარა ვიყავი და-ძმებს შორის. ოჯახში ხუთი დედმამიშვილი ვიყავით. როგორც პატარას, სულ მანებივრებდნენ. კარგად იმოქმედა ამან ჩემზე თუ ცუდად, ალბათ, ამაზე ჩემს გარშემო მყოფმა ადამიანებმა უნდა თქვან. აბა მე თვითონ რა ვიცი. ვფიქრობ, რომ ჯიუტი ბავშვი ვიყავი — ცოტა რთუ-

ლიც. ფეხბურთს ვთამაშობდი და სულ ვვარჯიშობდი. ვიცოდი, რომ ღმერთი არსებობდა, მაგრამ რწმენაში განსამტკიცებლად რა უნდა გამეცეთებინა, არ ვიცოდი. ვერ ვიტყვი, რომ ოჯახი ღრმადმორწმუნე მყავდა. თუმცა აღდგომის დღესასწაულს ყველთვის აღნიშნავდნენ, კვერცხებსაც ღებავდნენ. მამას რწმენა ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, უფრო ზნეობრივი საკითხები იცოდა. ერთხელ მახსოვს, დაახლოებით მე-6-7 კლასში ვიყავი, მამა მესაუბრა და მითხრა, —



ელვადელ-ოცნებონი სერგი

რამ მასწავლა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ოჯახი მორწმუნე იყო. როდესაც სარწმუნოებაში მოვექეცი და ბერი გავხდი, მამაჩემმაც დაიწყო ლოცვა და დედაჩემმაც. გარდაცვალების წინ მამა ეზიარა და ისე გარდაიცვალა, დედა სამწუხაროდ, სკვდილის წინ ვერ აზიარეს, მაგრამ ისე, ნაზიარები კი იყო.

### — როგორი იყო თქვენი ოჯახისა და მძირონდელი საზოგადოების დამკადებულება რწმენის მიმართ?

— იმდროინდელი საზოგადოების დამოკიდებულება რწმენის მიმართ, მხოლოდ სააღდგომო კვერცხის შეღებვითა და სემსაციური ამბების მოყოლით გამოიხატებოდა. ვიცოდით რომ არსებობდა ღმერთი, მაგრამ კონკრეტულად კვლეული რა უნდა გაგვეკეთებინა — არ ვიცოდით. ესეც მახსოვს, მამაჩემი აღდგომის დღესასწაულზე ცხვარს კლავდა, სანთლებს ანთებდა...

ბებია მყავდა მღლოცველი, დედის დედა, ნნა, ჩადუნელის ქალი. ხშირად მარტულობდა და ეზიარებოდა. მისგან გავიგეთ ზიარება რა იყო, აღსარება რა იყო... ჩვენ ბავშვებმა არ ვიცოდით დეთის შესახებ, დაკუნინდით ხოლმე. ამიტომ ბოსელში გადიოდა და იქ ლოცულობდა. ერთხელ ტელევიზორზე თქვა — აქ გარყვნილობებს აჩვენებენ და ბოლოს ანტიქრისტე გამოვაო. ჩვენ ამაზეც დავცინდით, ახლა კი ვჭვდები რას ამბობდა...

შვილი იცოდე, ადამიანი ისეთია, რომ სხვა ადამიანთან ტყულის თქმა მაინც მოუწევს. მაფრთხილდებდა, რომ ღმერთთან არასდროს შეიძლება ტყულიო, თუ რამეს შეპირდები, ეტყვი, ჩაიფიქრებ, ეს აუცილებლად უნდა შეასრულო. დღემდე კარგად მახსოვს მამის ეს დარიგება. დედა მასწავლებელი იყო, ბევრი

ერთი კიდევ მამის მხრიდან მყავდა მღლოცველი — მამაჩემის ბიძა იყო, რომელიც კომუნისტებმა მონასტრიდან გამოაგდეს. გლახაკას ეძახდნენ — „გლახაკი ლადო“. ლადო პაპა ახალსოფელში ცხოვრობდა, ჩვენთანაც ჩამოდიოდა, მაგრამ ქალაქს დიდხანს ვერ უძლებდა. ღრმად მორწმუნე გლეხი კაცი იყო, რომელიც მარხვას არასოდეს არღვევდა. ყოველ საღამოს სანთელს ანთებდა და ლოცულობდა. ქალაქში გაუჭირდა, ახალსოფელში წავიდა და იქ გარდაიცვალა. ჩემი ოჯახიდან ეს ორი ადამიანი იყო სარწმუნოებასთან ახლოს. სხვა ღრმად მორწმუნე არავინ გვყოლია.

### — თქვენ რა ასაკიდან დაიწყეთ ტაძარში სიარული?

— 17 წლამდე ტაძარში არასდროს ვყოფილვარ. ამ ასაკში საქართველოს ჭაბუკ ფეხურთელთა ნაკრებში მოქვდი და ვარჯვეშე ვაკეში დავინწყე სარული. ჭადრაკის სასახლესთან იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარია, მარველად იქ შევედი და დავანთე სანთელი. ჯვარცმასთან ვიდექ და მახსოვს, როგორ ვიგრძენი შინაგანი შეება. შემდეგ ყოველთვის, ვარჯიშის წინ თითო-თითო სანთელს ვანთებდი ხოლმე. ერთხელ ავად გავხდი და კიევში სამკურნალოდ გამგზავნეს. იქაც მივდიოდი ხოლმე ტაძარში. შემდეგ, რაღაც პრობლემები შემექმნა და იალტაში წამიყვანეს საოპერაციოდ. მახსოვს, იქ ერთი თბილისელი მეგობარი ბიჭიც იყო ჩამოსული ოპერაციისთვის, ძალიან იოლი ოპერაცია უნდა გაეკეთებინა, მაგრამ საუძედუროდ, გარდაიცალა. შეძრწუნებული წავედი ტაძარში და სანთელი დავანთე, გულით ვთხოვე უფალს, გადავერჩინე.

ჯარ ში ყოფნის პარალელურად სპორტზე სარულის ისევ განვაგრძობდი, საკმაოდ სერიოზული სპორტსმენი





მოსკოვის სასულიერო სამინისტრი

ვიყავი, ფეხბურთსაც კარგად ვთამაშობდი და ფრენბურთსაც. ჯარიდან მაიორმა ერთ-ერთ გუნდში გამაგზავნა სათამაშოდ, სადაც ოთხი თვე ვთამაშობდი. ეს სერიოზულ დარღვევად ითვლებოდა, მაიორმა თავის თავზე არ აიღო და დამაბრალა — თვითონ გაიპარაო. 7 წელიწადი ციხე მემუქებოდა. შინაგანად ძალიან ცუდად ვიყავი, მასოვს, როგორ ვილოცე და უფალს ვთხოვე — ამ მდგომარეობიდან გამომიყვანე და ყოველწლიურად სამ ცხვარს შემოგწირავშეთქ. სამწაული მოხდა, აღმოჩნდა, რომ მაიორს ჩემს გარდა 18 კაცი ჰყავდა ასე გაგზავნილი, ყველას კუთხილ ფულს იღებდა. მაიორმა ბოდიში მომიხადა. სწორედ მაშინ ნათლად ვიგრძენი, რომ ღმერთი მართლა არსებობდა. ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა.

1981 წელს სწავლა ხარკოვის პედაგოგიური ინსტიტუტში განვაგრძე. როდესაც თბილისში ჩიმოვედი, მამს ვუთხარ, ცხვარს შევპირდი ღმერთს და უნდა დავკლა-მეთქ. კარგიო — მითხრა. მომებმარა, თანხაც მომცა. დავკალით ცხვარი და დავპატიუეთ ხალხი.

შემდეგ წელს, ხარკოვიდან ჩამოსულმა ისევ გადავწყვიტე ცხვრის შენირვა, მამამ მთელი ამბავი ამიტეხა — ეშინოდა რომ მორნმუნე პაპა-ბების გზას არ დავდგომოდი. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თელის ეკლესიას ცხვარი მაინც შევწირე.

მესამე ჩამოსვლაზეც იგივე განმეორდა, მაგრამ ჩემს სიძესთან ერთად გავიპარე და

ცხვარი მაინც დავკალით. მამამ როცა მნახა, აღარაფერი უთქვამს...

კვლავ დავბრუნდი ხარკოვის ინსტიტუტში. ერთხელ საშინლად ამტკივდა კბილი, საერთოდ ფიზიკურად დიდი და ძლიერი ვიყავი, მაგრამ კბილის ამოღების ძალიან მეშინოდა. ჩემმა ძმამ ერთ დამსახურებულ ყბასას ქრურგთან მიმიყვანა, ნარკოზის გაკეთება შემომთავაზეს, გავიკეთე და მოვკვდი, 15 წუთი ჩემს თავს დაფურუებდი ზემოდან, საიქიოც ვნახე და ჯოჯოხეთიც... ამ ყველაფრის მერე ხარკოვში, ხარების სახელობის დიდ ტაძარში მივედი, იქ შემხვდა ერთი მონოზონი ქალი, 82 წლის მატუშკა ანტონინა, რომელიც 16 წლისა იყო მონასტერში რომ წავიდა. მივედი მასთან, დამარიგა წიგნი მომცა „ჩვენთან არს ღმერთი“. ამის მერე ჩემი ცხოვრება შეიცვალა, დავიწყე ლოცვა, მარხვა, ზიარება... შემდეგ უკვე მივკვდი, რომ იქ ვეღარ ვძლებდი, პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლა აღარ მინდოდა, გადაწყვეტილება მივიღე, რომ სწავლა სხვაგან გამეგრძელებინა. მასწავლებლებს ბოდიშს ვუხდიდი — მე თქვენ კი არ გაგირბივართ, ისეთი შინაგან მდგომარეობა მაქს, რომ აქ ვეღარ დავრჩები-მეთქ...

ერთ კურიოზს მოგიყებით. მე უკვე სარწმუნოებაში შესული ვიყავი და თუ პედაგოგები რაიმე არარელიგიურს იტყოდნენ, ყველას ვუტევდი, შეკითხვებს ვუსვამდი და „ვაშავებდი“.

ერთხელაც ფილოსოფიის ლექციაზე მივედი. ფაქტობრივად ფილოსოფიას არ ვსწავლობდი, რადგანაც ათეიზმს ქადაგებდა და ღმერთს უარყოფდა. რექტორს ფილოსოფიის ლექტორისთვის დაუვალებია, ცუდი ნიშანი დაუწერეთ და გარიცხეთო. ეს ლექტორი დიდხანს მელაპარაკა, გამომკითხა ეკლესის შესახებ. ვუთხარ, რომ პაველადი მატერია კი არ არს, ღმერთმა შექმნა სამყარო-მეთქ. ადამიანის გარდაცვალებაზეც შემეკითხა. სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური კაცი იყო, ხომ ათეიზმს ასწავლიდა, მაგრამ შინაგანად რწმენისკენ იხრებოდა. ბოლოს, იცით რა მითხრა? — მე არავისი მარიონეტი არ





გეგონო, ჩუმად იმასაც გეტყვი, რომ მორწმუნე და მყავსო და ოთხიანიც დამინერა.

კიდევ ერთი პედაგოგი მახსოვეს — თამარა ვიქტოროვნა, რუსულს გვასწავლიდა. გარდა რუსულისა მან ძალიან ბევრი რამ გვასწავლა, მაგალითად, როგორ უნდა ჩავიცვათ... რაღაც დონემდე რომ მიმიყვანა, მითხრა — შენ აქ ისე გაიზარდე, მე მეტს ვერაფერს გასწავლი, ბიბლიის წიგნი იშოვე და წაიკითხეო...

ვთამაშობდი ხარკოვის მეორე ლიგის გუნდში — „მაიაკში“, რომელიც უკრაინის ჩემპიონიც იყო, მეკარე ვიყავი.

ინსტიტუტიდან წასვლა რომ დავაპირე, ყველამ ძალიან განიცადა, ტიროდნენ, ავტოსენი, ეს რომ არ გავაკეთო, მოვკვდებიმეთქი და, თანაც, ამით ჩვენი მეგობრობა არ მთავრდებოდა... ისინც ხვდებოდნენ, რაც ხდებოდა შინაგანად ჩემში...

სახელი რომ გამივარდა — მორწმუნე გახდაო, უშიშროებაც დაინტერესდა... ერთხელ, ტაძარში მივედი და მღვდელს ვთხოვე, პანაშვიდი გადაეხადა ბებიისთვის, მან მითხრა — წადი შვილო, ნუ დადიხარ ტაძარშიო. მე რისი ქართველი ვიყავი, გავჯიუტდი — არსადაც არ წავალ, პანაშვიდი უნდა გადავუხადო-მეთქ. იმდენი ვქენ, მაინც გადავუხადე ბებიას პანაშვიდი. მაშინაც და მისი დასრულების შემდეგაც გულში დიდ სითბოს და სიყვარულს ვგრძობდი, რომელიც ბებიისგან მოდიოდა. პანაშვიდის დასრულებისთანავე ჩემთან მესანთლე მოვიდა და მკითხა — თქვენ გინდოდათ ბიბლიის შეძენა? თანხმობა ვუთხარი. გამოიარე და შეგინახავო, 70 მანეთი ღირსო. ფული არ მქონდა...

შშობლებმა გამომიცხადეს, თუ ასეთი მაგარი ხარ და ღმერთს ასე უყვარხარ, იმან გარჩინოსო და ფულსაც აღარ მიგზავნიდნენ... ხარკოვის საფეხბურთო გუნდიდანაც წამოსული ვიყავი... გამოვედი და ხარების ტაძრის ეზოში ვდგავარ... მომიახლოვდა ჩემი თანაგუნდელი ანატოლი პლაშენკი, მითხრა, წადი პეტრი გამოვგინერეს და ფული აიღეო. მივედი და 100 მანეთი ავიღე. მაშინვე ვიგრძენ, რომ ბებიამ მიყიდა ბიბლია, დიდი სასწაული იყო...

ამის შემდეგ, 1985 წელს მოსკოვის სა-




ევაზე სერგი საჭარაში

სულიერო სემინარიაში ჩავაბარე. ხარკოველ მეგობრებთან ურთიერთობა არ შემინტყეტია, ისინ მუდმივად ჩამოდიოდნენ ხოლმე ჩემთან. ახლაც კი მაქვს მათთან კონტაქტი.

ახლახანს ხარკოვში ვიყავი, მეგობრები ძალიან თბილად შემხვდნენ, ერთი კრავჩუკი გვყავდა, რომ დამინახა, დამავლო ხელი და ამწია. მე ვუთხარ — შე სულელო, ეპსკოპოსი ვარ და არ შეიძლება-მეთქი... მიპასუხა, — დიდი ამბავიო...

### — როგორ გაიხსენებთ მოსკოვის ხასულიერო სემინარიას?

— სემინარიაში ისეთი ატმოსფერო იყო, რომ მუდამ იგრძნობოდა უშიშროების ზენოლა, არავის გასაქანს არ გვაძლევდნენ. მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით. ჩემა მდე ერთი ქუთაისელი სტუდენტი ჩასულა, როგორც მერე მითხრეს — დიდი რესტორნის მინა ჩაუტეხავს და სამი ათასი მანეთი გადახდევინეს, ამის მერე ქართველებს ცუდი თვალით





ახალციხესა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი სარგი

გვიყურებდნენ, სულ გვჩხრეკდნენ, ოთახებს გვიმოწმებდნენ. და მაინც, იცით რა მომწონდა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში? — ახალგაზრდებს უფლის რწმენას უნერგავდნენ. ძალიან ბევრი კარგი პედაგოგი გვყავდა — ოსიპოვი, ალექსეი ლიჩი, მამა მატვეი, ივანე მასლოვი... გვასწავლიდნენ ძველ და ახალ აღთქმას, დოგმატიკას, სლავურს, რომელსაც ძალიან საინტერესოდ ხსნდნენ, რუსულს, ისტორიას, ჰომილებიკას (როგორ უნდა აიგოს ქადაგება), ასევე საღვთის-მეტყველო საგნებს. რაც მთავარია, იქ მონასტერი იყო და აღსარებაზე ბერებთან დავდიოდით. ყველაზე მთავარი რაც იყო — ლოცვას ასწავლიდნენ. სარწმუნოების მხრივ ძალიან ძლიერი სკოლა იყო. ჩემთან ერთად სწავლობდნენ მოსკოვის წმიდა სამების ლავრის წინამძღვარი მეუფე ფეოგნოსჭი, ამჟამად უკრაინაში მოღვაწე მთავარებისკოსნი ჰავლე ლებედი. ყოველ დილით ადგომა 7 საათზე იყო, მე კი 5 საათზე ვდგებოდი და ვესწრებოდი „ბრატსკის“ — პარაკლისს, რომელსაც მამები იხდიდნენ. რამდენჯერმე მაღვიძარაც კი გადამიგდეს ფანჯრიდან, მაგრამ მე მაინც ვდგებოდი. პარაკლისის დროს იქსოს ლოცვებს ვასრულებდი.

ასკეტობა მოვინდომე, იქაურ რეჟიმს არ ვემორჩილებოდი 3 თვეში დავსუსტდი და ძალიან ცუდად გავხდი... ყველაფერში მამა ნაუმი მშველოდა, ჩემი

სულიერი მოძღვარი იყო და მასთან ყოველ-დღე დავდიოდი... მახსოვს სასულიერო სემინარიაში ერთი პედაგოგი გვყავდა — ფადიკ (ალექსი) ფროლოვი, მაშინ დიაკონი იყო, ძალიან ძლიერი ბერი. მახსოვს, შინაგანად ვყოყმანობდი — ბერად წავსულიყავი თუ ცოლი მომეყვანა. ფროლოვმა მარკოზ თრაკიელის ცხოვრება წაგვიკითხა და განმარტებაც გააკეთა — გორას რომ უთხრა გადადებო გადადგა, მერე კი უკან დააბრუნაო... — თუ გინდა შენი ერისთვის რამე გააკეთო, ერთ კაცსაც კი ძალიან დიდი ძალა აქვს, თუ ის ბერად წავაო... ამის შემდეგ შინაგანად ძალიან მომინდა ბერობა...

აი, როგორი შემთხვევა მქონდა — წმიდა სამების ლავრაში შევედი და ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე სანთელი დავანთე, თან გულით შევავედრე: უფალო, ღვთისმშობელო - თუ შესაძლებელია ბერობა მინდა და რამეთი დამებმარე-თქო. უცებთითქოს დავიჩუტე, თითქოს ძალა გამომეცალა, სულ სხვანაირი გავხდი. გამოვედი და იქვე ერთ-ერთ მოძღვარს ყველაფერი ვუთხარი. მოძღვარმა მიჰასუხა — რა ბერობა, როს ბერობა, წადი სახლში და ცოლი მოიყვანეო. ცუდად გავხდი, გადავწყვიტე პატრიარქთან ჩამოვსულიყავი. ჩამოვედი და უწმინდესს ვუთხარი — ღვთისმშობელს ბერობა ვთხოვე და იქ კი მამაომ ცოლის მოყვანაზე მაკურთხაო. პატრიარქს გაეცინა — არა უშავს, იქნები ბერიო...



მოსკოვში რომ ჩავედი, ყველაფერი ჩემს მოძღვარს — მამა ნაუმს ჯუთხარ, აღმფოთდა, არავ-ითარ შემთხვევაში გოგოებისკენ არ გაიხედო, ისევ ისე გააგრძელე ცხოვრებაო. ქადაგებაც ამიტრადა... მაკურთხა — 6 თვის მერე პატრიარქთან ჩადი და თხოვე იქნებ აქ გადმოგიყვანოს.

ექვსი თვის განმავლობაში  
ყოველდღე ვცდილობდი პატრი-  
არქთან დაკავშირებას, მაგრამ  
ვერეფრით ვერ ვუკავშირდებო-  
დი. 6 თვის მერე ისე მოხდა,  
რომ პატრიარქი ფინეთიდან მო-  
მავალი თვითონ ჩამობრძანდა  
მოსკოვში. იქ შევხვდი. მახსოვს,  
აღდგომის ძალიან ლამაზი ხავერდის კვერ-  
ცხი მაჩუქა და გამომკითხა როგორ ვიყავი.  
მე ისევ ვთხოვე კურთხევა ბერობაზე და  
თანხმობა მივიღე. პატრიარქის თანხმობის  
წერილით წმიდა სამების სერგის ლავრაში  
მიმიღეს. 1987 წლის 13 აპრილს, როცა 28  
წლის გაფხდი ბერად აღვიკვეცე და უწმიდ-  
ესის კურთხევით სახელად სერგი მიწოდეს.  
ერთხელაც ფული და მომმარაგებელი გამო-  
მაყოლეს და საქართველოში გამომიშვეს,  
რათა ახაშენის ლვინ შემეძინა. პატრი-



არქთან ლოცვა-კურთხევის ასაღებად რომ  
მივედი, პირდაპირ მაკურთხა საფარაში მო-  
ნასტრის წინამდლვრად წავსულიყავი. ასე  
დავრჩი საქართველოში...

— რომელ ექარქაში დაგადგინათ პატრი-  
არქიშა და რა მდგომარეობა დაგხვდათ იქ?

— ჰირველად ახალციხის ეპარქიაში საფარის წინამძღვრად დავინიშვნე. უაღრესად მოსუვარულე ხალხი დამსვდა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ

მაინც ძალიან გულთბილი იყვნენ. მონასტერში ამოდიოდნენ, გვესკვარულებოდნენ, იცოდნენ, ბერობას რა ძალა აქვს და რა დიდი რამ არის... შეიძლება ბეჭრი რამ არ ესმოდათ, მაგრამ შინაგანად გამოხატავდნენ სიყვარულს, სითბოს, მეგობრობასა და თანადგომას, ამან ძალიან გამახარა. აქ გავიცან სტეფანე კალაიჯიშვილი (ამჟამად მთავარეპისკოპოსი სტეფანე). მაშინ რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელი იყო. ამოვიდა და გვითხვა — როთ შეგვიძლია დაგეხმაროთო. მევუთხარი — არაფრით-მეთქ. არც ვიცოდი, თუ მონასტრის სახურავი დაზიანებული იყო.



მან კი ამაში დიდი დახმარება გაგვიწია. ამის მერე გახდა მორწმუნე, ლოცვა დაიწყო, გაძლიერდა... ერთხელ მოვიდა ჩემთან და მითხრა — თუ ჩემს დაბადების დღემდე ცოლი არ მოვიყვანე, ბერად წავალო... მართლაც, როგორი განსაცდელი მოევლინა — სწორედ დაბადების დღეს მივიდა მასთან გოგონა, რომელსაც ელოდა და უთხრა, რომ თანახმა იყო ცოლად გაპყოლოდა... მაშინ ამოვიდა ჩემთან (უკვე ქრისტიანული გონება ჰქონდა) და მითხრა — ეს ბოროტისგან არის და ბერად მივდივარო... ამის შემდეგ იგი წავიდა მონასტერში.

ახალციხეში იმ ხანებში მხოლოდ ერთი მონასტერი მოქმედებდა და იქაც ჩვენ ვმოლვანეობდით. მეუფე ანანია ყვებოდა, — ვარდიაში რომ მივდიოდი, ბილეთის აღებას მთხოვდნენ. წარმოიდგინეთ ეპისკოპოსს რომ ბილეთებს ააღებინებ...

1993 წელს სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსად დამადგინეს, მეუფე ანანიას ძალიან ბერი რამ ჰქონდა ამ ეპარქიისთვის გაკეთებული...

### — ამჟამად თქვენ ნეკრესის ეპარქიას ხელმძღვანელობთ, რამდენ ეკლესია-მონასტერია თქვენს ეპარქიაში?

— ჩვენს ეპარქიაში 15 ეკლესიაა. გვაქვს ნეკრესის, გრემის, იოანე მეომრის მამათა მონასტრები; დუბის, ხარების, წმ. ბარბარეს დედათა მონასტრები და მაღლე გაიხსნება კიდევ ორი... თავიდან ეპარქიაში რომ ჩამოვედი, მარტო მამა ბენიამინ და კიდევ სამი მღვდელი მოღვაწეობდა. ბერებს რომ გვხედავდნენ, შეკრული თმის გამო ჰიპები ვეგონეთ, თხებს გვეძახდნენ... ყვარელი მძიმე რეგიონია, ხალხი წაკლებად მორწმუნეა, ამიტომ იყო პოპლემები, მაგრამ ბეჭრი კეთილი და გონიერი ადამიანიცაა და იმედი მაქვს მაღლე სულიერადაც გაძლიერდებიან...

### — სასულიერო გიმნაზიასა და სემინარიზე რას გვეტყოდით?

— სასულიერო გიმნაზია 1998 წელს გაიხსნა. თავიდან არც შენობა გვქონდა ჩვენს საკუთრებაში — სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ვიყავით და არც დაფინანსება გვქონდა, მაგრამ მაინც რაღაცას ვახერხებდით. ამჯერად



მდგომარეობა გამოსხიორებულია და მთავრობის დახმარებით დაფინანსებაც გვაქვს. დღეს გიმნაზიაში 265 ბავშვი სწავლობს. აქ ვასწავლით ძირითადად რელიგიას, ხელსაქმეს, ხეზე კვეთას, მედავითნეობას, გალობას. მადლობა ღმერთს, ბავშვები იცვლებიან, კეთილშობილები ხდებიან.

შარშან უწმიდესის კურთხევით სემინარიაც გავხსენით. ჯერ სასწავლებლის სახე ჰქონდა, მაგრამ მერე შევცვალეთ. ვასწავლით ქართულს, ისტორიას, ინგლისურს, რუსულს, ასევე ძველ და ახალ აღთქმას, დოგმატიკას, მოციქულთა საქმეს, კატეხიზმოს; პომილეტიკას მესამე კურსიდან ვიწყებთ, მერე ძირითადად ღვთისმეტყველება იწყება. ამ ბავშვებიდან თუ რომელიმე მასწავლებელი გახდება, კარგი იქნება, თუ არადა ჩვენ მათ მომავალ ბერებად და მონიზვნებად ვზრდით.

### — ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ღვინის წარმოებაც აამოქმედეთ...

— ღვინის წარმოება ეპარქიაში ჩამოსვლისთანავე დავიწყეთ, რამდენჯერმე გავაკუთეთ საბარძიმე ღვინო, ძალიან კარგი გამოგვივიდა. 30 ტონა ღვინო გვქონდა, მისი ჩამოსხმისა მე არაფერ მესმოდა. დახმარება გამინია ჩემმა მოგვარე — ზურაბ ჩეკურშვილმა. ეს ღვინო იმდენად კარგი გამოვიდა, რომ გერმანიიდან ჩამოდიოდნენ მის წასაღე



ბად. ერთმა უცხოელმა ორი ყუთი ღვინის ყიდვა გადაწყვიტა, მე ვუთხარი — გაჩუქებ-მეთქი, გაგიუდა. მერე გავიგე თურმე ერთი ბოთლი ასეთი ღვინო უცხოეთში 200 დოლარზე მეტი ლირს. „მასის“ ჯილდოთი რომ დაგვაჯილდოვეს, ეს ჩვენი ღვინო არ იყო — ალექსანდრე ხარებავას ეკუთვნოდა; მას მუდმივად აქვს მაცივარში ღვინო, რომელსაც რომ გადმოდგამ 4 საათში დუღილს იწყებს. აი, სწორედ ეს გასინჯეს იტალიელმა მეცენატებმა ვერონიდან და გვითხრეს — უძვირფასესი ღვინო გაქვთო. ვაჩვენეთ ღვინის ქარხანაც, სადაც ქინძმარაულს ასხამენ. მოხიპლულები წავიდნენ. რომ ჩავიდნენ, მალევა დაგვირევეს — თუ შეიძლება დაჯილდოვებაზე ჩამოდითო. უწმიდესის კურთხევით ჩავედით. ეს იყო ჯილდო, რომელიც ჩვენ ღვინის წარმოების ხელშეწყობისთვის გადმოგვცეს.

— როგორ გაისუნებდით თექნის სულიერ შვილებს — მეუფე თეოდორეს და მეუფე საბა?

— მასიოვს ჩვენთან პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი გოჩა ჩოგოვაძე ჩამოვიდა, ვისაუბრეთ სარწმუნოებაზე, მერე ჯვარცმასთან მივიყვანე. თურმე შვილი ჰყოლია მკვდარი და ცრემლი მოადგა, მითხრა — მინდა რომ მჯეროდეს, მაგრამ ვერ ვიჯერებო... შემჩირდა, რომ ყოველ წელიწადს თავისი სარჯით გამოგზავნიდა სტუდენტებს მონას-

ტერში მოსახმარებლად. ასე ჩამოვიდნენ ჩვენთან დიმიტრი ჭუაძე (ამჟამად მეუფე თეოდორე), ზაზა გიგიბერია (ამჟამად მეუფე საბა), გია ბარამიძე, ლევან სვანიძე და გოჩა ცეტტიშვილი. შემდეგ მათგან მეუფე თეოდორე და მეუფე საბა ხშირი სტუმრები გახდნენ — აქაურობის გარეშე ვეღარ ვძლევთო. ასე დარჩინენ, გაძლიერდნენ და ლრმად მიიღეს სარწმუნოება.



— რას უსურვებდით ამ შობა-ახალწელს ახალგაზრდობას და სრულობდ საქართველოს?

— პირველ რიგში — რწმენაში გაძლიერებას. იცით რა, რომ ვუკვირდები, დღესდღეობით ადამიანები ვითარდებიან, ძლიერდებიან, ლრმავდებიან, მაგრამ ჩვენს ახალგაზრდობას სარწმუნოება უჭირს. მარტო ეკლესიაში სიარული და ზედაპირული რწმენა საკმარისი არ არის, საჭიროა ძიება, სწავლა, ცოდნა, რომლის მიღებასაც შინაგანი ძალისხმევა და ცოტა ასკეტური ცხოვრება სჭირდება. მე ვიცი, რომ სარწმუნოება უფრო ბედნერებაა, ვიდრე ცოდნა. უსურვებდი ახალგაზრდებს სარწმუნოება მიეღოთ და გაძლიერებულიყვნენ. რაც ცოდნით არ კუთდება, სარწმუნოებით სრულდება. ღმერთმა უშველოს და ძალა მისცეს საქართველოს. მთელ საქართველოს უსურვებ, რომ უწმიდესი და უნეტარესი ღმერთმა კარგად გვიმყოფოს, გამოგვიჯანმრთელოს და დიდხანს გვყავდეს.

ინტერვიუ მოამზადა  
ნათია გოგუაძემ



## შობა ჩვენს ცხოვრებაში

### ჯანსულ ჩარპვიანი:

— ერთი რამ მინდა გითხრათ — სიყვარული თუ შექმნის მომავალს! უსიყვარულოდ არაფერი არ არსებობს ამ ქვეყანაზე. ზოგს ჰელია, რომ სიძულვილი რამეს ნიშნავს, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩემი ერთი პატარა ლექსი ასე მთავრდება — ვისაც ვუყვარვარ, მიყვარს და ვისაც ვძულვარ, არ მძულს.

ლმერთი სიყვარულია, მაგრამ ეს, რომ იცოდე უნდა მორწმუნე კაცი იყო. ბიბლიაში ჩახედული კაცი უნდა იყო, უნდა იცოდე შობა რას ნიშნავს. რა უნდა იყოს უფრო ლამაზი და უფრო მნიშვნელოვანი ამ ქვეყანაზე, როცა მარიამის წილხვედრ ქვეყანაში შობა გვაქვს.

მთელი ჩემი ცხოვრება შობა იყო განსაკუთრებული დღე. მამა-პაპიდან მოყოლებული ყოველთვის გვეუბნებოდნენ — ეს დღე არ გამოტოვოთ, აუცილებლად მიდით ტაძარში. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროში ვცხოვრობდით, რასაც კომუნისტური ერქვა, მაშინაც იყვნენ მორწმუნე ადამიანები: დედ-მამა, ბებიები და ბაბუები. მაშინ შეიძლება რწმენა არ იყო იმდენად სალხში, როგორც დღეს, როდესაც ჩვენ უნმიდესი და უნეტარესი, უტკბილესი პაროვნება სელმძღვანელობს. თავისი მრევლი ჰყავს და ეს შესანიშნავია.

უხერხულიც შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენს დროს შობას ხშირად ქეიფითაც აღვნიშნავდით. გვიხაროდა — ქრისტე იშვა ბეთლემისაო — ვმლეროდით. 1 მაისიც იყო და 7 ნოემბერიც — რა არ იყო კომუნისტების დროს, მაგრამ შობას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

კაცი მორწმუნე თუ არ ხარ, უნდა ეცადო, რომ მორწმუნე გახდე.


სრულიად საქართველოს ერთ რამეს ვუსურვებ, მთელი ჩემი ცხოვრება ამას ვფიქრობ — შეერთდით, შეერთდით.

როცა გალაქტიონი ამბობდა, — „დროშები ჩქარა“ — იმას კი არ ამბობდა, „ნითელი დროშებიო“ — არამედ შეერთდითო. შენ იმ ძველ დროშას მოუარეო — საქართველოს ერთიანობაზე ფიქრობდა.

ჩვენს ახალგაზრდობას ვუსურვებ, რომ ჭეშმარიტების მომზრე იყვნენ. ლმერთი ხომ ჭეშმარიტებაა. წარსულის ფასი უნდა ვიცოდეთ. ვინც წარსული არ იცის — მას აწმყო არ აქვს. ვინც აწმყო არ იცის — მას მომავალი არ ექნება.

ვიღაცა შემეცამათება — მაში, ილიამ რათა თქვაო — „აწმყო თუ არ გწყალობს მომავალი შენია“. ილიამ ეს იმიტომ თქვა, რომ აწმყოს გარეშე დარჩენილ ქვეყანას შეუძახა — არ შეშინდეო. თუ სამი დრო არ გვექნება და სამ დროში არ ვიცხოვრებთ, მაშინ არავინ ვიქნებით. ახალგაზრდებს მოვუწოდებ — იცხოვონ სამ დროში.

გიორგობა დღე გვაქვს ყოველდღე „ჯორვებია“-ს, რომ გვეძახიან, ეს სახელი წმ. გიორგიდან მომდინარეობს. ჩვენ ვართ მორწმუნე ხალხი. ყველანი დავუბრუნდეთ ჩვენს ქვეყანას, რომ გვექონდეს მომავალი.



**ქრისტიალობანია „პირამიდობობა“,  
ნიუიჯარული მუსიკა**

„ნიუ ეიჯის“ კიდევ ერთი ელემენტია მასიური გატაცება ქრისტალებითა და ქირფასი ქვებით, რაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ნიუეიჯერელთა აზრით, ქრისტალების ენერგიას შეუძლია სხვადასხვა ავადმყოფობისგან განცერება. თითქოს-და ქრისტალების მეშვეობით ადამიანს შეუძლია კონცენტრირება, რადგან, მათი აზრით, ქრისტალებს გააჩნია რაღაც შინაგანი პოზიტიური ენერგია.

არსებობს ეწ. ქრისტალების მაგია, რომელიც სწამო ნიუეიჯერელებს. მაგ. ურნალ „თამ-ში“ გამოქვეყნდა სტატია ქალზე, რომელსაც პქონდა „ქრისტალური ჯადოსნური ჯოხი“, რომლის მეშვეობითაც ის „ურნავდა“ ავადმყოფებს. ნიუეიჯერელთა მაღაზიებში, გამოსახუნ ადგილს, აუცილებლად არის ქრისტალების განყოფილება.

„როცა თქვენ მედიტირებთ, მედიტაციას დაამატეთ ქრისტალი, და ის იყოს თქვენი მედიტაციის აუცილებელი ელემენტი და, თქვენ დაინახოთ, თქვენი მედიტაცია გაცილებით უფრო ეფექტური გახდება“ – გვმოძღვრავთ

მთავარეპისკოპოსი სტეფანე

## ანუ „ახალი“ მოძრაობა სულის ნართულებისაკან

(გაგრძელება, დას. იხ. „ახალგაზრდობა“ №8)

ნიუეიჯერელთა მასწავლებლები.


„ქრისტალური ენერგია, – გეტუგიან ისინი, – „ფაქტი ვიბრაციებისგან“ შესდგება, ხოლო თქვენი სხეულიც, ასევე, ვიბრაციებისგან შესდგება. ნაწილი ვიბრაციებისა – სნეულებათა შესაბამისია, ნაწილი კი – ჯანმრთელი მდგომარეობისა. კრისტალური ვიბრაციები გარდაქმნიან თქვენი სხეულის ვიბრაციებს და გამოჰყავთ იგი ავადმყოფური მდგომარეობიდან.“

კიდევ ერთი ელემენტი, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ „სრულად გამოათავისუფლო კრისტალის პოტენციალი“ – კრისტალური ქანქარაა, რომელიც გიჭირავთ ხელში და შეხედვით (ისე, რომ ხელი არ მოძრაობდეს) აიძულებთ იმოძრაოს. ჯერ – საათის ისრის მიმართულებით, შემდეგ – საწინააღმდეგოდ.

აქეთ, აგრეთვე „მესამე თვალის“ „გასახსნელი“ ვარჯიშები. ნიუეიჯერელების აზრით „მესამე თვალი“ ენერგიის ცენტრია, რომელიც შებლის შეუში მდებარეობს. ამ თვალის „გასახსნელად“ გვირჩევენ დავიჭიროთ დიდი კრისტალი თვალშინ და ნელ-ნელა დავწიოთ იგი ჭიპის დონეზე 5 სანტიმეტრით ქვევით. დაუინებით უნდა მიაჩერდე კრისტალს და გამუდმებით იმეორო კითხვა: „ვინ ვარ მე?“

ასეთ ბოდვას მრავლად ნახავთ მათ „ლიტერატურაში“. თუ დაკვირვებისართ, როგორ გაქრა სასწრაფო დახმარების მანქანებზე ჯვრები და გახნდა კრისტალები.

ქრისტალი არ არის მათი ერთადერთი „წმინდა“ საგანი. ასეთი საგნების სია ძალზედ გრძელია და





შეიცავს ისეთ საგნებს, როგორიცაა ტიბეტური ზანზალაკები, ექზოტიკური ბალახის ჩაი, სკანდინავური რუნები, მზის ენერგია, ფერადი სანთლები და ა.შ. ზოგიერთი ნიუეიჯერელი ექიმბაში ვაჭრობს ძვირფასი ქების ნაყენებით. მაგალითად, წელიან ფინჯანში, მზის ან სავსე მთვარის შუქებე აყენებენ მარგალიტს და, შემდეგ, ასაღებენ „მარგალიტის ბულიონად“.

ნიუეიჯერელთა კიდევ ერთი „სიწმინდე“ პირამიდაა. პირამიდის შესახებ მათ მთელი „მეცნიერება“ მრიგონეს – „პირამიდოლოგია“. ისინი „შეისწავლიან“ ეგვიპტურ პირამიდებს და ახალ პირამიდულ კონსტრუქციებს აგებენ, „მედიტაციური ვიბრაციების გასაძლიერებლად“.

უნდა აღინიშნოს, რომ „იელოველთა“ პირველი უფროსი ჩარლზ რასელიც იყო გატაცებული „პირამიდოლოგიოთ“. მან უწოდა ხეოფსის პირამიდას – „ქვის ბიბლია“ და დაიწყო მისი პარამეტრების გაზომვა და ეთმანეთზე გამრავლება და გაყოფა. ბოლოსდაბოლოს მრავალი გამრავლება გაყოფის შემდეგ მან მიიღო 1914, რაც დიდი ამბით გამოაცხადა ქრისტეს მეორედ მოსვლის ქამად. სხვათა შორის, რასელის საფლავს დაადგეს მასიური ქვის პირამიდა, რომელიც დღესაც დგას პიტბურგის მახლობლად სასაფლაოზე. ჯოზეფ ფრანკლინ რუტერფორდმა, რომელიც გახდა „იელოველების“ უფროსი ჩარლზ რასელის შემდეგ პირამიდას რასელისგან განსხვავებით „ექმაკის ბიბლია“ უწოდა.

ხეოფსის პირამიდის თავგანისმცემელთა რიგს მიეკუთვნებოდა სექტანტური ნეოქარიზმატიული „სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ერთერთი ლიდერი უილიამ ბრანკემი (1909 – 1965). ის ამბობდა, რომ მას ბავშვობაში პქონდა „გამოცხადება“, რომ თოთქოს წმიდა სამების იდეა – ბოროტისგანაა, და რომ ყველა, ვინც სამების სახელზეა მონათლული, უნდა თავიდან მოინათლოს „უფალ იესო ქრისტეს სახელით“. ის ასწავლიდა, რომ ჯოჯოხეთი მუდმივი არ არის, რომ საბაზანა და ცოდვილები საბოლოოდ განადგურდებიან, რომ ხეოფსის პირამიდის დერეფნები და ზოდიაქოს ნიშნები – უფლის გამოცხ-



უილიამ პრანკემი

ადებაა, არანაკლები, ვიდრე ბიბლია, რომ ადამიანის სიცოცხლე დაბადებული წვილის პირველი სუნთქვით იწყება და ამიტომ, აბორტი დასაშვებია, რომ იესო ქრისტე მიწიერი ცხოვრების დროს მხოლოდ ძე კაცისა იყო და არა ძე ღმრთისა, რომ იესო ქრისტე ამაღლების შემდეგ გახდა „ძე ღმრთისა და სული წმიდა“ (ღმერთმა შეგვინდოს ამდენი მკრებელობის განმეორება).

ყველა დროისა და ხალხის ოქულტისტებს უყვარდათ ხეოფსის პირამიდის „ეკლეგა“. დღესაც შეგვიძლია ვიხილოთ ტელევიზიით ვიდაც „მეცნიერ-ჯადოქრები“, რომლებიც გვიყვებიან პირამიდის „ჯადოსნურ თვისებებზე“. ყოველი მათგანი ამრავლებს, ყოფს, ამატებს, აკლებს მის სხვადასხვა პარამეტრებს ერთმანეთზე. ასე ღებულობებს ნებისმიერ ციფრს – გინდ დედამიწიდან მთვარემდე მანძილს, გინდაც ნებისმიერ მისოვის საჭირო თარიღს.

არსებობს ნიუეიჯერული მუსიკაც. ეს მუსიკა სხვადასხვა სტილში იწერება, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულია – მედიტაციური, გაწელილი, ძილის მოგვრელი მუსიკა, რომელ-



საც ერწემის ჩიტების ჭიკჭიყი, ვეშაპთა დმუშილი, მგლების ყმუილი, ჭრიჭინების ჭრიჭინი, ქარის შეუილი, ჩანჩქერის ხმაური და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანთა მირითადი ნაწილი, რომელიც ისმენს ამგვარ მუსიკას ნიუეიჯერელები მას ძალზედ სერიოზულად უდგებიან და რელიგიურ მსახურებას უწოდებენ.

ნიუეიჯერელები წერენ, რომ მათი მოძრაობის მთავარი პრინციპია – ვიბრაცია. რომ თითქოს ვიბრაცია – ღვთაებრივი ენერგია „აუმია“, რომელიც არ აძლევს სამყაროს დაშლის საშუალებას. მათი აზრით, ჭეშმარიტი მუსიკა იქმნება მათ მიერ, ვინც ნახელობს გზას „დიად აუმთან“ (ან „ომთან“) შეხებისა, ვინც შესძლო ამ ვიბრაციაში შეღწევა და ამ მუსიკის მეშვეობით მიაღწია „უზენაეს გონიერებას“.

### ასტროლოგია და უფოლოგია

კიდევ ერთი ნიუეიჯერული სენი, რომლითაც მასიურადაა შეცყრობილი ჩვენი თანამედროვენი – ასტროლოგიაა. მრავალი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი მიმართავნ ასტროლოგებს კონსულტაციისთვის, სპეცსამსახურები ინახავენ სრულიად გასაიდუმლოებულ ასტროლოგიური პროგნოზების ბიუროებს. ამინდის პროგნოზით, ყოველდღიურად, უამრავ ჟურნალ-გაზეთში იძექდება ასტროლოგიური პროგნოზები, დღეში რამდენიმეჯერ მათ გადმოსცემენ ტელებიზიები, რადიოები, მათ შესახებ ინფორმაციის შეტანას გთავაზობენ მობილური ოპერატორები, ინტერნეტ-სივრცე სავსეა ათასგვარი ასროლოგიური

პროგნოზით. ასტროლოგიური პროდუქციით სავსეა საგაზეთო კოსკები და წიგნების მაღაზიები. ყოველივე ეს ანეგდობურ ღონებდება მისული. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ: „თქვენი ძალის ასტროლოგიური პროგნოზი“, „კატების ასტროლოგიური პროგნოზი“, „თქვენი პატარის პირველი პროგნოზი“, „პროგნოპების წიგნი მოზარდთათვის“, „მოძებნეთ ცხოვრების მეგზური ასტროლოგის მეშვეობით“, „ასტროლოგის სექსუალური ნიშნები“, „პრომოსქესუალურობა პროგნოზი“, „ასტროლოგიური კერძების წიგნი“, „ფასიანი ქაღალდების კურსის წინასწარმეტყველება“, არსებობს, აგრეთვე „სამედიცინო ასტროლოგია“ და, თქვენ წარმოიდგინეთ, „ასტროლოგია და ბიბლია“-ც.

ასტროლოგია შეიძლება იყოს მარტივიც და როგორიც, გააჩნია რა უფრო გაწყობთ. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

მარტივი პროგნოზი „ლომის“ შესახებ ამბობს, რომ „ლომები – ისეთი ადამიანებია, რომ ლებაც უყვართ მოვლენათა ცენტრში ყოფნა, მათ გააჩნიათ დრამატიზმის გრძნობა და ტენდენცია, ყველაფერი სახალხოდ წარმოაჩინონ, მათ აქვთ ძალაუფლებისკენ ლტოლვა, კარგი ლიდერები არიან, მაგრამ ხანდახან შესაძლოა გამოიჩინონ ზედმეტი მფარველობა ან იყვნენ ზედმეტად ავტორიტარულნი. ლომები ბავშვებივით არიან, შეუძლიათ იყვნენ ზედმეტად გახსნილნი და ზედმეტად მიმნდობნი, მათვის უცხოა ცბიერება.“

როგორც ვხედავთ, პორტრეტი დახატულია ფართო ხაზებით, ისე რომ ასეთად შეიძლება მრავალი ადამიანი მივიჩნიოთ. მეტიც, რადგან მოყვანილი თვისებები მირითადად დადებითია, ხოლო უარყოფითი თვისებები, არც თუ ისე მძიმე, ადამიანები განეწყობიან მიიჩნიონ თავისად ეს თვისებები, მოუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, რაიმე ამ თვისებათაგან მათ არ ახასიათებდეთ.

ახლა კი გადავხედოთ როგორც პროგნოზის, რომელიც ლომებისთვის დაახლოებით ასე გამოიყერება: „სახლი, რომელშიც თქვენ ნახულობთ ლომს, გვიჩვენებს მისი „ეგო“-ს მოთხ-





ოვნილებათა პოტენციურ აღსრულებას და ადწერს მის დაუოკებელ ლტოლვას მიზნის მიღწევისაკენ. ამ სახლის ყველა საქმეში თქვენ უნდა გამოხატოთ ვერძის არსობა, ხარის ღირსებები და ტყუპების ცოდნა და აგრეთვე კიბოს გრძნობა ყველაფერში, რასაც აქეთებთ, რათა დაინახოთ მათი ახარეკლი საკუთარ თავში და თქვენს შინაგან იდეალებში. დატოვოთ კვალი თქვენს გარემოცვაში, არის ზუსტად ის ხერხი, რომლითაც დაუმტკიცებთ საჯუთარ თავს, რომ თქვენ ხართ დამოუკიდებელი პიროვნება“ და ა.შ. და ა.შ.

ასეთი ბუნდოვანი დახასიათება, მართლაც, ნებისმიერ ადამიანს შეიძლება მოარგო, რომელიც მოიხიბლება თავისი პერსონის „სირთულითა და მრავალწახნაგოვნობით“.

ახლა გამოჩნდა მოდერნისტული „მთვარის კალენდრები“. მათი მეშვეობით შეიძლება ყველაფერი მიუსადაგო ყველაფერს, თანაც ამ დროს მისცე ახალგამომცხვარ „პროგნოზებს“ მეცნიერული შესახედაობა.

რადგან, „ნიუეიჯის“ მეშვეობით ასტროლოგია თანამედროვე მასკულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, მიზანშეწონილია ვამხილოთ ეს ოქულტური სწავლება ქრისტიანული სწავლებით.

ასტროლოგია, ანუ ვარსკვლავთმრიცხაობა ძველ ბაბილონში წარმოიშვა, რომლის მოქალაქენიც ვარსკვლავებს მძლეოთამდე ღმერთებად მიიჩნევდნენ. მათვის, ბუნებრივი იყო, რწმენა იმისა, რომ ღმერთები თავის თვისებებს ანიჭებდნენ და განსაკუთრებულ მფარველობას უწევენ მათ, ვინც მათი ზეციური მმართველობის დროს იბადებოდა. ასე რომ, მათვის, წარმართულ რელიგიურ კონტექსტში, ასტროლოგიას აზრი ჰქონდა.

თუმცა თანამედროვე ასტროლოგიის დამცველები იფიცებიან, რომ ის – მეცნიერებაა და რომ ჰოროსკოპები წმინდად მეცნიერული გამოანგარიშებებით დგინდება. მაგრამ, მეცნიერული თვალსაზრისით ვის შეუძლია ახსნას, როგორ ახდენს რომელიდაც ვარსკვლავი, რომელიც ფიზიკური სხეულია და დედამიწისაგან მიღლიონობით სინათლის წლითად დაშორებული, ადამიანის ხასიათის ფორმირებაზე გავლენას? ასეთი აზრი არა მხოლოდ მეცნიერულობის პრინციპს ეწინააღმდეგება, არამედ, ელემენტარულდად, სად აზრსაც.

ესე იგი, ასტროლოგია – სარწმუნოებაა, რომელიც არ გამოიცდება მეცნიერებით, არამედ თავად ასაბუთებს თავის თავს. რად

თქმა უნდა, ნებისმიერი რწმენა ირაციონალურია, ყველა რწმენის ადამიანს სჯერა სასწაულებისა, რომლებიც არ თავსდებიან მეცნიერულ ჩარჩოებში.


მაგრამ ასტროლოგიური რწმენა სრულია და ეწინააღმდეგება ქრისტიანობას. არც ერთი ასტროლოგი არ შეიძლება იყოს ქრისტიანი, ისევე, როგორც იუდეველი ვერ იქნება იმავდროულად ბედისტიც, ან ინდუისტი – მაკადიანი. ასე რომ ჩვენში ასტროლოგიის მოტრულიალებს, რომლებიც თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევენ მოუწევთ ან უარყონ ასტროლოგია, ან ადიარონ, რომ ქრისტიანები არ არიან, რადგან ეს ორი რამ აბსოლუტურად შეუთავსებელია.

აი, რას ამბობს ისაია წინასწარმეტყველი, როდესაც ბაბილონს განადგურებას წინასწარმეტყველებს მისი უკეთურებისა და მაგიოთ დამდუპველი გატაცების გამო:

„იდექი შენს ჯადოებზე და შენს უამრავ გრძნეულებებზე, რისთვისაც ზრუნავდი სიყმაწილიდანვე! იქნებ გიხსნას, იქნებ ზარი დასცე. დაღლილი ხარ მრავალი თათბირით; აბაწარსდგნენ ცათა მზომელნი, ვარსკვლავთმჭვრებელნი, ახალ მოვარეთა მცნობელნი და იქნებ გიხსნას იმისგან, რაც მოგელის! აკა, ჩალასავით არიან, ცეცხლმა გადაბუგა ისინი, – თავისი სულიც კი ვერ იხსნეს ცეცხლისგან“ (ეს. 47; 12-14)

ხოლო პავლე მოციქული წერს წარმართუბზე:

„და რაკი შეიცნეს ღმერთი, მაგრამ არ ადიდეს, როგორც ღმერთი და არც მადლი შესწირეს, არამედ ამაონი იქმნენ თავიანთი ზრახვით, და დაბნელდა მათი უგონო გული; ბრძენკაცებად მოჰქონდათ თავი და შლეგა-





ბად იქცნენ; და უხრწნელი ღმერთის დიდება ხრწნადი კაცის, ფრინველთა და ქვეწარმაგალთა გამოსახულებებზე გაცვალეს, ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა მათსავე გულისთქმათა უწმინდურებას, ასე რომ, შებილწეს საკუთარი სხეული; სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმრთისა, და მსახურებლენენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხულია უკუნისამდე. ამინ.“

ნათელია, რომ დათაებრივ ჭეშმარიტებას – ქრისტეს, არაფერი აქვს საერთო ვარსკვლავთმრიცხველებთან.

„ასტროლოგიური მეცნიერებების“ ვიდაც „მაგისტრები“ და „დოქტორები“ მუდმივად აქვეყნებენ თავიანთ „წინასწარმეტყველებებს“ ქურნალ-გაზეთებსა და რადიო-ტელევიზიებში. არც ერთი მათი „წინასწარმეტყველება“ არ ახდა, თუმცა მათ თავიანისმცემლებს ძალზედ მოკლე მეხსიერება აქვთ.

რომ გადახდონ, თუნდაც ხუთი წლის წინანდელ გაზეთებს, დაინახავენ, თუ რამდენი სისულელე აქვთ მათ „ნაწინასწარმეტყველევი“. ესე იგი ისინი ცრუწინასწარმეტყველები არიან, ვისზეც წერია წმიდა წერილში:

„მითხვა უფალმა: სიცრუეა, რასაც წინასწარმეტყველნი ჩემი სახელით ქადაგებენ. მე არ გამომიგზავნია, არ დამირიგებია ისინი, არ მილაპარაკია მათთან. ცრუ ხილვებს, მისნობას, სიყალებს და თავიანთი გულის გამონაგონს გიქადაგებენ ისინი“ (იერ. 14; 14). „იყვნენ ცრუწინასწარმეტყველნიც ხალხში, ისევე, როგორც თქვენ გეჟოლებათ ცრუმოძვარნი, რომელნიც შემოიღებენ წარსაწყმედელ მწვალებლობას, უარყოფენ მათ გამომსყიდვალ უფალს და ოვითონვე დაიტეხენ მსწრაფლ წარწყმედას თავზე. მრავალნი გაჟყვებიან მათ ხრწნილებას და მათი წყალობით დაიგმობა ჭეშმარიტების გზა“ (II პეტ. 2; 1-2).

ჰოროსკოპების მოწმუნე ადამიანი, გარკვეულ წილად, იცილებს პასუხისმგებლობას: ასე განლგნენ ვარსკვლავები, ვერაფერს გააწყობ. ასეთი ვარ და სხვაგვარი ვერ გავხდები – ვარსკვლავებს ვერ უბრანებ. ძალზედ მოხერხებული პოზიციაა – ცოდვებთან ბრძოლა

და გამოსწორების კენ სწრაფვა გაცილებით როგოლია. ერთს ვერ ამჩნევს ასეთი ადამიანი – ის უარს ამბობს თავისუფლებაზე და ემონება, არათუ ვარსკვლავებს, არამედ მათი „ნების“ „ამსხელებს“. გ. ჩეხტერტონი ამბობდა – როცა ადამიანები უარს ამბობენ ღმრთის რწმენაზე, ისინი იწყებენ სხვა დანარჩენის რწმენას.

ასტროლოგიდან უფოლოგიამდე – ერთი ნაბიჯია. უფოლოგია არის გატაცება „მფრინავი თეფშებით“, „უცხოპლანეტელებით“ და მსგავსი მითოლოგით. არ არის საიდუმლო, რომ კონტაქტები „პატარა მწვანე კაცუნებთან“ უცნობი მფრინავი ობიექტებიდან და მსგავსი ამბები, სრულიად შეესაბამება იმ აღწერილობებს, რომლებსაც გვაძლევენ წმიდა მამები იმ კონტაქტების შესახებ, რომლებიც ხდებოდა კუდიან და რქებიან „პაცუნებთან“. ცნობილია, რომ ეშმაკები – ტექნიკური პროგრესის დიდი მოტრფიალები არიან და ყოველ საუკუნეში ისეთი სახით ეცხადებიან ადამიანებს, როგორითაც ყველაზე მეტად აცდუნებენ მათ.

ცნობილია, აგრეთვე, რომ ნიუეიჯერელთა სულ მცირე 70 % სწამს, რომ ახლო მომავალში დედამიწაზე მოხდება უცხოპლანეტელელთა მასიურებული შემოსვლა (Baer Randall N. Inside the New Age Nightmare. Nuntington House, 1989, p.47).

რით მთავრდება ასეთი სახის გატაცებები, სულ ცოტა ხნის წინ ვიხილეთ, 1997 წლის გაზაფხულზე, როცა უფოლოგიური კომპიუტერული სექტის „ხეციური კარიბჭის“ (კალიფორნია) 39 წევრი „აგტოსტოპიო“ „გაემგზავრა“ „მფრინავ თეფშე“: მანამდე მათ დამამინებელი წამლის სასიკვდილო დოზა მიიღეს და თავზე პოლიეთოლენის ტომრები ჩამოიცვეს. სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი მასობრივი თვითმკვლელობა, რომელიც „ნიუ ეიჯის“ სექტის წაქეზებით მოხდა.

გაგრძელება იქნება

შედგენილია: ა. დვორკინის „სექტოვედენიეს“ მიხედვით.



# w e r i || e b S i C a d e b u || i m i n d v r i s y v a v i || e b i

1837

1837 წლის 8 ნოემბერს სოფელ ყვარელში ბიჭი დაიბადა. მარიამ ბებურიშვილისა და გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახმა ქართველ ხალხს ა ღ უ ზ ა რ დ ა უდიდესი გენიოსი, პოეტი, ბელეტრისტი, მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი, რედაქტორი და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი.



ილია ჭავჭავაძემ თავის შემოქმედებაში სიღრმით და ნათლად ასახა ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენის მდგომარეობა. მთელი ცხოვრება მშრომელი ხალხის დაცვასა და ბატონიშვირი ურთიერთობების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა. იგი ხელმძღვანელობდა ყოველგვარ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებას: დაარსა უურნალ-გაზეთები, უძღვებოდა ქართულ დრამატულ საზოგადოებას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარტივებელ საზოგადოებას, თავდაცვის გამარტივებელ საზოგადოებას, თავდაცვის გამარტივებების და ინერდა ხალხური შემოქმედების მასალებს: ზღაპრებს, ლეგენდებს, ლექსებს, ანდაზებს, გამოცანებს და

ა წ ი დ ე ბ დ ა ქართულ უურნალ-გაზეთებს. მან დაარსა მრავალი სკოლა, გახსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, გამოსცა მრავალი მხატვრულ-ლიტერატურული და მეცნიერული წიგნი. აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს, რითაც საფუძველი ჩაუყარა მდიდარ ხელნაწერთსაცავებს. იგი ილაშქრებდა ქართული ენის შეზღუდვისა და გაუქმების, ცარიზმისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ერთს სულიერი მამა და უგვირგვინო მეფე ავაზაკურად მოკლეს წინამურთან 1907 წელს. ქართველთა ქომა-გობისთვის და განეული ღვაწლისთვის იგი წმინდანად — ილია მართლად შერაცხეს.

მთელ კახეთში ილიას იცნობდნენ, როგორც ენამაცვილსა და სიტყვამოსწრებულს. ის სიმართლეს ემსახურებოდა და სძაგდა მატყუარა ხალხი. ამას არც მალავდა — პუბლიცისტურ წერილებში დაუფარავად ამხელდა ფლიდებს, მოლაყბებს, უცოდინრებსა და უკუდო ამპარტაზებს. არად დაგიდევდათ ასაკსა და „ჩინ-მენდლებს“. არ ზოგავდა არც გამოუცდელ ყმაწვილს და არც ჭარმაგ მოხუცს. დამნაშავებს ჭკუას ასწავლიდა და კროტიკის ქარცეცხლში ატარებდა,

მწარე ენას მათრახივით მოიქნევდა და ზურგზე გადააწინდა უგნურებსა და არაფრისმაქნისებს. მისი ყოველი სიტყვა გულზე ეკალივით ესობოდათ პოეტის უხეირო და უცოდინარ მოქმედებს.

1863 წელს ილიამ ცოლად შეირთო თა-დეოზ გურამიშვილის ასული ოლდა. „გულ-ჩათხრობილი ილიასგან განსხვავებით მისი მეუღლე, ოლდა სულ სხვა ხასიათისა იყო: გულჩვილი, მშვიდი, სათნო, გულშემატკუ-ვარი, თავმდაბალი. ილიას ხომ სულ თვალ-ნარბში შეცყურებდა. ილიას ერთი წარბის შეხრა საკმარისი იყო, რომ მოყვარული ცოლი მიმხვდარიყო მის გულისწადილს და მყისვე აქრძულებინა. ოლდა ბედნიერად თვლიდა თავის თავს, რომ ბედმა არგუნა მეუღლედ ასეთი შესანიშნავი, დიდ-ბუნებო-ვანი ადამიანი და ამით სრულიად კმაყ-ოფილი იყო, მეტს არაფერს ნატრულობდა. ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომ-ლის წინ მუხლს იდრეკდა. თავს დასტრი-ალებდა, რომ არც თვითონ და არც სხვას არა ეწყენინებინა რა და არ განერისხებინა. ილიას მუშაობას უყურებდა როგორც მღვდელთ-მოქმედებას და ამიტომ მის სამ-უშაო კაბინეტს ფეხსაკრებით დასტრიალებ-და, ახლო არავის მიაკარებდა. ყველას ნელ-ის ხმით უნდა ელაპარაკნა, რომ ილია არ შეეწყებინა, მის მუშაობისთვის ხელი არ შეეშალა — იხსენებს ილია მანსვეტაშვილი.

წავიკითხე რა ილიას წერილები ოლდას-ადმი მიწერილი, დავინახე რამდენად საქსე იყო პოეტის გული უდიდესი სითბოთი და სიყვარულით. ეს ერთი შეხედვით მკაცრი და კუშტი ადამიანი, ამავდროულად საოცრად ნაზი და გულჩვილი ყოფილა.

აი, ამ წერილთაგან რამდენიმე:



ჩემოსაყვარელოდასანატრელოოლიუ  
ნეტავი შენ, ახლა კარდანახში ზიხარ და  
გადაჰყურებ ჩვენს მშვენიერსა და საუთრად  
ჩემთვის საყვარელს ალაზნის მინდორსა  
და მთათა შორის ჩვენყვარელსა! ნეტავი მეც  
მანც ვიყო!

ამას წინად ჯერ შენი წიგნიარ მომსვლო-  
და და არც ვიცოდი შენი ბაქოდან ნასვლა,  
რომ კარდანახში ალექსანდრე ლაზონო-


ვის სახელზეც წიგნი მოგწერე. აქამდის მიღებული გექნება. რასა იქ და როგორხარ, ჩემ კარგო! იცი რამ-დენი ხანია ერთ-მანეთი არ გვი-ნახავს? მეექვსე თვეა. ბარაქალა ჩვენს გულის სი-მაგრესა და ვა-ჟაცობასა! არა გვიშავს რა, მითუთროტე-ბილი იქნება ისევ ერთად თავის მოყრა. ოჲ, რა

რიგად ამოვიყრი გულიდამ იმ ჯავ-რსა, რომელიც ახლა სულს მიღებებს და რა ნეტარებას მივეცემი როცა შენთან მოვალ და გადაგეხვევი. მაშინ ვიღას ეხსომება ნარსუ-ლი მწეხარება: ერთის წეთის სიამოვნება მორევად გახდება და იქ დაინთქმება ექვსი თვის მოწყენილობა, ურვა და წეხილი. ვა სოფელო რა შიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნეგჭირსა. ვინ იცის? იქნებ დრო მოვიდეს, ჩვენი ბედი ჩვენვე დავატრიალოთ, ამ ხანაც კი ავყვეთ ამ ცხოვრების უგემურ ფამთა დე-ნასა.



ჩემო კარგო და სანახავალ სანატრე-ლო თლიკო! ამ უკანასკნელს დროს ძალიან გამოინადირე შენს ქმარზეც. ამას წინად მომწერე, რომ მე ვითომც გაზილა უფრო მახსოვდეს, ვიდრე შენ. ეხლა მწერ, რომ შენაო ჩემს წიგნებს არა კითხელობო, ამიტომაც არც ერთზეც პა-სუხს არა მწერო. არ ვიცი ამგვარი საყვე-ცურები საიდამ და როგორ დავიმსახ-ურე. შენ რომ იცოდე რა რიგად მანებ-ებს ხოლმე ამისთანა საყვეცურები, შემ-იბრალებდი და არ მომწერდი. ჩემს აქაურ ბედნიერებას ეგლა აკლდა და ეგაც მელირსა. ეხლა ფრილა სავსეა...

მე აქამდე ვფიქრობ მასზეც თუ რა მო-მწერე იმისთანა, რომ მე ჰასუხი არ მოგე.





ნირისას იჩერები გთხოვეთ ხელნაზერი  
გამომიგზავნეთ, ჯერ ამ გითხოვნია და  
თუნდაც გეთხოვნა შენ თხოვნას ვერ ავას-  
რულებდი იმიტომ, რომ ნირე ორ-  
მოცდაათ თაბახამდე არის და ვინ გადაპ-  
სწერდა, რომ შენთვის გამომეგზავნა. მე-  
ორე ითხოვდი ჩემ პორტრეტს და მწერ-  
დი თან წამომეტო. ახლა კი იჩერები,  
რომ მე გთხოვეთ პორტრეტი გამომიგზა-  
ვნეთ, არც ეს არის მართალი, შენ მწერ-  
დი თან წამომიტო და არ მოიცდიდი,  
იქნებ მომეტანა. მაშასადამე შენი საყვე-  
ფური აქაც უსაფუძლო და უმიზეზოა.  
ყოველი ამისთვის ჩემი კუკლუშება მიმიცია  
სამართალში და ის სამართალი გადაჰსწ-  
ყვეტს, რომ იგი კუკლუშება ცილის წამები-  
სთვის უნდა დაისახოს. იცი რითა? იმითა,  
რომ ბრწყინვალე თავადმა ილია ჭავ-  
ჭავაძემ უნდა კუკლუშებას ყურები გაუზიოს  
და თითო განევაზე ასჯერ აკოცოს. აბა  
მაშინ იგრძნობ რა ძნელია ცილის წამე-  
ბა. დამაცა, დამაცა, ერთი მოვიდე მანდ  
რა მაშინ ნახავ შენ ყოფილას!

შენი დის ზიგნი მომივიდა და ცოტა  
ოდნავ მანყინა. მწერს, რომ თუმცა სა-  
ზოგადო საქმეზედა ხარ, მაგრამ ოლი-  
კო რო დაივინუო-ეგ შენის აღთქმის ღა-  
ლატიაო. ღმერთო ჩემო! სეტყვასავით ეი  
ცვივა ჩემს ბებერ თავზე ყოვლის მხრით  
საყვედურები!... საკვირველი, მაგრამ  
რესთაველი ამბობს: კარგი რამგჯირდ-  
ეს გივირდეს, ავი რა საკვირველიაო. მა-  
გრამ შენი და მე კარგად არ მიცნობს,  
შენი კი ფრიად საძრახისი იქნები, რომ  
მე ვერ მიცნობდე. შენ დას მიეტევება და  
შენ კი \_ არასცროს. რა ვქნა რა მიზეზი  
მოგეცით, რომ შენცა და შენი დაც უგუ-  
ლოდ მამცირებთ. მომტაცეთ ყოველ კა-  
ცობრიულ ფიქრისა და გრძნობას. რა ვქ-  
მენი იმისთან? ათი თვე დავრჩი რესეთ-  
ში? ნეთუ გვონით, რომ ქვეითისთვის  
დავრჩი!... ეს იყო რომ მწერით არ დაან-

ბო თავიო მაგ ბანების საქმესო, ეგ იყო  
რომ გულის მიმაგრებდი და მახალისებ-  
დი!... მოთმინებითა ჩემითა უნდა მოვი-  
ჰოვო სული ჩემი, იგი სული, რომელსაც  
მაგისთანა ჩრდილი მიაყენა ჩემთა  
უკუთესთა მეგობართა რა მახობელთა.

მე ამას იმიტომ კი არ გწერ, რომ შენ  
განვითარობინო, ან შენზედ ძალიან ვჯავრობ-  
დე. მე მარტო იმის თქმა მინცოდა, რომ  
მე ალერსი მიჭირდა ამ ჩემს მდგომარე-  
ობაში და არა საყველერები, მერე საყვე-  
ლერი იმისთვის, რომელსაცა არა რაიმე  
საფუძველი არა აქვს. დაიცა, დაიცა მოვ-  
ალ მანდ და ყველაფერში გავსწორდები,  
ჩემო კუკლები! სულ ლოყებს დაგიქენ,  
დამაცა!...

ჩვენი ბანების საქმე ძალიან კარგად მი-  
დის, ეჭვი არ არის, რომ დაამტკიცებენ.  
მაისამდე გათავდება ეს საქმე სრულიად  
და ოვთით გამარჯვებითაც. მაგრამ მე მის  
გათავებას აღარ მოვუცდი, რადგან მე  
ახლა საჭირო აღარა ვარ, უჩემოდაც  
გარიგდება. მე წამოვალ პეტერბურგიდამ  
ან დიდს შაბათს ან არადა 2რს აპრილს  
უსათუოდ და გადაწყვეტილად. ამ წიგნის  
შემდეგ შენ წიგნს ნულარ მოიწერები, იძ-  
იორმ, რომ მე წამოსული ვიქები და შენი  
წიგნი მე არარ მომისწრებს.

ნიუოლოზი, ნინო შვილებითურთ მო-  
მიყითხე და ჩემ მაგიერ აკოცე მრავალ  
ჯერ ერთს ქალს, რომელსაც ოლიის  
ეძახიან და უთხარი, რომ უბრწყინვალე-  
სი თავადი ილია ჭავჭავაძე მისი ქმარია  
საუკუნოდ და უკუნის იქითავ.

შენი ილია ჭავჭავაძე




შენი სულისა ოლიკო! თუმცა დაგპირ-  
დი, რომ ხვალ წიგნს არ მოგწერ, მეთქი,  
მაგრამ, ვერ მომითმენია. შენ გიყო!

რაზეც გამავიდე პატიოსანი, დარ-  
ბაისელი კაცი?... მე ვინა და  
შეაღამისას ქალთან წიგნების  
წერა! მაგრამ ნათქვამია: „ნუ შეხ-  
ვალ, ნუ იძანებო, ნუ გამოხვალ და  
ნუ თრთოო.“ ესე ყოფილა ამ წერი-  
სოთელშია.

Люблю я вас! люблю вас! люблю вас! люблю вас!

19 မှုကြော

წერილების კითხვისას ხან მელიმებოდა, სანაც კი გულაჩუყებული ცრემლებს ვიტავებდი. ვცდილობდი ემოციები დამეფარა. უცბად, ილია წარმომიდგა თვალწინ კალმით ხელში, ოლღას წეროლს სწერდა — ნათე-  
ლი მომღიმარი



სახე პქონდა და ასოები უდიდესი სინაზითა და სიფაზი-ით გამოჰყავდა, ცდილობდა მათში რაც შეიძლება მეტი სითბო და სიყვარული ჩაექსოვა. სახეზე ხან ლიმილი დასთამაშებდა, ხანაც კი მოიქუფრებოდა და თვალებში სევდა და მონატრება ერთად ჩაუდგებოდა




ჩემო კარგო ოლიუროვ! არა გრცვენიან, რომ სამი კვირაა, რაც შენ მოგბორდი და ერთის ნიგნის მეტი არ მოგინერია. კარგი, ფამაცა, ერთი მშვიდობით გადმოვიდე მაინთ და მე გიჩვენებ შენს ყოფასა. ხემობა გაშვებით იყოს და რატომ არასა მწერ?

შენ ჩემთვის ნუ შეწეხდები. თუ ფული დამჭირდა ბანებიდამ მოვითხოვ. შენი

ჭირიმე, მამწერე დეპეშით როგორგაათ-ავე ვზაიმნი კრედიტში საქმე. ეგ ძალიან მაწეხებს. იყავ კარგად ჩემდა სასიხარულოდ, მაკა და ლიზო დამიკაცნე. ალექსანდრე საგინოვი მომიუითხე და მაკას საქმროს ამბავი დაწვრილებით მომწერე: ვინ არის, რა არის, რა სამსახური აქვს?

საუკუნოდ შენი ილია ჭავჭავაძე  
8თებერვალი  
(1884)



ჩემო საყვარელო ოლიკო! რა რიგად მოუთმენლად მოველოდი ამ კვირას შენს ნიგნსა, მაგრამ არ მომივიდა. არ ვიცი რას მივაწერო, რატომ არა მწერ?

აქ დუშეთში ასეთი ცარიელობაა, რომ არცეც ვიცი რა მოგწერო და რით შეგაწვიო შენ. ჩვენი ბანების საქმე ჯერ კიდევ დამშია. მეც ამისგამო ორ წყალ შეა ვარ დარჩენილი, არ ვიცი საით და როგორ უნდა წავიდე. თუმცა შენის მიზეზით

ძალიან მეძნელება სამსახურიდამ გამოსვლა, მაგრამ მაინც და მაინც უნდა გამოვიდე. აპრილში ვაპირობ ქალალდის მიცემას, თუ უეცარმა რამ მიზეზმა არ დამატებულა კიდევ. ერთი ფიქრი მანებებს: ვაი თუ ამ ვაინაჩრობის ცხოვრებიდან სიღარიბეში ჩავცვიდეთ და შენ, ანუ მე ეგ ვერ ავიტანოთ. ეს ფიქრი რომ არა მნეალამდეს, დღესვე ამ ოხერს სამსახურს თავს დავანებებით. აი რა არის ყავის უხეირობა და ის აღზრდა, რომელიც ჩვენ მიგვიღია: თავით თვისით ცხოვრება ვვაშინებს და გვაბთხობს. ცუდადა ვართ გაზრდილნი და დაგეშილნი. ნაცარქექიობით ჰურის შოვნას ყავის ხასიათი უმცირებია, წაუდენებია. აბა ეხლა მე და შენ ანგლიური გაზრდილობა გვერდობა, რარიგ უშიშრად დავიზუობდით ბრძოლას ბეჭთანა და რა ძლევამოსილობით ბოლოს გავატანდით!... და რაუგანაც მე და შენ ანგლიურები არა ვართ და ვეჯუთვნით უხეირო ხალხს, რომელსაც ქართველობას ეძახიან, ამისათვის ხვალინდელის დღისა შიშიცა გვაქვს და ფიქრიცა და არც ჩვენს თავზედა გვაქვს დანდობა და იმედი. ყავი, რომელიც თავის თავს არ ენდობა და თავის თავის იმედი არა აქვს, ის ყავი ყავი აღარ არის. ნუ თუ მე და შენ მართლა ამისთანანი ვართ? ლმერთმა ნუ ქნას.


სამუდამოდ შენი ილია ჭავჭავაძე  
16 მარტი



ჩემო ყარგო ოლიკო! შენგან გამოვზანილი ფული მომივიდა და სამი შენი წიგნი ერთად მივიღე, უსათუოლ მთებში დაბრუოლებულან, თორემ ერთად რად მივიღებით. მე კი გემდუროდი, წიგნს რატომ არა მწერ მეთქი. რა ვიცოდი, რომ შენ თურმე მოგიზერია კიდეც სამი წიგნი და მე კი არც ერთი არ მიმელო.

შენ გეთაყვა, ოლიკო, ტელეგრამმით მაცნობე რამდენ ნომრიანს ფელჩატებესა ყიდულობ ხოლმე, აქ ძალიან იაფია და ყარგიც: მინდა გიყიდო. ამას გარდა გიყიდი სამს საკაბეს, არვიცი მოგენონდა თუ არა. იმ დღეს გავსინჯე და მე ძალიან მომენონა. ერთი დუჟინი დანაჩანგალი, ერთი დუჟინი კოვზები და ორი ჩაისათვის სეტოჩა ვიყიდე. ამას გარდა

ვიყიდე ერთი იმისთანა რამ, რომელიც გაგაუვირვებს როცა ნახამ. ეხლა კი არას მოგნერ ის ერთი რამ რა არის. ამას კი ვიტყვი, რომ კარგი რამ არის. ვიცი შენი ხასიათი: როცა ნახამ, აიმრიზები და



გულში კი გიამება.

ნარმოილგინე, ამოდენა ფული დაიხარჯა და მე სერტუკიც ვერ შევიქერე. არა მიშავს რა. მე მანდაც მოვახერხებ ტანსაცმლის ყიდვასა.

ილიას პირადმა წერილებმა ჩვენამდე საკმაოდ დიდი ოდენობით მოაღწია. მათი ნაწილი — მეუღლისადმია მიწერილი.

ოლღა გურამიშვილს მეუღლის წერილების გარდა, მათში ჩადებული მინდვრის ყვავილებიც კი შეუნახავს. ამ შეკვრას ყველგან თან დაატარებდა და 1907 წელს, საპედისნერო თავდასხმის დროსაც, ხელჩანთაში ჰქონდა.

წერილების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

მასალებზე მუშაობდა  
თინათინ ჯაფარიძე

## შობა ჩვენს ცხოვრისაში

### ერეპლე საღლიანი:

— მე გავიხსენებ ბავშობისდროინდელ შთაბეჭდილებას.

გვიან შუა საუკუნეებში, როცა სვანეთი მოსწყდა დედასაქართველოს სულიერი კულტურის ცენტრებს, ეს კუთხე თავის თავში ჩაიკეტა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ არაფერი ხდებოდა. პირიქით, არ განიბნა და მცდელობა უფრო მეტი იყო, რომ არ მოსწყვეტოდა ამ ძირებს.

საბჭოთა პერიოდში სასულიერო პირები აღარ იყვნენ და მოქმედმა ეკლესიებმა ფუნქციონირება შეწყვიტეს. მაშინ სასულიერო პირთა მოვალეობა ხევისკაცებმა და ოჯახ-სკაცებმა შეითავსეს.

საშობაოდ სვანეთში აცხობდნენ პატარა პურებს, რომლებზეც აუცილებლად ჯვარი უნდა ყოფილიყო გამოსახული, ხოლო თუ არ იქნებოდა, იტყოდნენ — ამას უფალი აღარ იწირავს. ქალები დასაცხობად რომ გაამზადებდნენ ამ პურებს, პატარებს ერთი სული გვქონდა ჩვენი თითებით გამოგვესახა ეს ჯვარი.

მერე ანთებდნენ ხოლო სანთლებს და იმ ჯვრიან პურში არჭობდნენ. პურის ნატეხი, რომელზეც სანთელი დაეწვეთებოდა, არ უნდა გადაგეგდო. ის წმინდა პური იყო და მისი გადაგდება ცოდვად ითვლებოდა.

სვანეთში ყველა ოჯახი საგანგებოდ ემზადებოდა შობისთვის. გადანახული ჰქონდათ ყველაზე წმინდა სასმელი, რომელსაც ზედაშეს ეძახიან. ზოგი ოჯახი საკლავსაც კლავდა შობაზე, მაგრამ იყვნენ ოჯახები, რომლებიც საჭიროდ არ თვლიდნენ ამის გაკეთებას. ისინი იმოწმებდნენ გამოთქმას — „ღმერთის ყველაზე დიდი შესწირი არის სულთა გული, საკლავის დაკვლით ადამიანი უფლის გულს ვერ მოიგებსო“.

და აი, ერთხელაც ამ ჩემთვის განსაკუთრებულ დღეს — შობას ჩვენს ოჯახს ესტუმრნენ ახლო ნათესავები. როგორც კი თორმეტს გადასცდა, ფართოდ გახსნეს ფანჯარა. ამას აკეთებენ იმ რწმენით და იმ შეგნებით, რომ ამ დროს თითოეული ჩვენგანი სსნის გულის კარს, სადაც შემოდის უფალი.

ამის შემდეგ დასხდნენ ბაბუაჩემი, მამიდაჩემი, მამაჩემი და სტუმრებთან ერთად შეასრულეს სიმღერა ჭურიზე. სამწუხაროდ, ეს სიმღერა არ მახსოვს და იგი მას შემდეგ არც გამიგია, მაგრამ განწყობა მახსოვს. აი, იმ მომენტში, იმ პანგმა რა განცდა ალძრა ჩემში. ერთადერთი რაც დამრჩა ის არის, რომ ის სიმღერა იყო უდიდესი სიხარულის გამომხატველი — რომ სამყაროში მოხდა დიდი სასწაული, მოხდა უფლის განკაცება.

ერთ-ერთმა სტუმართაგან ასეთი სადღეგრძელო თქვა: „ყოველი ჩვენგანი, ყოველი ჩვენგანის ოჯახი და ჩვენი ქვეყანა უწყვეტი შობის მომსწრე ყოფილიყოს“ — ეს სიტყვები დღესაც ჩამესმის.

საშობაო ლხინი გრძელდებოდა, როცა მოვიდა მახარებელი და ჩვენთან მყოფ ნათესავს ახარა — ვაჟი შეგეძინაო. მე გავიფიქრე — ხომ ასე უხარია ჩემებს, მე რომ ვარსებობ და დავრბივარ, და რა გახარებული იქნება ის ჩვენი სტუმარიც, რომ უკვე შვილი ჰყავს-მეთქე.

კიდევ იცით რა მახსოვს ამ შობიდან? — მივედი რადიოსთან, მაშინ ახალი შემოსული იყო, ჩატვე და ბებია გამინწყა: არ შეიძლება. ამ დღეს ტექნიკის მიღწევებს სვანები არ იყენებდნენ, მათვის ეს წმინდა დღესასწაული იყო. რადიოდან წამოსული პანგები სრულ შეუსაბამობაში იყო იმ დღესასწაულთან, რომელსაც ჩვენს ოჯახები აღნიშნავდნენ. კიდევ მაგონდება, რომ უფროსები პატარებს ხელში აყვანისას პირჯვეპარს გვსახავდნენ ხოლმე.

ამ დღეს აკრძალული იყო ღრეობა. მოილხენდნენ და კარგ განწყობაზე მყოფთ უნდა დაესვენათ. დღეს ასეთი რამ აღარ ხდება და ამიტომაც დამამახსოვრდა ეს შობა ყველაზე მეტად.

მე ქართველ ხალხს და საქართველოს ვუსურვებ, რომ მათში ყოველწლიურად და ყოველდღიურად შობილიყოს ქრისტე.

# "საკუნთო საგზალო"


ინტერვიუ ენერგეტიკის  
შპს ამირეჯიბთან  
(გამოქვეყნება)

ამირეჯიბთან  
შეხვედრა

— თქვენ ურთიერთობა ცნობილ ქართველ  
მწერლებთან და მოგონებები მათ შესახებ.

— უნდა მოგახსე-  
ნოთ, რომ ქართულ  
მწერლობას ორმოც  
ნელს მიტანებული მი-  
ვურთდი. იმ დროს  
ცნობილ ახალგაზრდა  
მწერლებად ითვლე-  
ბობდნენ: არჩილ სუ-  
ლაკაური, ედიშერ  
ყიფიანი, მუხრან მა-  
ჭავარიანი, ძმები  
ჭილაძები, ჯანსულ  
ჩარევიანი, ნოდარ რუხ-  
აძე, ტარიელ ჭან-  
ტურია, გივი გეგაშ-  
კორი და სხვანი —  
ვინც მაპატიებს, რომ  
ბებერი ვარ და სათვ-  
ალავში გამომრჩნენ.

მოგონებები კი  
მრავლად შემომრჩა.  
მოდით, გიამბობთ,  
როგორ შემოვდგი  
ფეხი ქართულ მწ-  
ერლობაში. პატიმრო-  
ბიდან დავბრუნდი ერ-  
თობ ცნობილ კაცად,  
ალბათ ჩემი ექვსი  
გაქცევის წყალობით.  
ვიყავი ოცდათვიამეტი  
წლის. პატიმრობაში  
ქაღალდს კალმით ვე-  
ჭიდებოდი, თუმცა



მნიშვნელოვანს ვერაფერს მივაღწიე. იქ მხ-  
ოლოდ ცდები იყო, ცდები და კითხვა იმ  
მიზნით, თუ ვინ როგორ წერდა, რა საშუალე-  
ბებით აღწევდა ჩანაფიქრის თხზულებად  
ქცევას.

დიახ, ათასცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის  
ოცდაექვს დეკიმეტერს დავბრუნდი იჯახში და  
მეორე დღესვე დავიწყე წერა მოთხოვბისა,  
„რატომ არ დამაცადე დავწერე. მეზობელ-  
ქალბატონმა გადამიტეჭდა რედაქციაში მისა-  
ტანად. უნდა ავღიშნო, რომ ბიძაჩემმა (მამი-  
დის მეუღლემ), ბატონმა გერონტი ქიქოცემ  
მომინონა ის თხზულება და ჩემივ თან-  
დასწრებით დაურეკა უურნალ მნათობის მთა-  
ვარ რედაქტორს, ბატონ სიმონ ჩიქოვანს...  
დამამახსოვრდა ფრაზა — „მგონია, არაფრით  
ჩამოუვარდება იმას, რაც დღეს ქვეყნდება..“

ასე იყო თუ ისე, იმავე დღეს — (1960  
წლის 3 იანვარი), ძველი თერთმეტსათულიანი  
სახლის მეორე სართულზე განლაგებულ „მნა-  
თობში“ შევაღე მხატვრული ლიტერატურის  
განყოფილების კარი, ვიკითხე ხელმძღვანელი,  
რომელიც არჩილ სულაკაური აღმოჩნდა... პალ-  
ტო ეცვა, წასვლას აპრებდა. მოვახსენე, რომ  
პატარა მოთხოვბა მაქს მოტანილი... დადეთ  
მაგიდაზე და ერთი კვირის მერე მოპრძანდი-  
თო, დავდე, დახედა, მე გავბრუნდი წასასვლე-  
ლად. ეტყობა ავტორის გვარსახელს მოპკრა  
თვალი და მკითხა, — თქვენ რომელი ჭაბუა  
ამირეჯიბი ხართო, მივუგე — სენია არა  
მყავს-მეთქ. გაიხადა პალტო, დაჯდა, დაიწყო  
კითხვა, კარგად დამამახსოვრდა, ორჯერ მი-  
ბრუნდა რაღაც ნაწყვეტის წასაკითხად და  
მითხრა: მწერალი ყოფილხარ ძმაო, დაჯეტ,  
რედაქტორს წავაკითხებო. სამი იანვარი იყო,  
ანუ უურნალი აწყობილი გახლდათ და არ





ვიცი რა ამოილეს, მაგრამ  
ჩემი მნერლობა იმ დღეს 1959  
წლის 3 იანვარს დაიწყო. ბა-  
ტონმა სიმორნა წაკითხვისთანავე  
ტექ რედაქტორს უთხრა პორვ-  
ელ ნომერში შეიტანეთ.

— ლიტერატურული გმი-  
რი დათა თუთაშნა კავშირ-  
შია თუ არა თქვენს ცხოვრე-  
ბასთან?

— ლიტერატურული გმირები, ჩემი აზრით ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგია, ვგულისხმობ, თუ რა მიიღო განსაცდელებისაგან, ადამიანებთან ურთიერთობიდან, წაკითხულიდან და მთავარი აღზრდის მეთოდიდან. მე ჭირვეული ბავშვი ვიყავი, გამოსასწორებლად ცნობილი ქრონიკი საზოგადო მოღვაწის გროგოლ გველესიანს ქვრივს მიმაბარეს. იქ ორნელინადნახევარი დაგყავი და დლესაც მიმაჩრია, რომ რაც ვარ, იქ მიღებულ ნადაგზე აღმოცენებული მცენარე ვარ, ქალბატონი მელანია მემართაშვილ-გველესიანს პედაგოგობის შედეგი ვარ მეც და ჩემი თხზულებებიც, მათ შორის — „დათა თუთაშება“.

— როგორ იქნებოდა „გო-  
რამ მბორგალი“?

— „გორა მბორგალზე“  
მუშაობა მაშინ გავტედე, როცა  
„დათა თუთაშიამ“

გამარჯვება მოიპოვა. სხვათა-შორის ვიტყვი — ამ წიგნს გაცილებით ნაკლები დრო მო-ვანდომებ; ვიზრე დათას, მა-გრამ ვამაყობ, რომ რამოდენ-იმე შეერალმა გამიზარა თავისი აზრი, რომ „გორამ“ „დათას“ ოსტატობითა და ქართველი ერის საჭიროებით აჯობა.

— რას გვეტყვით თქვენი ბოლო რომანს — „გიორგი ბრწყინვალეს“ შესახებ?

— „გიორგი ბრწყინვალეს“  
ის აზრიც ჩავატანე, რომ ქარ-  
თველებს და მსოფლიო მკითხ-  
ველს სქელ-სქელი წიგნების  
საკითხავად აღარ ფალია. წიგნი  
იმისთვის იწერება, რომ შენი  
თვალსაზრისი, რაც შეიძლება  
მრავალრცხოვნა მკითხველს მი-  
აწოდო. ამიტომ არის „გიორ-  
გი“ მოკლე და ბარემ აქვე  
ვიტყვი, რომ მიზანს ვერ მი-  
ვაღწიე, ამ წიგნს მკითხველი  
ნაკლები ჰყავს — მსოფლიო  
ლიტერატურული კონკურსტუ-  
რაკ არის ამის მიზანი.

— ଅନ୍ୟାନ୍ୟର ରୁଚି ମୁହିଁବାକର  
ଦା ରୂପରେ ଗାନ୍ଧାରୀର ମୁଖୀତ-  
ଫ୍ଲେଣ୍ସ ବ୍ୟାଙ୍ଗି ନାହାରମ୍ଭିତି?

— ამჟამად, მხოლოდ რა-  
ღაცა ნანგვეტებით ვერთობი.  
დავძერდი. ოთხმოცდაათს აღა-  
რაფერი მიკლია; ამ ასაკში,  
ვის, რა დაუწერა, მნიშვნელო-  
ვანი. საფიქრებელია, რომ  
როგორც მწერალმა და სა-  
ზოგადო მოღვაწემ სიცოცხ-  
ლის დასასრულს მივატანე.

— ତେବେନ ଓଜାବଢ଼୍ଯେ, ଶ୍ଵୋଲ୍ଲୁ-  
ଢ଼୍ଯେ, ଶ୍ଵୋଲ୍ଲିଶ୍ଵୋଲ୍ଲେଢ଼୍ଯେ, ଶ୍ଵୋଲ୍-  
ତାଶ୍ଵୋଲ୍ଲୀଢ଼୍ଯେ ରାବ ଦୟାତିକୁଣ୍ଡିତ?

— უნდა გითხოვთ, რომ  
თუ არა ჩემი ცხოვრების თან-  
ამგზავრის, ცნობილი პოეტის  
— ქალბატონ თამარ ჯავახ-  
იშვილის მომღლელობა, ზრუნვა  
და სიყვარული, დღეს ცოცხ-  
ალიც აღარ ვიწეობოდი. ვარ

ଲ୍ୟୁଲ ନରାଜୁଣୀ ଅଧିକାରୀଙ୍କଠିକ୍ ମାଦା.  
ଏହା କ୍ଷାଲିଶ୍ଵରିଙ୍କ, ସାମି ପ୍ରାୟେ,  
ଏତେ ଶ୍ଵେତିଲିଶ୍ଵେତିଲି ଏବଂ ଏତିଥେ  
ଶ୍ଵେତିଲାଶ୍ଵେତିଲା ଶ୍ଵେତିଲାଶ୍ଵେତିଲା  
ଏରୁ — ଫୋର୍ମିଆ?.... ପ୍ରେରଣାପ୍ରାପ୍ତ  
ପ୍ରେରଣାକୁ, ପିନ୍ଧି ମାଜୁରବୀଳୀ

— თექვინ თვალით დანახ-  
ული საქართველო XX და  
XXI-ე საუკუნეებში. მსგავსე-  
ბები და განსხვავებები.

— მეოცე საუკუნის ქართველი ერთ, ჩემი აზრით, გაცილებით მიზანსწრაფი და ეროვნული საქმის გაცილებით უმჯობეს და ერთგული მენობა, ვიდრე ოცდამეტრთე საუკუნისა. ერთი კი აუცილებლად აღსანიშნავია მეოცეში დაპყრობილი ერთ ვიყავით, ოცდამეტრთეში ხელახალი დაპყრობის მომლოდნენ ხალხი ვართ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, იმას რომ ჩვენ ისტორიის წარსულ ათასწლეულებში აეთი მსოფლიო ვითარების მოაზროვნეები მრავალგზის ვყოფილვართ და იმდენ სიცოცხლის უნარიანობა ყოველთვის გამოვიჩინობა, რომ დღევანდელობისთვის მოგვედრია, ვიყოთ ოპტიმისტები, ამჯერადაც გამოვავლენთ ბრძოლისა და სწორ გამოსაყოსნის პერის უნარს.

— თქვენ აზრი დღევან-  
დელ ახალგაზრდობაზე?

— საქმე ის არის, რომ  
ხალხი, მათ შორის ახალგაზრ-  
დობაც განვითარების პიო-  
ცესს განიცდის — mutantur  
tempoza, et nos mutanus in illis.  
(იცვლებიან დროინ და ჩვეც  
ვიცვლებით მათთან ერთად).  
აქ უკვე ვრავინ რასმე გახდება.  
ადამიანის ბუნების ცვალება-  
დობის პროცესა და ერთად-  
ერთი, რაც აუცილებლად  
გვმართებს, მე ღოზუნგის სახით  
მრავალგზის მითქამს —  
ჭურით ქართველებო.

— საზოგადოების რაოდც  
ნაწილისთვის თქვენ ბერად  
აღკვეთა მოულოდნელი და  
უკაბელი იყო. როდის მი-



იღეთ სასულიერო გზაზე  
შედგომის გადაწყვეტილება?

— მე ერში ცხოვრებას  
განვაგრძობ, ანუ ვმოღვაწეობ

ამ წოდებაში ისევე, როგორც  
საერთო ვითარებაში ვიყავი.  
ერთ-ერთი მიზეზი ჩემი ბე-  
რად აღკვეცისა, როგორც  
არაერთგზის მაქს ნათქვამი:  
ქართველი ერთ, მისი აზროვნება,  
თვალსაზრისი და მიზანსწრაფვა  
უმწეო ნაწილებად დანაწევრ-  
და. ჩვენ აღარ გაგვაჩინია მო-  
მავლისკენ სვლის მატერიკი,  
პატრონტების არქებულაგი ვართ  
და ჩემი ხნის კაცისთვის  
საუკეთესო გამოსავალია —  
„საცა არა სჯობს გაცლა  
სჯობს...“ გავეცალე აქაურობას  
და შევეკედლე ჩვენ ნინაპრე-  
ბის ათასწლობით ნაცად სა-  
ვანეს — ღმერთსა და  
მონასტერს.

— ତଳେଣି  
ସୁରତୀର୍ଗତିର୍ବାଦ  
ସର ଉ ଲୁ ଇ ଏ ଫଳ  
ଶାକ୍ସରତଙ୍ଗେଲୋଟ ପା-  
ତାନାମାନିକୁଳ-ପାତ୍ରରାଜାର୍ଥତାନ, ଉଚ୍ଚ-  
ମିଦ୍ରେଷତାନ ଫଳ ଉନ୍ନେତ୍ରାର୍ଥତାନ,  
ବିଲାପ //କୁଠାନ.

— სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქი

უნგმინდესი და უნგტარესი ილია  
მეორე, დღევანდველი საქართველოს და ქართველი ერის ერთადერთი კუთილმოსურნე, სწორად მოქმედი და ჭეშმარიტი მამაა. ჩემი ურთიერთობა ამ უდიდეს მრავალმხრივ და მრავალგვარი ნიჭის პატრონთან ასეთია — ვეთაყვანები და მჯერა, რომ იგი ღმერთმა ქართველი ერის ფიზიკური მხსნელად განადგურებისგან ქვეშეთს.

— რას უსურვებთ ამ  
შობა-ახალნელს ქართველ ერს  
და სრულიად საქართველოს?

ამ შობა-ახალ წელს ქართველ ერს მოთმინებას, გონიერებას, ქრისტესმიერი რწმენის ერთადერთ ჭეშმარიტებად აღიარებასა და იღბლიანობას კუსტორებ.

ქ. თბილისი 17.12.2010  
ბერ დავით, (ჭაბუ ამირგავაძე)

ინტერვიუ მოამზადეს  
ნათის გოგუაძე და  
თინათინ ჯაფარიძეს

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

— კომუნისტების დროს ვარ დაბადებული. მაშინ, შობის დღესასწაული მიშვნელოვნად არ ითვლებოდა და მორჩმუნე ოჯახები მას ჩუმად ხვდებოდნენ. მაშინ, უფრო ახალ წელს აღნიშნავდნენ. მასების დღები, ერთ-ერთი ახალი წლის ღამე ხუთი წუთით ადრე ჩვენს ნაძვის სეს ცეცხლი გაუჩნდა. მთელი ოჯახი ცეცხლს ვაქრობდით. ყველაფერს პირველ საათზე მოვრჩით. მაგარი სანახავი ვიყავი. სამზარეულოში შევრბოდი, ჭიქრით წყალი გამომქრნდა და ნაძვის სეს ვაქრობდი. მთელი ოთახი სველი იყო და ნაძვის ხის სათამაშოები დამტკრეული.

ყველაფერი ჩემი დის ბრალი იყო. მან ჩემს ტყუპისცალს სთხოვა შუშუნა (ხლაპუშკა) მომაწოდეო. ჩემს ძმას შუშუნა ნაძვის ძირთან დაუვარდა, იქ კი თეთრი ბამბეჭი იყო დაფენილი. სწორედ ამის გამო გაჩნდა ცეცხლი.



## მობა ჩვენს ცხოვრისაში

ამჟამად კი შობა ჩემთვის არის მნიშვნელოვანი დღესასწაული — სიმშვიდე და სულიერი სიხარული. ასე არის ჩემი ოჯახის ყველა წევრისათვის და ახლობლისათვის. განსაკუთრებულს ვერაფერს გავიხ-სენებ შობის დღესასწაულზე, უბრალოდ ვიტყვი, რომ ყველასთვის დღიდი სიხარულია.

ყველას მიკულოცავ შობა-ახალი წლის დადგომას. ახალგაზრდებს კუსურვებ სიყვარულს — სიყვარული ხომ თვით ღმერთია. ხალხს კი შრომას — შრომისუნარიანობას.



## კუნტა ბერძენიშვილი:

ალბათ, ძნელია ჩამოთვალით ყველა ის ჯილდო და წოდება, რომელიც მსოფლიოში აღიარებული ქართველი მომღერლის პატა ბურჭულაძის სახელს უკავშირდება. 2006 წლიდან ის გაეროს კეთილი ნების ელჩია, 2010 წლის 3 დეკემბრიდან კი პატა ბურჭულაძე პირველი ქართველია, ვისაც განსული ქველმოქმედებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ კეთილი ნების ელჩის წოდება მიენიჭა.

ბატონი პატა 2011 წელს საფრანგეთში შეხვდება, დეკემბრის ბოლომდე მას გადატვირთული საკონცერტო დღეები ელოდება. მსოფლიო ბანს საქართველოდან გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე შეხვდით, მან ჩვენი დიდი თხოვნა გაითვალისწინა და დროის სიმცირის მიუხედავად, დასმულ შეკითხვებზე გვიპასუბა.

— ბატონი პატა, როგორ ბავშვი იყოთ?

— რატომდაც მახსოვს, რომ ძალიან კარგად ვიქცეოდი, მაგრამ დედაჩემი მეუბნება — ცელქი იყავიო. ენერგია ყოველთვის დიდი მქონდა. მიყვარდა შოკოლადები და მთელი ბავშვობა კანფეტებს ვჭამდი. დღესაც მიყვარს ეს კანფეტები, ვერ გადავეწვი. ეტყობა ენერგიას მმატებს.

— ბავშვობაში თუ გიფიქრიათ რომ მომღერალი გახდებოდით?

— არა, ჩემი მომღერლობა დედას სურვილი იყო, ერთხელ მახსოვს გამოცხადდა, რომ არტოს ბალში იქმნებოდა ვაჟთა გუნდი, დედამ წამიყვანა. ბავშვობაშივე ბოხი ხმა მქონდა, გამსინჯეს და უთხრეს, — დიდი ბოდიში ქალბატონი, აქ კაცების კი არა, ბავშვთა გუნდია და ვერ მივიღებო. დავამთავრე 24-ე სკოლა და კომსერვატორიაში დედის დაუინებული თხოვნით ჩავაბარე, მაგრამ მუსიკალურ კარიერაზე სერიოზულად მაინც არ ვფიქრობდი. მამის ხათრით, კომსერვატორიის პარალელურად, პოლიტექნიკურ უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. პიონერიაული არჩევანი მხოლოდ სტუდენტურ სკექტაკლში — გუნის „ფაუსტში“ შესრულებული მე-

ფისტოფელის პარტიის წარმატებამ განაპირობა. ჩემზე იმოქმედა იმან, რომ მაყურებელს ესმოდა, გრძნობდა იმას, რაც ჩემი სიმღერით მინდოდა გამომეხატა.

— დებიუტი დიდ სცენაზე...

— მე-4 კურსზე ვიყავი, როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმიწვიეს, ოთარ თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცებაში“, ბაბუა ტარიელის პარტიის შესასრულებლად. დიდ სცენაზე პირველი სერიოზული როლისთვის მზადებამ კიდევ უფრო დამაახლოვა ჩემს პედ-



პატა დედასთან ერთად

# ძახოვთხს მთაწე, ფიძარსა და საკანი, როგორც მისმა უნმიღესობაში ბრძანა ყველანი ერთსდ, თანაბარი მონაწილეობით ჰვამენებთ



აგოგთან — დიზ ხელაშვილთან. ჟექტაკვლზე მუშაობისას კი გავიცანი უკვე აღიარებული დირიჟორი, გივი აზმაიფარაშვილი და რეჟისორი გიზმ უორდანია. მომღერლები: ნოდარ ანდლულაძე, მედეა ამირანაშვილი, ცისანა ტატიშვილი, ირაკლი შუშანია და თენგიზ მუშკუდიანი.

— პირველი შეხვედრა ლურანო პავაროტისთან...

— მომღერლის კარიერაში ხმასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ იღბალს, შემდეგ უკვე პიროვნულ თვისებებს. პიროვნება თუ არ ხარ, ხმასაც და სიმღერასაც ფასი მაღლ ეკარგება... ეს სამივე ფაქტორი აუცილებელია. ლეგენდარული ლურანო პავაროტიც, პირველ როგორ დიდი ადამიანი იყო. როცა მას ვუსმენდი, სულ სხვა სამყარო იხსნებოდა... არ მახსოვს მას რომელიმე მომღერალი გაეკრიფიკებინოს, კარგის თქმას კი ვერავინ დაასწრებდა.

იღბალი ვახსენე და მართლაც, რომ არა იღბალი არ შედგებოდა ჩემი პირველი გამოსვლა „კოვენ გარდენს“ სცენაზე. ერთმა ბანმა უარი თქვა ამ სპექტაკლში მონაწილეობაზე და მს მაგივრად მოგვედო პარტიორად ლურანო პავაროტისა და კატია რიჩარდელის გვერდით. „აიდას“ პიემიერა იყო, დირიჟორობდა ზუბინ მეტა... თანაც, ლურანო პირველად მღეროდა რადამესს. მთელი მუსიკალური სამყაროს ყურადღება ამ სპექტაკლისკენ იყო მიპრობილი. ასეთ ვარსკვლავურ შემადგენლობაში შედგა ჩემი საერთაშორისო დებიუტი, რასაც, პირველ როგორ, იღბალს ვუმადლი.

— „ლა სკალას“ სახელმწიფო ოპერა...

— 1978 წელს, კომსერვატორის დამთავრების შემდეგ, „ლა სკალას“ სტაუიორი გავხვდი. არასოდეს დამავიწყდება როგორ შემძრა „სიმონ ბოკნეგრაშ“, რომელშიც მღეროდნენ მირელა ფერნი, პიეტრო კაპუჩინი, ნიკოლაი გიაუროვი. დირიჟორობდა კლაუდიო აბადო. გე-



პატა ლურანო პავაროტისთან

ნიალური სპექტაკლი იყო! ჩემი სიყვარული ვერდის მუსიკისადმი იტალიაში იშვა. იქვე გავაცნობიერე, რაოდენ ბევრს ნიშნავს ახალქედა მომღერლისთვის პედაგოგის სმენა, გემოვნება, პიროვნული ხიბლი. ვსწავლობდი ისეთ ოსტატთან, როგორიცაა ჯულიეტა სიმონატო. ჩემთან მუშაობდა აგრეთვე, შესანიშნავი დირიჟორი ედუარდო მიულერი. სახლში ყოფნასას, როგორც წესი, საკონცერტო პირველამას ვამზადებდი დიზ ხელაშვილთან და ოდესის კონსერვატორის პიონერთან ევგენი ივანოვთან ერთად, რომლისაც ძალიან მჯეროდა.

ჩემთვის ერთ-ერთ ძვირფას მოგონებად რჩება მონაწილეობა „ლა სკალას“ სპექტაკლში „ნაბუ-



პატა მონსერატ კაბალიესთან



ქო", რომელიც 1986 წლის 7 დეკემბერს შედგა. გარდა ამისა, ამ სპექტაკლში პირველად შევხვდი ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს რეჟისორს რეკარდო მუჯის. ბერი რამ შემძინა ამ შესანიშნავ მუსიკოსთან და ადამიანთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ, ისევე როგორც განუმეორებელ ჰერბერტ ფონ კარაიანთან. უზარმაზარი სკოლაა ასეთი უმაღლესი რანგის მუსიკოსებთან თანამშრომლობა.

### — მსოფლიო მთშველობის მაქსტროები და მათგან მიღებული გამოცდილება...

— ჩემს კარიერაში ორმა გამოჩენილმა პიროვნებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. ერთი მათგანი ჰერბერტ ფონ კარაიანია, რომელიც ავადმყოფობის გამო ოცი წელი არ დასწრებია არცერთ კონცერტს, მაგრამ ზალცბურგში მოვიდა ჩემს სოლო პიონერამაზე. მან მთლიანად შეცვალა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. თუ დღეს მე კარგი მომღერალი ვარ, ამას კარაიანს უნდა ვუმადლოდე, რადგან მასთან ძალიან ინტენსიურად ვიმუშავე და იგი, მართლაც, ჩემი კარგი მეგობარი იყო. მასთან მოვამზადე „დონ ჯოვანი“ (კომანდორი), ვერდის „რექვიემი“ და ჩავნერეთ მოცარტის „რექვიემი“. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვექნდა ჩაფიქრებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი მაესტრო გარდაიცვალა... არასდროს დამავიწყდება ჩემი მონაბილეობა ზალცბურგის „რექვიემში“ კარაიანის დირიჟორობით. ეს იყო მისი ბოლო კონცერტი.... არაჩვეულებრივი იყო... მე ამ ნაწარმოებს ხშირად ვმღერი და ბეჭრჯერ მომისმენა, მაგრამ ეს შესრულება მართლაც გამაოგნებელი იყო...

მეორე დიდი პიროვნება და ჩემი მეგობარი ლურიანო პავაროტი გახლდათ, გამოჩენილი



პატა ჰერბერტ  
ფონ კარაიანთან

მომღერალი და შესანიშნავი ადამიანი. ასეთი არტისტი, ვგონებ, არ ყოფილა და არც იქნება. შესაძლოა ქვეყნად ბევრს ჰქონდეს მშვენიერი ხმა, მაგრამ უკეთესი მომღერალი, დარწმუნებული ვარ, ვერავინ იქნება. ახალგაზრდა მომღერალს ყოველთვის სჭირდება დახმარება და ლურიანო მე კარიერის დასაწყისში ძალიან დამეხმარა.

ვერას საოპერო თეატრში „ხოვანშჩინაში“ ნიკოლაი გიაუროვი თავად ხოვანსკის პარტიას ასრულებდა, მე — დოსიფეის. ამის შემდეგ ძალიან დაუუმჯობრდი მას და მის მეუღლეს — მირელა ფრენის. ნიკოლაი გაიუროვი იყო XX საუკუნის უდიდესი ბანი და საოპერო ხელოვნების ისტორიაში თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. რამდენიმე წლის წინ, ჩილეში მქონდა სოლო-კონცერტი, რომელიც მის ხსოვნას მიუვადვერი.

— 1982 წლიდან ლუდმილა ივანოვასთან ერთად სოლო-კონცერტებს მართავდით მილანის „ლა სკალას“, პარიზის, ზალცბურგის, მადრიდის, სანტიაგოსა და მსოფლიოს სხვა პერსონულ საოპერო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში.

— ბედნიერი ვარ, რომ ლუდმილასა და მის მეუღლეს, ასევე გენიალურ ჰედაგოგს, კვერცხი ივანეს დაუკავშირდა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება. მათი 150-ზე მეტი მოწაფე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა, ეს ძალიან დიდი როცხვია. 2011 წლის 2 იანვარს, 29 წელი ხდება, რაც ლუდმილა ივანოვასთან ერთად ვმართავ სოლო-კონცერტებს, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება და დიდი პატივია. იგი კლასიკურ და კამერული მუსიკის ტრადიციების საუკეთესო მცოდნეა, მისი სმენა ძალიან ბევრს ნიშნავს ყველა ასაკის მომღერლისათვის,



პატა მიშელ კრაიდერთან



რადგანაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანჭებს კომპოზიტორის ემოციურ სამყაროს და ზუსტად გადმიგცებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ესა თუ ის ნაწარმოები.

### ფონდი „იავნანა“ და კველმოქმედება.

პირველი საქველმოქმედო გალა-კონცერტი ობოლი ქართველი ბავშვების დასახმარებლად, პატაგო ბურჭულაძე 1991 წელს ღობანაში გამართა მეობრებთან ერთად.

2004 წელს კი დაამრავდა საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“. ამ ხნის განმავლობაში საკუთარ ოჯახს, ბავშვთა სახლებიდან 800-ზე მეტი მშრუბელობამოკლებული ბავშვი დაუბრუნდა. ბინა გადაეცა სოციალურად დაუცველ 62 მრავალშვილიან ოჯახს. უცხოეთში მცხოვრები ქართველების დახმარებით, მშრუბელობამოკლებულმა 300-მა ბავშვმა დაისცვნა და იმურნალა საბერძნების საბაზებულო ბანაკებსა და სლოვაკეთის სარეაბილიფაციის ცენტრში.

სხვადასხვა უმაღლესი სახწავლებლის 38 საუკეთესო სტუდენტს დაენიშნა სტიპენდია.

ფონდმა „იავნანამ“ 44 საქველმოქმედო სადამო გამართა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის პრესტიულ საკონცერტო დარბაზებში. აღიარებულ ქართველ შემსრულებლებთან ერთად ფონდის საქველმოქმედო აქციიში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოში აღიარებულმა მუსიკოსებმა და მომღერლებმა: ლევანდარულმა მონსერატ კაბალიერმ, ფერუზეთ ფურლანეგორმ, მიშელ კრაიდერმა, დოლორა ბაჯიქმა, რამონ ვარგასმა, ოლგა რომანკომ, ლუჩიანა დინტინომ, მიგელ გომეს-მარტინესმა, იური ტე-

მირკანოვმა, მარკო ბერგიმ, პიერ ჯულიაჩიმ, ამბროჯიო მაესტრიმ, დიმიტრი ხვოროსტოვსკიმ, ჯეგეპე ჯაკომინიმ, დიმიტრი იუროვსკიმ, მარჩელო ალვარესმა.

„იავნანა“ საიმედო თავშესაფარი გახდა ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაბარალებული ოჯახებისა და დაობლებული ბავშვების დასახმარებლად ფონდმა არაერთი აქცია გამართა.

25 სექტემბერს თბილისის სპორტის სასახლეში ათასობით ანთებული სანთლის ფონდე „იავნანას“ მოწვევით მსოფლიოს საუკეთესო სოლისტებმა შეასრულეს ვერდის „რექვიემი“. ამ აქციის შედეგად გრძელვადიანი ყოველთვიური დახმარება დაენიშნა ომის დროს დაობლებულ 123 ბავშვს, ფონდმა 4 ოჯახს შეუძინა საკუთარი სახლი, 7 წლის დიგორამმა კი „იავნანას“ შვილობილი გახდა. დიგოს გორის დაბომბვის დროს დაეღუპა ფეხმძიმე დედა და მამა. ფონდმა დიგოს შეუძინა ბინა და ვალდებულება აიღო, თვრამეტ წლამდე გაუწიოს მეურვეობა.

— ბაზონ ჰატა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თქვენ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის პროექტის ხელმძღვანელობა დაგავალათ, ალბათ, ეს პრეზენტაცია უდიდესი პასუხისმგებლობაა თქვენთვის?

— რა თქმა უნდა, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უნინდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხველი, თბილის-





ში, მასთას მთაზე 2002 წელს  
დაარსდა მამათა მონასტერი  
და აშენდა ივერთა მონას-  
ტრის ქტიოფორების: იოანე,  
ექვთიმე და გიორგი მთაწ-  
მინდელების ტაძარი.

ტაძრის საძირკვლის  
კურთხევაში მის უწმიდესო-  
ბასთან ერთად მონაწილეობდნენ  
ივერიონისა და ათონის მთის  
სხვა მონასტრების ბერებიც.

სამონასტრო კომპლექსის პროექტი ასევე მოიცავს საგამძანთლებლო ცენტრს, თავშესაფარს ობილი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის. თბილის მერიის ინიციატივით სამონასტრო კომპლექსთან აგრეთვე დაარსდება ნარკომანთა რეაბილიტაციის ცენტრი.

სამონასტრო კომპლექსის  
მთავარი ტაძარი, რომელიც  
ივერიის ღვთისმშობლის ხა-  
ტის სახელობისაა, მისი უწ-  
მიდებების გადაწყვეტილებით  
უნდა ააშენოს სრულიად  
საქართველოშ. ამის შესახებ  
სრულიად საქართველოს კა-  
თოლიკოს-პატრიარქმა 2010  
წლის 24 მაისს აუწყა —  
ფონდ „ივერიას“ აქციაზე.

უნმინდესის ლოცვა-კურობე-  
ევით, 2010 წლის 14 სექტემ-  
ბერს საქართველოს საპატირო-  
არქოსთან არსებულ ახალგაზრ-  
დობის სულიერ და ინტელექ-  
ტუალურ განვითარების ცენ-  
ტრში გაიმართა პროექტის  
ნარდგინება, პრველი შემოწ-  
ირულობა მშენებლობისთვის  
უნმიდესმა და უნეტარესმა  
ილია II-მ გაიღო თავისი  
ნინაპერის, ქართველი მეცნე-  
ბისა და პატირიარქების სახ-  
ელზე.

გამრის მშენებლობის სქემა  
ყველა ადამიანს აძლევს აქცია-  
ში თანაბარი მონაწილეობის  
საშუალებას. შემომწირველებს  
შეუძლიათ ყოველთვიურად ახ-  
ლობლების, ოჯახის წევრების  
და გარდაცვლილი წინაპრების  
სახელზე ხელფასიდან გაიღონ  
თითო ლარი.

ტური მოქაახურების მეშვეობით  
ჩაერთოს აქციაში, თვეში ერთხ-  
ელ მას ანგარიშიდან ჩამოჟ-  
ჭრება ერთი ლაპი და გადაირ-  
იცხება მშენებლობის ანგარიშზე.  
ბანკის მეშვეობით და იგივე  
პრინციპი პირ აქციაში მო-  
ნაწილეობა პენსიონერებსაც შეუ-  
ძლიათ. მათ, ვისაც არ აქვთ მა-  
ტერიალური საშუალება, მაგრამ  
აქვთ სურვილი ჩაერთონ ამ  
პროექტში, უნდა დარეკონ ნო-  
მერზე 140484, ჩანაწერინო თქ-  
ერაფორს პირადი მონაცემები  
(სახელი და გვარი) გარდაცვ-  
ლილი ახლობლების სახელი –  
გვარი და მათ სახელზე ვიდაც  
აუკიდებლად შეიგანს თანხს. იმ  
ადამიანებს, რომლებიც საბლ-  
ვარგარეთ ცხოვრობენ, შემოწ-  
ირულობის გაღება ფონდის  
ელექტრონული გვერდის [www.iveriisa.ge](http://www.iveriisa.ge) მეშვეობით შეუ-  
ძლიათ.

**ჰაატი ბურჯულაძე:** ამ წამ-  
არს ცოცხლები და გარდაც-  
ვლილები ერთად ვაშენებთ.  
იქმნება ორი სახის ნიგნი,  
ერთში ჩაინერება ცოცხლებ-  
ის, ხოლო მეორეში გარ-  
დაცვლილთა სახელები. აქ-  
ციაში უკვე 83000 ადამიან-  
ია განევრიანებული, ძალიან  
ბევრი ორგანიზაცია ჩაერ-  
თო უკვე, განსაკუთრებით  
აქტიურობენ საზღვარგარეთ  
მცხოვრები ქართველები და  
პენსიონერები.

ტაძრის საძირკული 12



მაისს გაიჭრება, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ეს დღე პატრიარქმა დააწესა და ივერონიდან დელეგაციაც ჩამოდის.

— გაიხსენეთ თევზი პირველი შეხვედრა უწმიდეს და უნეტარეს ილია // -სთან. როგორ გაგრძელდა შემდგომ ეს ურთიერთობა?

— ჩემი პირველი შეხვედრა პატრიარქთან შედგა აღდგომას, 1979 წელს, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი (კონსერვატორის პირველი კურსის სტუდენტი), მარტვას არ ვიცავდი. მე და ნუკრი ნაჭყებია, ჩემი მეგობარი, სუფრაზე კისებით და ცოტა ნასვამზე ვიყავთ. აღდგომა, მოდი ეკლესიაში მივიდეთ და წავედით სონში.

მაშინ პატრიარქმა ეტყობა ჩემს შესახებ უკვე იცოდა და რომ უთხრეს პაატა არისო, დამიძახა. როგორც კი მითხვეს პატრიარქი გეძახისო, გამოვლინდღილი. საკურთხეველში შეგვიყვანა და მთელი ლოცვის მანძილზე გატრუნული ვიჯეები. მერე სატრაპეზოში შევედით, პატრიარქმა გვერდით დამისავა და მომეფერა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ორი კვერცხი მომანიდა, — ამოირჩიე რომელიც გინდაო. ამოვირჩიე, მერე თავისი კვერცხი დამირტყა, რომელიც გატყყდა და ისე ესთამოვნა, ასე მითხრა — შენ რა მაგარი ბიჭი ხარო. გატეხოლი კვერცხი კი გამიფუცქვნა და მაჭამა.

ბოლოს 2-3 დღის წინ შევხვდი. მე მეუფე დანოელთან მივდიოდი აღსარების სათქმელად. მხოლოდ პიჯაკი მეცვა, ვიფიქრე აღსარებას ჩავაბარებ და უცებ ჩამოვალ-მეთქ. მეუფე გასული იყო. დედა ელენებ დაურევა და უთხა — პაატა მოსული აღსარების სათქმელადო. მეუფე პატრიარქთან ერთად იყო და ბრძანა ეზოში დაგველოდოსო. საკმაოდ ციოდა, გამობრძანდა პატრიარქი, დამინახა და მითხრა — „პატონო პაატა თქვენ შეგცივდებათ“, თავისი პალტი ჩამაცვა, კაშნე მოიხსნა და ისიც მე მომახვია. ძალიან მომერიდა, მაგრამ ასეთი იყო მისი უწმიდესობის გადაწყვტილება. ხუთი წუთი ელოდა სანამ მეორე პალტო არ ჩამოუტანეს. მისი უწმიდესობის

რვთები — მთელი ცხოვრების უძვირფასესი საჩუქარია ჩემთვის.

— ცოტა ხნის წინ, საქართველოს პლასიდო დომინგო და დიმიტრი სვოროსტოვსკი სტუმბრობდნენ, ისინი „იავნანას“ მზრუნველობის ქვეშ მყოფ ოჯახებს დაეხმარნენ...

— როგორც იცით, პლასიდო დომინგომ ბათუმში გამართა კონცერტი და ეს ძალიან მნიშვნელოვანი საღამო იყო, მსოფლიო ვარსკვლავები რომ ეცნობიან ჩვენს ქვეყანას და შემდგე სხვებს უამბობენ ამის შესახებ — დიდი საქმეა. ამავე დროს, დომინგომ შემონირულობა გაიღო იმ ბავშვებისთვის, ვისაც „იავნანა“ ეხმარება. 4 დეკემბერს დიმიტრი სვოროსტოვსკიმ თბილისის საკონცერტო დარბაზში გამართა საქველმოქმედო კონცერტი. დიმიტრი თავად ოთხი შვილის მამაა და ამ საქველმოქმედო კონცერტით, მიტოვებულ ვაგონში მცხოვრებ ბახტურიძების შვიდშვილიან ოჯახს დაეხმარა. სამი წლის მანძილზე დედას ხუთი შვილი ჭიათურის ბავშვთა პასთონატში ჰყავდა მიბარებული, უკვე დაიბრუნა ისინი და ახალ წელს ყველანი ერთად ახალ სახლში შევდებიან. ეს დიდი ბედნერებაა და მე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს მხარდამჭერებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ბილეთს ყიდულობს ჩვენს კონცერტებზე დასასწრებად, ვისაც ერთხელ მაინც დაურეკავს ნომერზე 30-30 და თუნდაც 10 თეთრი ჩაუგდია ჩვენს

შესანირ ყულაბაში. თუკი „იავნანაშ“ სასიკეთო საქმეების კეთება შეძლო ეს ჩვენ ქველმოქმედი სალხის დამსახურებაა, დიდი მადლობა ყველა!

ინტერვიუ მოამზადეს  
ნათია გოგუაძე და  
თინათინ ჯაფარიძე



# ხაშურის ტაროლი

 აშობაო სომლერები მთელ საქრის-ტანოშია გაფრცელებული. საუკუნეეთა მანძილზე ისტორიულ გარე-მოებათა ცვალებადობამ, ხელი შეუწყო სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საშობაო სომლერების წარმოქმნას. დასავლეთში რომაულ-კათოლიკურ ეკლესის სამყაროში, სადაც ლათინურ ენაზე სრულდება ლეთისმსახურება, ზოგიერთ ყველაზე ძველ საშობაო საგალობელს ეროვნულ ენაზე გალობენ. არსებობს ასევე საშობაო სომლერები სამეფო კარზე და ქალაქებში შექმნილი პიონერთა ალი მუსიკოსების მიერ. მე-19 საუკუნიდან მოყოლებული შობის დღესასწაულს ოჯახურ წრეშიც ზეიმობენ, რამაც დიდად შეუწყო ხელი საშობაო სომლერის შენარჩუნებას.

საინტერესოა საქართველოში გაფრცელებული ალილოს ტექსტი, რომელიც ძირითადად ოთხი მოტივისაგან შედგება: 1) დღესასწაულის გამოცხადება ხშირად ზუსტი თარიღის აღნიშვნით. 2) შობისა და ამავე დროს საახალწლო დღესასწაულის მოლოცვა; 3) მინიშნება მოსალოდნელ საჩუქრებზე; 4) დალოცვა „თქვინ სიცოცხლე“, „სახლი ლმერთმა აგიშენოს“, „ენა ტეკტიკ მერცხალს გიგავს, ინდოეთით გადმოსულსა“, „ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახის ქრისტე იშვაო“.

ყველა კუთხის ალილოს თავისი საერთო ნიშანი აქვს — მას კარდაკარ სიარულისას მღერიან. „ალილო: სახლით სახლად დადიან კაცები და ფულსა ჰკრებენ ამ ალილოს მომდერლები“ — ასეთია ჯამბაკურ ორბელიანის სეული დახასიათება. გამონაკლისია ზემოსვანური ალილოს ვარიანტი, რომელიც როგორც ცნობილია სუ-

ფრასთან იმდერებოდა. სვანეთში შობის წინა დღეს მთელ სოფელს ერთი მაჟანძელი ჰყავდა არჩეული, რომელიც ყველას იწვევდა სადილვახშიზე და გულუხვად ხვდებოდა. სანადი-მოდ მსხდომი ამბობდნენ შობის სიმღერას ოპირულად.

ალილოს შესრულება 24 დეკემბრის (ძვ. სტ.) ღამის დამაგვირგვინებელი ნაწილია. დილაუთენია იწყება კორკოჭის ან ჭანტალის ხარშვა, „ყოველგვარ თესლეულს სამ-სამ კაკალს ჩაყრიდნენ და ნახარშის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ, მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად. ნიგვზიანი საროტუალო ნამცხვრის, განატეხზე სამ სანთელს დაანთებდნენ და მხოლოდ საღამოს მიირთმევდნენ ლოცვის წავითხვის შემდეგ — ღმერთო, რამდენი კაკალი ეს არის, იმდენი სუკეთე მოგვეც, იმდენი კოდი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება და იმდენი კოდი ხორბალი მოგვეციონ ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე „ყურში“ მიაკრავდნენ და სანამ არ დაიწვებოდა არ ჩააქრობდნენ. ამის შემდეგ მოდიოდნენ „მეალილობი, ე.ნ. ქრისტეს მახარობელი, ზოგჯერ გადაცმულები და დათხუნულები, რომ ისინი ვერ ეცნოთ, დადიოდნენ მთელი ღამის განმავლობაში და სადაც დაათენდებოდათ იმ ოჯახში იქეიფებდნენ. საალილოო ლექსები არც თუ ბევრია, მათ შორის ყველაზე პოპულარულია:

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო, ალილო!

ღმერთმა ყველას გაგითენოთ შობა-ახალინელინადი, ალილო!

ჩიტი ღობეზე შემოჯდა, იძახდა ქაშმაშობასა, ალილო!

ღმერთმა მრავალ დღეს დაგასწროთ ახალ წელს ქრისტეს შობასა, ალილო!

თომაზ ჰოიზერმანის 2002 წლის  
მრავალხმიანობის სიმპოზიომის  
მოხსენებების მიხედვით  
მოამზადა მარიამ გელაშვილება

# საშობაო უნივერსიტეტი



## სანთერი ფანჯახაში



მ დღეებში, კეისრის ბრძანებისამებრ, ყოვლადწმიდა ქალწულსა და მართალ იოსებს მოუნიათ წასვლა ბეთლემში, რათა აღწერილიყვნენ. ქალაქში ჩასულებს ყველა სახლი და სასტუმრო დაკავებული დახვდათ, ვერსად იპოვეს თავშესაფარი. მხოლოდ საქონლის ბაგა დახვდათ ცარიელი, სადაც იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ასეთი ტრადიცია: შობის ღამეს ფანჯარასთან ანთებენ სანთელს და ამით წმინდა ოჯახს თავიანთ სახლში ეპატიუებიან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ეს ტრადიცია ჩვენშიც დამკვიდრდა. ამით ჩვენ მოვიხმობთ ყოვლადწმიდა ქალწულს, რათა შემოვიდეს ჩვენს ოჯახში, მოვიხმობთ ქრისტეს, რათა იგი იშვას ჩვენს სახლებში და არა მატო ჩვენს სახლებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს გულებში.

## ნაძვის ხე



აშობაოდ ნაძვის ხის მორთვის ტრადიციის დაწესებაზე მრავალი გადმოცემა არსებობს.

ერთი გადმოცემით, როდესაც ჰეროდეს მახვილს განრიდებული ღვთისმშობელი მარიამი და ახალშობილი იესო ეგვიპტში გარბოდნენ, მათ თავი ტყის ბირისთვის შეუფარებიათ...

მეფის მხედრებმა მათ კვალს მიაგნეს და როდესაც ტყემდე მიაღწიეს, მაშინ, დაუცველად დარჩენილ ჩვილიან ღვთისმშობელს ნაძვმა მძიმე წინვიან ტოტები ჩამოაფარა...

იმ ღამეს ეს ნაძვი ულამაზესი თეთრი ყვავილებით გაიდაიპერტა.

ამ ამბის გამო, მარად მწვანე ნაძვს, შობა-ახალი წლის სიმბოლოდ თვლიან...

საშობაოდ ნაძვის ხე პირველად გერმანიაში მორთეს მე-18 საუკუნეში. იგი ტკბილეულით, სანთლებითა და ბეთლემის ვარსკვლავით შემკვეს. ეს ტრადიცია ძალიან მოეწონათ სხვა ხალხებსაც და მალე საშობაოდ ნაძვის ხის მორთვა მთელ მსოფლიოში დაიწყეს.

ნაძვის ხე ქრისტესმიერი, მარადიული სიცოცხლის სიმბოლო გახდა.





„მე შენს ნიჭილში ნიკოლოზის უნივერსიტეტის ნიჭილში გუგუნი მისმის“

ლადო ახლა 85 წლისაა, ისევ მაღალია  
და გამხდარი... „ცეცხლოვანი თაფლისფერი  
თვალებითა“ და ამაყი მზერით... ისევ მის-  
ერნობს რუსთაველის პიოსექტზე, დინჯად  
და აუჩქარებლად. ის ახლა ჩემს სახლში  
ცხოვრობს (და ალბათ თქვენსაშიც) პატარა  
წიგნად... ასოდე ლექსად, ორ პოემად, წერ-  
ილებად, ჩანაწერებად და მოგონებებად... არც  
აქ ისვენებს ერთ ადგილას. ერთი კია,  
ხშირად ვაწვალებთ... ხანდახან მგონა თვი-  
თონ მოსწყინდა საკუთარი ლექსები.... ალ-  
ბათ სწყინს, ჯერ კიდევ ზეპირად რომ ვერ  
დავიმახსოვრე. ხანდახან მისი ლექსების წა-  
კითხვისაც მეშინა, არ მინდა დავამახინჯო  
ჩემეული ინტერპეტაციით, მისი გულწრფე-  
ლი პატრიოტიზმი, ეროვნული თვითშეგნება,  
ენთუზიაზმი, შემართება და სიყვარული...

ერთხელ ირაკლი უგულავამ სანატორიუმის  
კლუბში ლადოს ერთ-ერთი ლექსი წაიკითხა,  
წყნარად და მკაფიოდ. შემდეგ კი ლა-  
დოსთვის მორიდებით უკითხავს აზრი მის  
მიერ წაკითხულზე, მან კი ასე უპასუხა: „მე,

## ის იყო კლავისი, რომელიც

### კაცი იყო

და

### „დეასად იცხა“

ჩემო კარგო, მაგ ლექსს კბილთა ღრჭენით  
ვწერდი, ვებრძოდი, ვერკინებოდი იმას, უხ-  
ილავს, უხსენებელს, ვინც ეს სენი ადამიანებ-  
ში გაავრცელა. მე იგი სამკვდრო-სასიცოცხ-  
ლო ოში გამოვიწვიე და დავწყევლე, განვედ  
ჩემგან, ძლიერო სენო, ჩემს შემდეგ ნურვინ  
ნუ მოგისხენოს, შენ კი თვითონ აცრემლდი  
და მაყურებელიც აატირე. ისეთი შთაბეჭდ-  
ილება შემექმნა, რომ კულისებში სული შეგ-  
ებუთა... და იატაკზე მოადინე ზღართანი, არა  
ძმობილ ლადოს სტოცხლე სურს, მას ეტრფის  
და უგალობს, ამიტომ ვინც წერს, მან უნდა  
წაიკითხოს. ლექსი ჰესა კი არ არის, სხვე-  
ბისთვის რომ დავწერო. მე როცა ვწერ ჩემი  
ლექსისთვის მელოდიაც მაქს და ინტონაცი-  
აც და, რაც მთავარია, მიზანი!“

ახალგაზრდა პოეტს, ძალიან უყვარდა სი-  
ცოცხლე, უყვარდა შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა,  
ტერენტი გრანელი, ბარათაშვილი, ნინოშვილი  
და მათი გმირები, უცხოელებიდან: ბაირონი,  
გოთე, პუშკინი, სტენდალი, ტოლსტოი... ლადომ  
იცოდა წიგნების ამოჩემება. უზომოდ უყვარ-  
და ცხოვრებისგან დაჩაგრული ფიროსმანი,  
მის „ნაფეხურებს ეთაყვანებოდა“ და მის  
ნაკალებს დაჰყვებოდა რუსთაველზე...

— ადამიანს ყველაფერი უნდა, მთელი  
ქვეყანა. ვინწოდ და ცოტა არ ყოფნის, სულს  
უხუთავს — ეს ჩემზეა ნათქვამი. შევიძინე  
ჰობონი, პლუტარქე და თუკიდიდე. რომი და  
საპერძენეთი ჩემია მთელი სიგრძე-სიგანით.

მშვენიერია პლატონის დიალოგები, მიტაცებს სოკრატეს „უკანასკნელი ღამე“. მომზიბულელია დილექტის ასირებული ცხოვრება. „დანაშაულისა და სასჯელის“ კოთხვის შემდეგ ვეღარ დავიძინებამლეჭი — გაუბედავი და მართლა ბრძენი სულელი; ყოველთვის საყვარელი და საბრალო დონ კიხოტი; მაგრამ ყველას მირჩევნია ჩვენ ხევისბერი გოჩა! ისტორიული გმირებიდან დიმიტრი თავდადებული,“ — ამბობდა პოეტი.

თქვენ ალბათ ისიც იცით, რომ ლადო ხატავდა და ქმნიდა მუსიკას... პოეზიით, რითმებით გამოხატავდა ემოციას და სიყვარულს უხსნიდა სამშობლოს. „მას ყველაფერი უყვარდა, რაც ქართველი ხალხის ტალანტს ამჟღავნებდა“... ის იყო ადამიანი, რომელიც კაცი იყო და „ლექსად იქცა“. „მან გაზაფხული მოიტანა ქართულ პოეზიაში“... ლადოს ყოველი სიტყვა ღრმად სუნთქვას ჩვენს გულებში და ურუანტელს გვგვრის მისი გულის ფეთქვა პოეზიაში...

„რაფატონი! უძრ ხომ ხისხრო  
გურგახს ძსროები.  
უძრ ხომ ხისხრო ფორმები  
ძო გახევების.  
უძრ ხომ მცხოვის ხელისუფლების  
რიგ ფასტოში  
ნაფატოუროს ცხელი გური სხეუნის!  
რაფატონი! რა იმრემეთ იხე მაგრადი.  
რიოდ ფილურუები გურუინოს რა რაგებერონის!  
რაფატონი. რიოდ ჭაბუქი ვიყოს მართა.  
რიოდ ცხოველები ურთისერონის  
უძრ რაგებერონის!“

ლადო წარსულიც არის და მომავალიც, იმედიც და მწუხარებაც, სიხარულიც, სიყვარულიც, სევდაც, წალველიც, სიკვდილიც და სიცოცხლეც...

„ლადო ასათიანის ლექსი მსუყეა და ხალხურ მეტყველებაზე დამყრილი. დაუძაბავი და დუნელექსი მისთვის უცხოა და მიუკერძოებელი. შთაგონების ფრთები ყოველთვის მაღლა ეზრდება მის ღონიერ



ლადო მეუღლესთან,  
ანკუ ვაჩინაძესთან ერთად

სტრიქონებს. ადამიანებისათვის განუყოფელი სიხარულიცა და ტკივილიც ერთადაა ლადოს ლექსში. მისი პოეზია ეროვნულია და თავისთვადი, მომზიბლავია და ანკარა“ (რევაზ მარგარიანი).

ლადო ფიქრობდა „რა იქნებოდა ტოლსტიოსა და გოეთეს ხელის ბაირონი, პუშკინი, ბარათაშვილი ან ლერმონტოვი...“ — და ლადო? თუნდაც ათი ან ოცი წლის შემდეგ როგორი იქნებოდა ის და მისი შემოქმედება... ჩვენ კი, უბრალო მოკვდავებს ამის წარმოდგენაც არ შეგვიძლია.

ლადოს ყაყაჩოები უყვარდა ძალიან, მასში ხედავდა თავისუფლებას, სილადეს, გმირულ წარსულს... ყაყაჩო სიხარულისა და ბედნერების მომასწავებელიაო.

ანა კალანდაძე წერდა:

„მე ასე მწამს,  
ერთი ნორჩი ნაძვის ძირას,  
ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,  
ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩქროლებს,  
არა ლადო, აღარ მოწყვეტ ყაყაჩოებს.“

მისი ყაყაჩოებიც კი ცოცხალია და მოქმედი... ლადო და ყაყაჩო განუყოფელია. „შეხედეთ ამ ბებერ კრწანისს, როგორ აფეთქებულა და აბრდლვიალებულა, ცეცხლი წაკიდებია და იწვის, ზეცა გადმოჰირქვავებულა და წვრილ-წვრილი ვარსკვლავები დაუყრია ამ ველზე.“

„ჯი. ძმობირო. შეტყოფ.  
ნიმუში ყაყაჩო კაშტოროს!...“



ლადოს სამუშაო კუთხე



როგორ უფროსების გამოკერძო  
უფროსი რა უფროს კანისია;  
მინავარებს, გორისყებს, უძრავობებს  
უფროსი რა უფროს.  
გამში ყაყაჩის შეზღუდოს  
ციფრის რაგურებელის;  
ხელი ხარგვისმის კიბებით,  
გული სრულგვისმის".

მან იცოდა, რომ მისი ცხოვრება ხანმოკლე იქნებოდა... სამწუხაროდ, 26 წლის ასაკში „საქართველოს სიყვარულში“ დაღლილმა პოეტმა სამუდამოდ დაიძინა „სასოფლოზე“ და ასე ქართული პოეზიის „მარადიულ ჭაბუკად“ დარჩა. „1943 წელს ტუბერკულოზით გარდაიცვალა. უამრავი ოცნება დარჩა ასასრულებელი...

ისტორიული რომანის დაწერა უნდოდა პოეტს, ქართული ზღაპრების ლექსებად ქცევა...“

„ლადო ასათიანი არის ქართულ საკრავზე გაჭიმული ის ლარი, რომელმაც დამკვრელის ტანჯვას ვეღარ გაუძლო და გაწყდა...“

ვინ იცის, იქნებ „სამოთხის მთვარით“ განათებულ რუსთაველის პოლექტზე ერთად დადიან ლადოს და ფიროსმანის აჩრდილები... ჩვენ კი მათ ნაფეხურებსაც ვერ ვამჩნევთ... ლადო კი იცოცხლებს სანამ ერთი ყაყაჩი მაინც „აბრძლვიალდება“ ქართულ მიწაზე სანამ რუსთაველის პოლექტი იარსებებს...

„შებ როცა ამ წიგნს ხელმი თორებ,  
ცოცხლოს შორის მე ამ კიქები.  
მაგრამ მითხველო მიხვით, გაიგო.  
არომ წახურო ყავის ფიქრები.“

ძეგლი გელაშვილი

## შობა ჩვენს ცხოვრიებაში

### ვაჟა იოთარაშვილი

მთერალი, უნივერსიტეტი „ნიკო მთელიშვილის“ რედაქტორი

მახსოვეს, 2004 წლის შობას ღვთაების მონასტერში შევხვდი. მაშინ მამა ბერიამენია ჩაიბარა ალსარება და მაზარა. წირვის დასრულებისას, ტაძრიდან რომ გამოვედი, უკვე თენდებოდა. ვარსკვლავები კი არ ქრებოდნენ ზეცაში, არამედ ანგელოზები ჩამოდიოდნენ ზეციდან მიწაზე. სიხარულით — დაფრინავდი. შობა დღეს წმ. ანტონ მარტიფოველის საფლავთან შევხვდი.

ვუსურვებდი ყველას, რომ თავისუფალ და ქრისტიანულ საქართველოში ვიცხოვროთ. სულიერად საქართველო ახლიდან შობილიყოს. თუ ეს მოხდა, — ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ქრისტიანად იშვა, მაშინ გადარჩება, გაერთიანდება, გამთლიანდება და ყოველგვარ მტერს ძლევს.



## თიბანეთისა და ფაზა - ხევსუამთის მიზანმოწოდი თაღოვანი (იორგაზავაძე)



### პრესენტაცია

ეძღვნება უწმინდესაა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს.

თქვენს ამ ქვეყნად მოვლინებას  
მაღლი ახლოდა მზედა.  
გიყუროხებდათ მომავლის გზებს  
ლვოსმშორელი დედა.  
საქართველოს სიხარული,  
წაზე ფრთებსა შლიდა,  
მოფიოდით ლიმილით  
კეთილად და მშვიდად.  
მხოლოდ უფლის კუროხევით და  
მხოლოდ უფლის ნებით...  
საქართველოს გახარება  
ქართველთ გამრნებინება...  
მაღალ ხედვით, საღმრთო ჭვრეჭით,  
ნარყვალზე ფიქრით.  
ვით ნარციფებით მარხოვართან  
დღეის ამას იქით.  
შინაგანი ნამერით და შინაგანი ჭანჭვით,  
ლვთაერზრივი ენერგიის  
მხოლოდ შუქად ხარჭვით.  
მირონმდინარ სვეტისხოვლით  
და სიონის მაფლით.  
გელათის მზით, იყალთოთი  
ალავერდის ნათლით.  
ნმინდა ნინოს ვაზის ჭარით,  
მზე - თამარის ხაჭით  
გზით რომელიც აქ იწყება და  
სულ მაღლა ადის.  
გორგასლიან-დავითიან

მახვილ ფროში ფირით.  
რწმენის ჩუქლით, განუკავეოელ  
ანდამატზე მტკიწედ.  
ლომ-დიმიტრის თავდაფერით  
ქეთევანის სევდით.  
არაგველთა ზვავის ქარით,  
სიკვილის ელფად ვდევდით.  
დედა წხრა ძმას ანოვებდა,  
საფიქრი მყერდით.  
მხოლოდ ლმერთით ვიმარჯვებდით  
ხშირად აკზე - ერთით.  
უკვდავების ნილნაყარი  
მუხა იყრის ყლორტებს,  
ნინაპართა კვალზე ვფგერით,  
რომ მზეს გავუსანორდეთ.  
მაღლიერი, კალავ ძლიერი,  
ფეხზე დგება ერი  
და ლვთიური ენერგიით  
საგალობრელს მცერის.  
მამულს ზევრი ეყოლება  
ვაჟი - ლომისფერი...  
ქართველთ გამარჯვების იყოს,  
მრავალუამიერი.

1987 წლის 25 დეკემბერი -  
უწმინდესის აღსაყდრების  
მეათე ნციხეთავი.

## სამართლებრივი გვამოქვედება

ტერიტორიაზე შეხვდით ახალწელს,  
ტერიტორიაზე ფარერით ყველა,  
გვარავდეთ წმინდა ჩა – ლურჯი,  
მშვიდობის წილარტყუელა;  
გიმრავლოთ ხვავი, წარაქა,  
წხვარ-ძროხა, პური, ლვინო...  
არე რა მოგაკლოთ უფალმა  
სამცერალ-სალილინო...  
სიკეთით ხდლიერ თქვენს მჭერა,  
მართვრის დარიგერით.  
იყავით მაღლით მჭიდრო  
და წოდვით ლარიბერი.  
რწმენით სიკვდილის მომრევნი,  
მართმადიდებელ რწმენით,  
მამა-პაპათა საუნჯით,  
ტერიტო ქართული ენით...  
არ დაივინყოთ სამშობლო  
საფურცელ-სალონები,  
ზეწის გზა დაგველორება,  
თუ მას შევნირეთ თავი.  
ლმერთმა სიკეთე მოგვმაფლოს,  
მანვე გვაშოროს ავი.  
გვიმრავლოს ძმა და მოყვაზი  
და სულით ნათესავი.

სხვა რა ვინაფრიოთ? დაგლოვოთ  
სვეტიზოველმა მეტად,  
საყვლომ სალონებელმა –  
წით ჩამოსულან სვეტად.  
ჰვარი ენეროთ ყველასა,  
ვინუ ლვთისგან ელის შველასა.  
მდიდარსა – გულმონაცალესა,  
ლარიშა – კონკი-ძველასა;  
მხედარსა მამულისმწველასა,  
მხვნელ-მთსველ-მკალ-მთიზველასა,  
მწყემსა – წხვარ-ძროხის მომშენსა,  
ხვავით რომ ავსებს კერასა,  
ყრმასა მამულის ერთგულსა,  
იმის არნივურ მზერასა;  
კამარის შემკვრელს რომ არას  
გააჭანს ყვავს და ძერასა.  
ლმერთო, შენ ჰვარი დასწრე  
ქართველთა ზეფისწერასა...  
...იმდენი მაღლი მოგმაფლოთ,  
იქნეთ სინათლის სვეტად,  
აქ იშზეგრძელეთ, იქ ლირს-გყოთ  
სასუფეველის ჭვრეჭადა.

1999 წლის 12 ნოემბერი.  
(წმინდა ფილმონამის, იოთამ ზეფინიძის ფლე)

### თამრიპო ზოხოველიერი

### შობა ჩვენს ცხოვრიებაში

დღეს სულ სხვა დროა... ჩემს ბავშვობაში, არათუ შობის აღნიშვნას, პირველის  
გადაწერასაც კი გვიკრძალავდნენ... პირველი, რაც შობასთან დაკავშირებით გან-  
საკუთრებით მახსოვეს, არს 1989 წლის 9 დეკემბერი, როცა დაიბადა მარიამი, ჩემი  
უფროსი შვილი. შობას უკვე, როგორც დედა ისე შევხვდი. დღეების მარიამს  
საშობაო სიმღერა ვუმღერე.

შემდეგი წლის 9 დეკემბერს შემეძინა კოკო. უკვე ორი შვილის დედა ვიყავი.  
მე და მარიამმა, მიუხედავად იმისა, რომ მან წესერად ლაპრაკიც კი არ იცოდა,  
ერთად ვუმღერეთ კოკოს „ოცდახუთსა დეკემბერსა“... ეს საოცრად ლამაზი და  
დასამახსოვრებელი იყო...



## გამარჯვებული

## აცლიერ პირების დღესასწაული

განიხევნა ყა და გარდამოსული ხმა მყის იქანი,  
გზად დაგეფინა მზის სხივი და მადლი ლვოსანი,  
განკარგა სიტყვა, გადიხაფრა უკუნი სრულად,  
მეობ არს, ქვეშე ფრთხოა მისთა, მეობ არს, სულის.  
ვინწ განეშორა ამასა, ყრყსა სოფელსა,  
ნაკლონზა დიდი თანამავალ ეყის ყოველსა,  
ნარილებს უძმი საკურპეთა საზარელ მოთქმდა  
მარადმლვიძარე იჩერის მოგეცის მოფგმა.  
ჩალიბრავს თვალში გულისგამდა ლრულის თეთრ ფილას,  
აჭმის კვირტებში ჩაფენილი ზედაზნის დილა,  
ათასწლებში რომ ლვიოდა და უხონებად დუძმა,  
დღეს ალოქმულ მინას უფლის სიტყვა ახარო უნდა.



## მერ გვეტამას

ფრო არის ჩაფვნენ ქარ-წვიმები და,  
ქმნას სამართალი უჩინოს კვერთხმა,  
ჩვენ ყველა უფლის ნანილები ვართ  
და მხოლოდ მასში თუ ვპოვებთ ერთხმას.

ყველა მოსავი მრე არის, ვხედავ,  
კურქხალ მოსწყობეს ფიქრს თუ თვალებმა,  
თეთრ ნათელს იხვევს აფგილო დეა,  
მარადისობის იდუმალება.

ყა საფარველ ქვეშ ფიქრი არ ნედება,  
სვე ძედი მოაქვს მნერსაკ და უნარსა,  
უყშორესი ვარსკვლავთა ნება,  
უძრყვილო ჩვილის ლიმილში ზრუნავს.

მოხველ...გახედე...გახე...მანიდან,  
შენწ და ნუ ნალვლონ, რომ ზლვისებრ ლელავ,  
ჩვენ დიდ სამყაროს სახებანი ვართ,  
ლმერთი სიროტლეს გვიგზავნის ყველას.

ფრო არის ჩაფვნენ ქარ-წვიმები და,  
ქმნას სამართალი უჩინოს კვერთხმა,  
ჩვენ ყველა უფლის ნანილები ვართ  
და მხოლოდ მასში თუ ვპოვებთ ერთხმას.

## მარ ნიღაღ და ლექვაჩელი წერილება

ნიავი ქრის... გრილი სიო სასიამოვნო გარემოს ქმნის. ჩიტები ულურტულებენ, ნაკადულის ჩხრიალა ჰანგები ერწყმის ამ სილამაზეს და ჩვენს გარშემო ერთობ მუსიკალური სახლი იქმნება, სადაც თავს კარგად ვგრძნობთ. მეგობრები, მასწავლებლები, რომელთაც ბევრი ჩვენგანი დედასაც კი ეძახის. თითქოს ბედნიერები ვართ და არაფერი გვაკლია, ერთი დიდი ოჯახი გვეჭია... მაგრამ ყველაზე მეტად გვჭირდება დედის სითბო, რომელმაც მიგვატოვა ქუჩაში, მიგვაპარა ცივ შენობაში უცხო ადამიანების ანაბარა და მოგვაკლო სიყვარული, მშობლიური კერა.

ზოგჯერ ვუყურებ ჩემს მეგობრებს, როგორ აკითხავს მშობელი და იკრავს გულში. მან შვილი მიატოვა, რადგან მატერიალურად უჭირდა, მაგრამ აკითხავს და სითბოს ჩუქნის, როგორც შეუძლია. მე კი მარტო ვარ, სულ მარტო და არავის ვახსოვარ. ვხედავ დედა ეალერსება შვილს, ვუყურებ და თვალები მევსება ცრომლებით. ვეკითხები ჩემს თავს — რა ჩავიდინე ჩვილმა ბავშვმა ასეთი, რომ დედამ ჩემზე უარი თქვა? გულიდან ამომიგლიჯა და გადამაგდო... — მიკვირს, რადგან პასუხს ვერ ვპოულობ.

„უპატრონო ბავშვთა სახლი“ — რატომ უნდა ერქვას ჩემს კერიას ასეთი მწარე სახელი? აქ გემრიელი საჭმელიც გვაქვს, სითბოც და სიყვარულიც, მაგრამ მირჩევნია დედის თბილ კალთას ვიყო ამოფარებული, თუნდაც ქუჩაში ვიზრდებოდე და საძილედ მუყაოს ყუთი მქონდეს; მე ეს მირჩევნია, რადგან მეცოდინება, რომ მარტო არ ვარ, გვერდით მყავს მშობელი, რომელსაც შემიძლია ძილის წინ ვუთხრა: დედიკო, დედა, მიყვარხარ... მაშინ უკვე თბილად დავიძინებ იმ ფიქრით, რომ დილით დედის თბილი სიტყები გამაღვიძებს.

ბავშვებმა ნაძვის ხე მოვრთეთ და ქვეშ კონვერტები დავაწყვეთ, სადაც ჩვენი სურვილები ეწერა. დავწექით თბილ ლოგინებში იმ ოცნებით, რომ ოდესლაც თოვლის ბაბუა აგვისრულებდა ნატერას...

მასწავლებლებმა თითოეული ჩვენგანის მშობლები დაიბარეს მეორე დღეს. ზოგი მოვიდა, ზოგი არა. გადასცეს ის კონვერტები, სადაც ჩვენი სურვილები ეწერა. ყველა კითხულობდა გულით დაწეროლ ფრაზებს და ცრემლი მოსდიოდათ. აღმოჩნდა, რომ ყველას წერილი დედას ეძღვნებოდა და თითოეულ ფურცელზე ეწერა: „დედიკო მენატრები...“ „მთელი გულით გთხოვ, თოვლის ბაბუ, მაპატიოს დედამ ყველაფერ და დამიბრუნდეს“. ამ სიტყვებმა ბევრს გული მოულბო და თავისი შვილი მოაშორა ამ ცივ კედლებს. მაგრამ მე? ჩემთან რატომ არ მოდის არავინ, რომ ეს წერილი წავაკითხო? არც თოვლის ბაბუ ჩანს. სულ მარტო დავრჩი და არავის ვუყვარვარ, ავტირდი... მარტოობამ ამატირა. თითქოს ყველაფერ გაყინულიყო ჩემს გარშემო. მაგრამ მოიცა! უეცრად რაღაც სითბო ჩამეღვარა გულში, თითქოს ვიღუც ჩამზურზულებდა: ნუ გეშინა მე შენთან ვარ და არ მიგატოვებ. მივჭვდი ეს უფალი იყო, რომელსაც მთელი გულით ვუყვარვარ. იმედი არ დამიკრგავს. ყოველდღე კარგად ვიქცეოდი იმ პირობით, რომ მალე დედა მოვიდოდა ჩემს წასაყვანად...

თამარ სუსიშვილი

## შობა ჩვენს ცხოვრებაში



### გულიაზ გოლეთიანი

ყველა ქრისტიანი ადამიანისთვის შობა არის ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი დღესასწაული წლის განმავლობაში.

ყოველთვის განსაკუთრებულად ვემზადები შობის დასახვედრად. მინდა ყოველი შობა-ახალი წელი, ბედნერად და ლამაზად გაუთენდეს ჩემს შვილებს და ოჯახს.

მთელი ოჯახით ვესწრებით შობის ღამისთვევის წირვას, რომელსაც ჩვენ მეუფე ცაგერისა და ლენტების მთავარეპისკოპოსი სტეფანე ატარებს. დილით კი ჩვენი მრევლი, დიდი თუ პატარა ვმონაწილეობთ ალილოს მსვლელობაში. შეგროვებულ ტკილეულს და ტანისამოსს ვწირავთ გაჭირვებულ ოჯახებს და ბავშვთა სახლებს.

მინდა, ყველა ქართველს და მთელ საქართველოს ვუსურვო ბედნერი შობა-ახალი წლის დადგომა. ვუსურვო, ჯანმრთელობა, გაერთიანება და სულის სიმტკიცე. მინდა ვნახო საქართველო ბედნერი, გალალებული, გაერთიანებული და ერთმანეთის მოსიყვარულე.



### სამოაზო ცავის ხარისხის გადასაცვლა

საშობაო ნაძვის ხე ჩიტებისთვის სკანდინავიური ტრადიციაა. ამით ადამიანები ცდილობენ, ქრისტეშობის სიხარული სხვა ცოცხალ არსებებსაც გაუზიარონ. შობას ან შობის წინა დღეს ჩიტებისთვის საკენკი, მარცვლები და პურის ნამცეცები გააქვთ.

### სამოაზო

### საჩუქრები



აშობაოდ ადამიანები ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. ეს ტრადიცია პირველი საუკუნიდან მომდინარეობს. როდესაც სპარსელი მოგვები ყრმა იესოს სანახავად მივიღნენ, მათ ახალშობილს საჩუქრები მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური.

საშობაოდ ერთმანეთისათვის საჩუქრების მიძღვნა სწორედ მას შემდეგ დაწესდა, ამგვარად ჩვენ ვიხსენებთ მოგვების მიერ ქრისტესთვის მირთმეულ ძღვენს.

წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან ვიცით, რომ იგი ძალიან მოწყალე იყო, მას არასოდეს ავიწყდებოდა გაჭირვებული ადამიანები და განსაკუთრებით დღესასწაულებზე შეეწეოდა.

შობის ღამეს ჩამოივლიდა და ჩუმად უნყობდა საჩუქრებს ღარიბ ადამიანებს: ზოგს კარებთან დაუტოვებდა, ზოგს ფანჯრიდან შეუგდებდა, ზოგსაც საკვამურში ჩაუგდებდა. ასე დაუკავშირდა წმინდა ნიკოლოზის სახელი ქრისტეშობის დღესასწაულს.



## შობა ჩვენს ცხოვნებაში

### მალეაზ ასათიანი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი

ორი წელია, რაც ტაძარში მივედი და ეკლესიური ცხოვნება დავიწყე. ადრეც დავდიოდი, მაგრამ ახლა უფრო ვცდილობ ხშირად მივიდე მოძღვართან, აღსარება ჩავაბარო და ვეზიარო. რაც შეეხება შობას, მახსოვს ერთ-ერთ შობას, ცაგერში ლასურიაშის მამათა მონასტერში შევხვდი, ოჯახთან და მრევლთან ერთად. მაშინ წირვა მამა ცოტნე მარიამიძემ ჩაატარა. ვეზიარე, შვება და სიხარულ მივიღე. ძალიან ლამაზი შობა დღე იყო. გარეთ თოვდა.

მახსოვს შემდეგ შობას, თბილისში, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაში, მამა მიქაელ ბოტკოველთან ერთად შევხვდი.

შობის დღეს ყოველთვის ვგრძნობ სიხარულს, შვებას, ბედნიერებას და თავისუფლებას. ეს არის ყველაზე დადებითი დღე. ზამთარია. თოვლი უხდება. ამ დღეს ყოველთვის ოჯახთან და ნათესავებთან ერთად აღვნიშნავ. უკვე რამდენიმე წელია, ჩემთვის ახალი წელი შობა დღის შემდეგ დგება.

საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას, რწმენაში გაძლიერებას, მშვიდობას და უფლის მფარველობას (რომელიც არ გვაკლია).

თქვენს უურნალს წარმატებებს და ყოველივე კარგს ვუსურვებ, ახალგაზრდებს კი სულიერ სიძლიერეს და სულიერ წარმატებას.



### ა ც ლ ი ც ი ნ ა

ჯანმრთელობა ღვთის უძვირფასები საჩუქარია. ის გულისხმობს ადამიანის ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ კეთილდღეობას. ჯანმრთელობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჯანსაღი კვება.

კვება ადამიანის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ის განუყოფელი თვისებაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ცხოვნების ხარისხსა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე.

საკვები შეიცავს წყალს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მინერალურ მარილებსა და ე.წ. ბალასტურ (ანუ ბოჭკოვან) ნივთიერებებს. შესაბამისად, სწორედ საკვები უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმს მისი ცხოველქმედებისთვის საჭირო



ენერგიით, პლასტიკური და მარეგულირებელი ნივთიერებებით.

ჯანსალი კვება გულისხმობს საკვები პროდუქტების მრავალფეროვნებას, ბალანსირებულ რაციონს, გემრებელ და სასარგებლო კერძებს. საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოხმარებული იქნას მრავალი (რამდენიმე ათასი) სხვადასხვა სახის საკვები, როგორც ცალკე პროდუქტების, ასევე კერძების სახით.

კვების მეცნიერების ისტორიაში, კვების არსის გასარკვევად რამდენიმე კონცეფცია არსებობს. მათ შორის, უბირველსი უკავშირდება ძველ ბერძენ მოაზროვნე არისტოტელესა და რომაელ ექიმ გალენს. მათი მოსაზრების თანახმად, ორგანიზმი იკვებება სისხლის ხარჯზე. იმ სისხლისა, რომელიც წარმოიქმნება საკვებიდან კუჭ-ნაწლავის ტრაქტში.

მოგვიანებით ეს მიდგომა შეიცვალა დაბალანსებული კვების კონცეფციით, რომელიც შემუშავდა სხვადასხვა გამოკვლევის საფუძველზე. თანამედროვე განმარტებით, სწორი დაბალ-ანსებული (რაციონალური) კვება არის ორგანიზმის დროული და სწორად ორგანიზებული მომარაგება კულინარული წესების დაცვით მომზადებული, სასარგებლო და მაღალი საგვემოვნო თვისებების საკვებით, რომელიც შეიცავს

ორგანიზმის განვითარებისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნივთიერებების პატიმალურ რაოდენობას.

დაბალანსებული კვების დროს აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ჯანმრთელობისათვის უმთავრესია ზომიერება საკვები პროდუქტების შერჩევის, მომზადების, შენახვისა და მოხმარების პროცესში;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერ შემუშავებულია დაბალანსებულ კვების ზოგადი პინციპები, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

1. მივირთვათ საკვები, რომელიც ძირითადად, შედგება მცენარეული და არა ცხოველური წარმოშობის მრავალფეროვნო პროდუქტებისაგან;

2. დღეში რამდენჯერმე მივირთვათ პური, მარცვლოვანთა პროდუქტები, მაკარონის ნაწარმი, ბრინჯი ან კარტოფილი;

3. დღეში რამდენჯერმე მივირთვათ მრავალფეროვანი ბოსტნეული და ხილი (სულ მცირე 400გ ყოველდღიურად), უბირატესად, უმი და ადგილობრივი წარმოების, სეზონის შესაბამისად;

4. შევინარჩუნოთ სხეულის მასა რეკომენდებულ ფარგლებში, ზომიერი, უმჯობესია, ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვის მეშვეობით;

5. გავაკონტროლოთ ცხიმების მოხმარება და ჩავანაცვლოთ ნაჯერი ცხიმების დიდი ნაწილი უჯერი





მცენარეული ზეთებით ან რბილი მარგარინით;

6. ცხიმიანი ხორცი და ხორცოჭოდუქტები ჩავანაცვლოთ ლობიოთი, პარკოს-ნებით, უგრეხელით (ოსპით), თევზით, ფრინველით ან უცხიმო ხორცით;

7. მივირთვათ ნაკლებად ცხიმიანი და ნაკლებმარილიანი რძე და რძის პროდუქტები (მანონი, კეფირი, იოგურტი და ყველი);

8. ავირჩიოთ მცირე რაოდენობით შაქრის შემცველი პროდუქტები, ნაკლებად მივირთვათ რაფინირებული შაქარი, მკვეთრად შევზღუდოთ ტკბილი სასმელებისა და ნუგბარის გამოყენება;

9. ავირჩიოთ ნაკლებად მარილიანი საკვები. გამოყენებული მარილის დღიური რაოდენობა საშუალოდ ერთი ჩას კვირი (ზგ) უნდა იყოს. ამ რაოდენობაში იგულისხმება ის მარილიც, რომელიც არის პურში, დამუშავებულ, შებოლილ ან დაკონსერვებულ პროდუქტებში (იქ, სადაც იოდის უკმარისობა აღინიშნება, აუცილებელია მარილის გამდიდრება იოდით);

10. მაქსიმალურად შეაცირეთ ალკოჰოლური სასმელების მიღება, დღეში არაუმეტეს 2 პორციისა (იგულისხმება სპირიტს მაქსიმუმ 20 გრამის შემცველობა). ქალებისთვის ეს ნორმა განახევრებულია.

ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება უარყოფითად მოქმედებს თავის ტვინზე,

ღვიძლზე, გულის კუნთზე, ნერვულ სისტემასა და საკვების მეტაბოლიზმზე. ხელს უშლის ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას ორგანიზმში.

11. საკვები მოვამზადოთ უსაფრთხო და ჰიგიენური მეთოდით. საკვებში დამატებული ცხიმების რაოდენობის შეამცირებლად უმჯობესია საკვების მომზადება ორთქლზე ან მიკროტალ-ლურ ღუმელში, ასევე, გამოცხობა, მოხარშვა;

რაც შეეხება ახალშობილთა კვებას, ამ შემთხვევაში უმთავრესი რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ

12. აუცილებელია ახალშობილთა ძუძუთი კვება, დაახლოებით, 6 თვის მანძილზე, უკიდურეს შემთხვევაში, არანაკლებ 4 თვისა.

ჯანმო-ს მიერ მოწოდებულია რეკომენდაცია დაბალანსებულ კვებაზე „შუქრიშის პინციპით, რომელიც დაყოფილია ზონებად:

**მწვანე ზონა:** ნინ, სრული სვლით!

აქ იგულისხმება პური და მაკარონის ნაწარმი (სჯობს, უხეშად დაფქული ხორბალი); ბურღული; კარტოფილი; ბოსტნეული და ხილი. ეს პროდუქტები უზრუნველყოფენ საჭირო ენერგიის ნახევარს და ყოველდღიურ რაციონის საფუძველს ქმნან.

**ყვითელი ზონა:** ფრთხილად! ამ ჯგუფის საკვები ნაკლებად უნდა მოიხმაროს ადამიანმა. ესენია: ხორცი და თევზი; რძის პროდუ-



ნაწარმი; ნუგბარი.

აუცილებელია, შევეხოთ ე.წ. სწრაფი კვების საკითხებს. „სწრაფი კვება სწაფად და ადვილად უზრუნველყოფს ადამიანის ენერგეტიკული მოთხოვნლების დაკმაყოფილებას და დანაყრებას, რითიც იზიდავს მოსახლეობის ფართო ფენებს. თუმცა, საკვების ეს ფორმა ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღ ცხოვრებას, რადგან იწვევს ჭარბწონიანობასა და სიმსუქნეს. ამ ტიპის კვებით ადამიანის ორგანიზმი ჭარბად მოიხმარს ისეთ საკვებ ნივთიერებებს, როგორიცაა რაფინირებული ნახშირნყლები (ალნიშნულ საკვებში ცომეულის და შაქრების ჭარბად არსებობის გამო), ნაჯერი ცხიმები და ქოლესტერინი (ალნიშნულ საკვებში ცხოველური ნარმოშობის კვებითი პროდუქტების ჭარბად არსებობის გამო). ეს ნივთიერებები ჭარბწონიანობასა და სიმსუქნესთან ერთად, განსაზღვრავნ ძირითადი ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, შაქრიანი დიაბეტი, ავთვისებიანი სიმ-სივნეები) განვითარებისა და სიკვდილობის რისკს. ამდენად, ჯანსაღი კვების პრინციპების დამკვიდრებისათვის კვების რაციონიდან ამოღებული უნდა იქნას ასეთი ტიპის კვების პროდუქტები და კერძები.

დედამიწის ამა თუ იმ რეგიონში არსებობს ტრადიციული კვების პრინციპები. მათ შორის ყველაზე დაბალანსებულად არს მიჩნეული — აზიური. იაპონიის, ჩინეთის, კორეის, ტაილანდისა და ინდოეთის მც-

ქტები. ამასთან, ხორცი და რძე, შეძლებისადაგვარ-ად, უცნიმო უნდა იყოს.

### ნითელი ზონა:

მოერიდეთ! ამ ზონაში შემავალი პროდუქტები ძალიან იშვიათად უნდა ჩავრთოთ მენუში — კარაჟი; შაქარი; საკონდიტო და იტრონი

ოვრებლები უფრო ნაკლებად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიით და სიმსუქნით, ხოლო ქალები, ეროვნები და ამერიკები თანატოლებთან შედარებით, გაცილებით უკეთ იტანენ ასაკობრივ პორმონულ ძრებს. აზიური კვების ერთადერთი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მასში შეინიშნება რძის პროდუქტების სიმცირე. რეგულარული ფიზიკური ვარჯიშის და ალკოჰოლის ზომიერი მოხმარების ფონზე კვების რაციონი ამგვარია:

ყოველდღიურად — ბრინჯი და მისგან დამზადებული ყველანაირი პროდუქტი, პური, სიმინდი, ზოგადად, მარცვლოვნები (სასურველია მთელ-მთელი ან უხეშად დაფქული); ბოსტნეული, ხილი, პარკოსნები, თესლები (მზესუმზირის, გოგრის); მცენარეული ცხიმები (სასურველია არარაფინირებული).

კვირაში რამდენჯერმე — თევზი და ზღვის პროდუქტები ან რძის პროდუქტები.

კვირაში ერთხელ (ან უფრო ხშირად, მხოლოდ მცირე ულუფებით) — ფრინველი, კვერცხი; ტკბილეული.

თვეში ერთხელ (ან უფრო ხშირად, მხოლოდ მცირე ულუფებით) — ნითელი ხორცი.

ბოლო 4 ათეული წლის განმავლობაში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების საშუალებით გამოვლინდა ცხოვრების წესის შემადგენელი ისეთი რისკ-ფაქტორები, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი როლი ერჭებათ ქრონიკული დაავადებების განვითარებაში. ესენა:





თამბაქოს მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, არაჯამსალი კვება, ჭარბ-წორიანობა და სიმსუქნე, სისხლის მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ქოლესტერინისა და გლუკოზის მაღალი დონე. სწორედ ამ რისკ-ფაქტორების თავიდან აცილება დაიცავს ადამიანს ქრონიკული დაავადებების განვითარების, მათი უმძიმესი გართულებებისა და ნაადრევი სკვდილისაგან.

ზამთრის სეზონზე განსაკუთრებულად (წელიწადის სხვა დროსაც) აქტიუალურია საკითხები, რომლებიც ჩნდება გადამეტებულ კვებასთან და სმასთან დაკავშირებით, რაც გამოიხატება სხვადასხვა დაავადების მწვავედ განვითარებასა და ქრონიკულის — გართულებაში (ქოლეცისტიტი, პანკრეატიტიტი, გასტრიტები და სხვ). როგორც უკვე აღვრიშნეთ, მედიცინა გვაფრთხოებს ამასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა ზომიერების დაცვა როგორც ყოველდღიური კვების პროცესში, ასევე გამორჩეულ (ან განსაკუთრებულ) დღეებშიც.

არა მხოლოდ მედიცინა, ქრისტიანობაც იმას გვაძლევთ, რომ საკუთრებული გვასწავლის, რომ ყველა საჭირო ზომიერება და სმისაგან მრავალი სწორება იშვება, გარნა ლოცვისა და მარხვისაგან — არცერთი, „დასძლიერ მუცელი, ვიდრე იგი დაგძლევს შენ“; „ზედმეტი საკვები სხეულს უკიდურესად დამძიმებულ გემად აქცევს, რომელიც ტალღების მცირე მოძრაობაზეც კი ფსკერისკენ ეშვება“; „სმა კი არაა აკრძალული, არამედ — თრობა“; „ლვინო ლვითიური საქმეა, ხოლო მემთვრალეობა — ეშმაკისა“, — გვმოძლვრავენ წმინდა მამები.

გახსოვდეთ! ოჯახის თუნდაც ერთი წევრის მიერ ცხოვრების ჯანსაღი წესის გაზიარება და დანერგვა მნიშვნელოვან დადებით მაგალითს წარმოადგენს ოჯახის სხვა წევრებისთვისაც. დაქმარეთ თქვენს ოჯახს მისდიოს ცხოვრების ჯანსაღ წესს, ამით თქვენ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ მათ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნაში!

და ბოლოს, „მნიშვნელოვანია სხეულის ჯანმრთელობა, მაგრამ ბეჭრად უფრო მნიშვნელოვანია სულიერი ჯანმრთელობა და იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც სული აღემატება სხეულს.



როგორც უკვე აღვრიშნეთ, მედიცინა გვაფრთხოებს ამასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა ზომიერების დაცვა როგორც ყოველდღიური კვების პროცესში, ასევე გამორჩეულ (ან განსაკუთრებულ) დღეებშიც.

არა მხოლოდ მედიცინა, ქრისტიანობაც იმას



## საეკლესიო საქუველი კიბოს მეურნალია

ამერიკელი მეცნიერ-იმუნოლოგი მაჰმედ სუჰალი მიიჩნევს, რომ საეკლესიო საკმეველი ონკოლოგიაში დიდი სარგებლობის მომტანია. თვითონ სუჰალი ერაყში დაიბადა, კარგად იცნობს კეთილსურნელებასა და ნელსაცხებლებს, რომელთაც ადგილობრივი მოსახ-



ლეობა დაახლოებით ათასი წელია არა მარტო რელიგიური, არამედ სამედიცინო მიზნებისთვისაც იყენებს. საკმევლის ხე ომანის მთებში იზრდება, მისი ზოგი ნაირსახეობა კი — იქმენში, ეთიოპიასა და ინდოეთში. საკმევლის კვამლი შეიცავს ნივთიერებას, რომელიც ანტიდეპრესანტია. ამჟამად სუჰალის კვლევის საგანია საკმევლის ფისიდან მიღებული აქტიური ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. მიღებულ ხსნარს ჯერ ცხოველებზე ცდიან.



## შობა ჩვენს ცხოვრებაში

### ლამარა ტოკლიკიშვილი — 76 წლის

მე ვარ ლამარა ტოკლიკიშვილი კახეთიდან — კერძოდ, დედოფლის წყაროდან. სანამ ოჯახი მყავდა, მანამდე ყოველ წელს აღვინიშნავდით შობა-ახალწელს. მახსოვს ჩემს სოფელში შობა დილას ოჯახი ვკლავდით ხოლმე ღორს, სუფრას ვაწყობდით და ახლობლებს ვპატიჟებდით.

მახსოვს, სამსახურში — უფალ იესოს რომ ვახსენებდი, ყველა დამცინოდა. მაგრამ მე მაიც ვაგრძელებდი ბიბლიის კითხვას. იქამდე მივედი, რომ ღმერთი ვიწამე. ახლა როცა დარდი შემომანვება ხოლმე, უფალს და ღვთისმშობელს შევევდრები და ძალიან მშველიან. ჩემს ოჯახში ბებია იყო მორწმუნე. მე ადრეც მწამდა, მაგრამ ახლა ეკლესის აქტიური მრევლი გავხდი — აღსარებას ვაბარებ და ვეზიარები.

მინდა გითხრათ, რომ ლექსებსაც ვწერ. ახლახანს დავწერე ლექსი, რომელიც შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მივუძღვენ.

### იისოს დაგადება

მაშინ ბეთლემს იესო რომ იშვა,  
ანგელოზი ჩამოფრინდნენ ციდან,  
უგალობეს, უგალობეს ჩვილსა,  
მარიამის და თვით ღმერთის შვილსა.

მღვიმე იყო სიხარულით სავსე  
ძეს და დედას თავს ნათელი ედგათ,  
ღმერთი კაცად მოევლინა მიწას,  
მწყემსთაც ნახეს ბაგას ბავშვი იწვა.

სწავლულები ვარსკვლავს მოყვნენ შორით,  
ოქროებით, გუნდრუკით და მურით.

ვერ სწავლობდა ღვთიურ იდილიას,  
კაცთა შორის არსებული შური.

მზრუნველობდა დედასა და შვილსა,  
იოსები მამად წოდებული.

სათნოებით სურდა ალეზარდა,

ღმერთისაგან მისთვის ბოძებული.

ბოლოს, სრულიად საქართველოს ვუსურვებ გამთლიანებას და ერთიანობას. ახალგაზრდებს კი სწავლას, კარგი განათლების მიღებას.

# ჩ ი ჩ ი ლ კ ა ტ



ანსაკუთრებულად ხვდებოდნენ ახალ წელს საქართველოში. ქართველთა მეცვლედ წმინდა ბასილი დიდი ითვლებოდა, რადგან 1 იანვარს (ახალი სტილით 14 იანვარს (ე.წ. ძველით ახალ წელს) მისი ხსენებაა. ქართველი ხალხისათვის ეს წმინდან განსაკუთრებით საყვარელია. მას ევედრებოდნენ წლის ბედნიერად წარმართვისათვის და განსაკუთრებით ვაჟიანობისა და საქონლის გამრავლებისათვის.

დასავლეთ საქართველოში ახალი წლის დადგომისას კაცები გარეთ გადიოდნენ, ქალები კი სახლში ლოცულობდნენ, შესთხოვდნენ ღმერთსა და წმ. ბასილს, რომ ამ წელს მათვის ბედნიერება მოეტანა. ლოცვის შემდეგ კაცები ბრუნდებოდნენ. უფროსს მოჰქონდა ჩიჩილაკი. მათ კარებს მანამდე არ გაულებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ წმინდა ბასილას მოაბრძანებდნენ. ჩიჩილაკის ტალღოვანი ბურბუშელა წმინდა ბასილი დიდის წვერს განასახიერებს. გადმოცემით, წმინდა ბასილს სწორედ გრძელი და დატალღული წვერი ჰქონდა. ჩიჩილაკს რთავდნენ სუროს ფოთლებით, კურკანტელას წითელი მარცვლებით, ჩურჩხელებით, ტყბილეულითა და ხილით. აღმოსავლეთ საქართველოში ახალი წლის სუფრას ამშვენებდა ე.წ. ბედისკვერები, რომლებიც კაცის ფორმისა იყო და ბასილა ერქვა.

ახალი წლის თარიღს საქართველოში ხშირად ცვლიდნენ. მეშვიდე საუკუნემდე ახალ წელს აგვისტოში აღნიშნავდნენ, მეშვიდე საუკუნიდან მეცხრე საუკუნს დამდეგამდე — სექტემბერში, შემდგომ კი ახალი წელი მარტში გადაიტანეს. ბოლოს კი იანვრის დასაწყისში. რაც შექხება შობას, ამ დღესასწაულს ჩვენში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რაზეც დეკემბრის ქართული სახელწოდება - ქრისტეშობისთვეც მეტყველებს.



## შობა ჩვენს ცხოვრებაში

### ირა მცხორაშვილი. სტუდენტი

იქნებოდა 2000 წელი; ეკლესიურად არ ვცხოვობდი; შობის დღეს მეგობართან ერთად გადავწყვიტე ტაძარში წასვლა, სანთელი მაინც რომ დაგვენთო. სიონში რომ მივედით, წირვა-ლოცვა ღამისთვით ჩატარებულიყო და უკვე დასრულებულიყო. ხალხი ლიტანიობისთვის ემზადებოდა, სამების ტაძარში უნდა ასულიყვნენ (ტაძრის მშენებლობა დასრულებული არ იყო და პატრიარქის კურთხევით მრევლი სამების ეზოში უნდა შეკრებილიყო), მაშინ არ ვიცოდი რა იყო ლიტანიობა, რა დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ მსვლელობა ძალიან მომენტია; პარლამენტთან პოლიტიკოსები დაგვხვდნენ, ლამაზ კალათებში ჰქონდათ ტყბილეული ჩალაგებული და შემოსწირეს; გზაზე გვხვდებოდნენ და შემოწირულობა მოჰქონდათ. სტიქარში გამოწყობილი ბიჭები... მგალობლები... მრავალუამიერი — ძალიან ღამაზი იყო ეს ყველაფერი. იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ დღემ, რომ ეკლესიურად ცხოვრება მას შემდეგ დავიწყე.

## დავით გურაჩაშვილი. სტუდენტი

ყველაზე ლამაზად დამამახსოვრდა შობის ის დღესასწაული, როდესაც შობას სტიქარში შემოსილი შევხვდი. სრულიად მოულოდნელად, 5 იანვარს ჩამაცვეს სტიქარ... შეიძლება ითქვას, რომ იმ დღიდან დავიწყე ეკლესიური ცხოვრება.



## თამარ ფილიშვილი. სტუდენტი

ჩვენთან იყო ტრადიცია, რომ შობის დღესასწაულზე სოფელში უნდა ჩავსულიყოთ; ჩემი ოჯახის წევრებს არ მიშნდათ საჭიროდ წირვაზე წასვლა და ამას ყოველთვის განვიცდიდი. ერთხელ შობასთან დაკავშირებით შემდეგი სიტყვები წავიკითხე: იუდეის ქალაქ ბეთლემში არ აღმოჩნდა ისეთი სახლი, რომელიც მართალ იოსებსა და მარიამს შეითარებდა და ამიტომაც ბაგაში იშვა, და გისურვებთ ყველას გულში შობილიყოს ყრმა იესოო. ამ სიტყვებმა დიდი ნუგეში შემოიტანეს... ეს რომ გავიაზრე, წირვაზე წაუსვლელობას იმდენად არ განვიცდიდი, და ვცდილობდი შინაგანად მოვმზადებულიყავი ამ დღესასწაულის შესახვედრად.

უფლის წყალობით, დღეს ჩემს ოჯახში სულ სხვა დამოკიდებულებაა საეკლესიო საიდუმლოებებთან დაკავშირებით.

## გიორგი პარამიძე. სტუდენტი

ჩემთვის ყველაზე ლამაზი იყო 2007 წლის შობის დღესასწაული, როცა პარველად ჩამაცვეს სტიქარი და მეუფესთან ერთად ვიმსახურე ლეთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში.

## ეკა მაღალდაძე — თსუ-ს სტუდენტი

საშობაო საჩუქრებს საახალწლოდ სანტა კლაუსისგან დიდხანს ვიღებდი და მისი არსებობისაც კარგა ხანს მჟეროდა. ამის წყალობით, ერთ-ერთი შობა ჩემთვის დაუვინწყარო გახდა. ბავშვებისთვის ამაზე ლამაზი ტყული, მგონი, ადამიანებს ჯერ არ მოუგონათ. ტყული, რომელიც ყველაზე სანატრელს გისტულებს და მოლოდისაც მუდამ გიმართლებს.

შობა სალამის, როცა სანტა შორეული გრენლანდიდან ისევ ჩამოვიდა, არც მე დავიწყებივარ და სანატრელი აუდიო-ვაგნიტოფონი „ჩამომიტანა“, ბუთქუნა ყურსას-მენებითა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი საყვარელი აუდიოფირებითაც კი.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა ჩემმა ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა და ყუთში დავიწყე ქექვა, ამოვალაგე პასპორტი, ინსტრუქციები და საგარანტიო ტალონი. ერთ-ერთზე მინანეროც აღმოვაჩინე: სავაჭრო სახლი კიდობანი, ჯიხური 16, ვახო. ერთი პირობა კი გავიფიქრე, იქნებ გრენლანდიაშიცაა ასეთი სავაჭრო ცენტრი-მეთქე, მაგრამ აღარც ამდენად პატარა ვიყავი. თანაც ეს ვახო მიშლიდა ხელს, ზედიმეტად არაგრენლანდიურად უღერდა. რამდენიმე დღის შემდეგ მშობლებ-საც ვამცნე, თურმე გრენლანდიაშიც იციან ქართული წერა-კითხვა-მეთქე.

მერე ამაზე ყველამ ბეჭრი ვიცინეთ, მაგრამ მე დიდხანს მწარედ მახსენდებოდა, როგორ გამიღუჭა საქმე იმ ვიღაც ვახომ. თუმცა ახლაც ყველაფერი სიცილით მახსენდება და საშობაო განწყობაც ყოველთვის კარგი მაქვს...

## თანამედროვე მეცნიერებლი მიღწევები და ცხრველები

რუბრიკას უძღვება  
ახალგაზრდა ფერმერთა სახლი



ახალი კვლევების თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა „FASEB JOUR“-ში, ფუტკრები ამზა-  
დებენ პროტეინს ეგრეთ ნიღებულ „DEFESIN-1“, რომელსაც ისინი უმატებენ თაფლს. ამ  
პროტეინს გააჩნია ანტიბაქტერიული თვისებები. მეცნიერების განმარტებით, ამ ინგრედიენ-  
ტის დახმარებით საშუალება ექნებათ შექმნან უამრავი პრეპარატები დამწერობების და  
კანის ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ. ასევე ანტიბიოტიკური პრეპარატები.



რიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რა გაჩნდა  
ჰირველად — კვერცხი, თუ ქათამი  
ბრიტანელებმა მკაცრი მეცნიერული მეთოდები-  
თ დაადგინეს, რა გაჩნდა ჰირველად — კვერ-  
ცხი, თუ ქათამი. შეფილდისა და უორიკის (დიდი  
ბრიტანეთი) უნივერსიტეტების სამეცნიერო კოლეჯტივმა  
ძლიერ სუპერკომპიუტერის დახმარებით, ქათმის კვერ-  
ცხის წარმოშობის პროცესის გენეტიკურ დონეზე მოდ-  
ელირება შეძლო. აღმოჩნდა, რომ ნაჭუჭის ფორმირებაში მთავარ როლს OC-17 ასრულებს. ამ  
პროტეინს გარეშე, რომელიც ქათმის ორგანიზმშია, კვერცხის წარმოქმნა შეუძლებელია.  
შედეგად მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ჰირველად ქათამი გაჩნდა, შემდეგ კი  
კვერცხი, იტყობინება ÈÖÀÐ-ÖAÑÑ



### დღეში 7 კვერცხი?

რეკორდსმენი ქათამი დღეში 7 კვერცხს დებს. ჰოლანდიაში  
მცხოვრები ამსტრონგების ოჯახმა, მათი ფერმის მკვიდრი ქათ-  
მის წყალობით, მსოფლიო პოპულარობა მოიპოვეს. დები ამ-  
სტრონგების თქმით, ქათამი, სახელად სარა, დღეში 7 კვერცხს  
დებს. ეს საოცარია!

### თურა ცე იტუკით და რობორ ჰუკრებით ჰქექალებს ცხრეები...



ანსაკუთრებული მოთხოვნები ცხოველთა მფლობელთავის — ასეთი კანონმდებლები  
დააწესეს ჰავაელმა კანონმდებლებმა, რომლის მიხედვითაც ჰატრონებმა უნდა უზრუნ-  
ველყონ თავიანთი ცხოველები საცხოვრებელი ადგილით, სათანადო კვებით და  
ვეტერინალური მზუნველობით. კანონმდებლებში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იყოს  
სათანადო თავშესაფარი და აუცილებელი საზრდო. ახალი კანონი ასევე, ითვალისწინებს  
ცხოველების ვეტერინალურ მოვლას. კანონი ძალაში შევა 2011 წლის 1 იანვრიდან.

## ვაძავანობოთ პირები ვაწავავოვასაც!

ქართველმა გამომგონებელმა იოსებ ნარჩენაშვილმა გამოიგონა ეკონომიური თვითმიმწერი წყლის საქაჩი ტუმბო „ირეკსონი“, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არის ახალი სიტყვა სამეურნეო მექანიზაციაში.

მისი უპირატესობებია:

- არ საჭიროებს ელექტრო ენერგიას
- ეკოლოგიურად უსაფრთხოა და არ საჭიროებს არავითარ საწვავ-საპოხ მასალებს.
- ავტონომიური მუშაობის რეჟიმი 24-საათიანი, საჭიროების შემთხვევაში, ზამთარ-ზაფხულ.

— მისი არც ერთი დეტალი არ განიცდის ცვეთას, გარდა ორი რეზინის ფირფიტისა, რომლის შეცვლა ძალზე მარტივია.

— უმარტივესია საექსპლუატაციოდ, საჭიროების შემთხვევაში, მას მოემსახურება ნებისმიერი ადამიანი.

— წყლის მიწოდების მანძილი ჰორიზონტალურად განუსაზღვრელია, გეომეტრიული სიმაღლე კი 300 მეტრამდეა.

— წყლის მიწოდების რაოდენობა დღე-ლამეში მერყეობს 6 6000 მ<sup>3</sup>-მდე. (წყლის მიწოდების რაოდენობა დამოკიდებულია მკვებავი მილის დიამეტრზე, დაწევაზე და მიწოდების სიმაღლეზე)

— ის გამოიყენება: სასოფლო-სამეურნეო მიწების მოსარწყავად, სათევზე მეურნეობაში, სამშენებლო სექტორში, მაღალმთიან რეგიონებში, წყაროს წყლის სასმელად მისაწოდებლად და სხვა.



### სახალისო ემიგრაციის შესახებ

- ლურჯი ვეშაპის გული თურმე, იგივე ზომისაა, რაც მსუბუქი ავტომობილის ძრავა.
- აქლემის რძე არ იჭრება.
- დედალ ჭერს უფრო ნაკლები კალები, აქს ვიდრე მამალ ჭერს.

\* ზღვის ცხენთევზა არს ყველაზე ნელი თევზი, რომელიც მოძრაობს 0.01 მილი/ საათში.



- ბეჭემოტის რძე ღია ვარდისფერია.
- პოლარული დათვები ცაციები არიან.
- ღამურებს სიარული არ შეუძლიათ.
- სპილო არს ერთადერთი ცხოველი, რომელსაც არ შეუძლია ხტუნვა.
- ძროხას არ შეუძლია კიბეებზე ჩამოსვლა.



# 855 ရွှေမြန်မာနိုင်



၈၃၀၈၈၈၅၉၆၁



၈၀၂၄၆၈၁  
၇၁၄၂၆၀၁



၆၀၂၄၆၈၁  
၇၁၄၂၆၀၁



၆၁၂၀၁။  
၇၁၄၂၆၀၁



၂၀၆၁၂၀၆  
၁၁၅၂၄၀၂



၀၉၁၁၅၀  
၀၁၁၁၈၁၄၀၉၀



၆၀၂၆၈၈  
၁၁၁၁၄၂၀၉၀၉၀

၈၀၂၉၈၀  
၁၁၁၀၉၁၀၉၀



၁၁၁၁၃၁၁၆  
၁၁၁၁၈၁၄၀၉၀

